პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ., № 10. მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 27 აპრილი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 97 (2745)

დღიური

- ენ სი-შანი ადგენს ნანკინის მოწინააღმდეგე მთავრობას.
- „თეთრი წიგნი“ ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმების შესახებ.
- საფრანგეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ აჯანყებული მაროკოელების წინააღმდეგ.
- ინგლისის ფეიქართა გაფიცვა გრძელდება.
- ინდოეთის მშრომელი მასები იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის.
- სამრეწველო აკადემიის მსმენელთა გამოშვება.

მხურვალე ძმური სალამი საქართველოს მშრომელთაგან საბჭოთა აზერბეიჯანს მისი არსებობისა და ბრძოლის 10 წლისთავის გამო

საბჭოთა აზერბეიჯანის ათი წელი

აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას წინ უძღოდა და თან სდევდა მუშათა კლასის შედარებით ხანგრძლივი და გაფართოებული ბრძოლა. ეს ბრძოლა, რომელიც არსებითად კლასობრივი იყო, აქ ღებულობდა მკვეთრად გამოსახულ ნაციონალურ ელფერს და მიმდინარეობდა აქ მცხოვრებ ეროვნებათა შორის (უმთავრესად თურქებსა და სომხებს შორის) ნაციონალურ ურთიერთობათა უკიდურესად გამწვავების ატმოსფეროში, რაც არა ერთხელ აღწევდა სისხლისმღვრელ შეტაკებამდე და ხოცვა-ჟლეტამდე.

ბაქოელი კაპიტალისტების—ნავთის მრეწველების და აზერბეიჯანის დიდი მემამულეების (ხანების, ბეგებისა და აღალარების) აღვირაშვებული კონტრრევოლუცია კულტების მსახურთა ხროვასთან ერთად, აქ არა თუ დემოკრატიზმის სამოსელში ეხვეოდა, არამედ ამა თუ იმ ეროვნების ერთად-ერთი დამცველის როლშიაც კი გამოდიოდა. ნამდვილად სხვადასხვა ეროვნებათა როგორც კაპიტალისტები, ისე მემამულენი სამღვდელოებასთან ერთად მხოლოდ იმას სცდილობდნენ, რომ გაეღვივებიათ შუღლი სხვადასხვა ეროვნებათა შორის. ამისათვის ნიადაგი მომზადებული იყო აზერბეიჯანის წარსული ისტორიით.

აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლება მეტად ძნელ პირობებში დამყარდა. ეს სიძნელენი გამომდინარეობდნენ, უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის სხვადასხვაფეროვანი შემადგენლობიდან, როგორც კულტურისა და ყოფა-ცხოვრების მხრივ, ისე უმთავრესად ნაციონალური და რელიგიური მდგომარეობის მხრივ. შემდეგ აზერბეიჯანში ჩვენ გვქონდა: ერთის მხრივ,—საკმაოდ დიდი პროლეტარული ცენტრი ქალ. ბაქო, რევოლუციონური მუშათა კლასით, რომელიც უმთავრესად მოსული ელემენტებისაგან შესდგებოდა, ხოლო მეორეს მხრივ,—უაღრესად ჩამორჩენილი და ბნელი სოფელი, რომელიც თუ მთლიანად არა, სანახევროდ მაინც ფეოდალური იყო. ამ სოფელს შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ძველი სახე და არაფერს არ ითვისებდა ბურჟუაზიული კულტურისაგანაც კი, რომელიც საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა იქვე, აზერბეიჯანის მთავარ ცენტრში—ბაქოში. აზერბეიჯანის სოფელმა მთლიანად შეინარჩუნა რელიგიური ფანატიზმიც, ქალის დამონებაც, ჩადრიც და დამცირებისა და მონობის სხვა ატრიბუტებიც. ყოველივე ეს სავსებით შეეფერებოდა როგორც მეფის თვითმპყრობელობის ინტერესებს, ისე კიდევ უფრო აზერბეიჯანის მემამულეების (ხანების, ბეგებისა და აღალარების), აგრეთვე სამღვდელობის—აზერბეიჯანის მშრომელი გლეხობის ამ საუკუნოებრივი მჩაგვრელების—ინტერესებს.

ამ მკვეთრ განსხვავებას აზერბეიჯანის ქალაქსა (მხედველობაში მაქვს ქალ. ბაქო) და აზერბეიჯანის სოფელს შორის კიდევ უფრო აღრმავებდა ის გარემოება, რომ იმ დროს, როდესაც სოფელი თავისი შემადგენლობით უმთავრესად თურქული იყო, ქალაქ ბაქოს მუშური მოსახლეობა სხვადასხვაფეროვანი იყო და უმთავრესად წარმოდგენილი იყო რუსებით, სომხებითა და სპარსელებით. ქალაქ ბაქოს მუშურ მოსახლეობის შემადგენლობაში თურქი მუშები ყოველთვის მეტად უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდნენ. ეს გარემოება მოწმობს იმას, რომ მუშათა კლასი ორგანიულად დაკავშირებული არ იყო აზერბეიჯანის სოფელთან, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა იმაზე, რომ ქალაქის მუშებს რაიმე ხელშესახები გავლენა ჰქონებოდათ გლეხურ მოსახლეობაზე.

ამრიგად, აზერბეიჯანში, ქალაქსა და სოფელს შორის ნამდვილი უფსკრული გაჩნდა. მაშინ, როდესაც ბაქოს პროლეტარიატი მე-XX საუკუნის დასაწყისშივე ეზიარა რევოლუციონურ მოძრაობას და მოკლე ხანში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია დაიკავა მეფის თვითმპყრობელობის დამხობისათვის, ხოლო შემდეგ კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლების მოსპობისათვის წარმოებულ რევოლუციონურ ბრძოლაში, აზერბეიჯანის სოფელი ჯერ კიდევ ძილს განაგრძობდა და უდრტვინველად იტანდა ჩაგვრასა და ძარცვას ხანებისა და ბეგების მხრივ. იგი არა თუ არ თანაუგრძნობდა ქალაქის მუშების რევოლუციონურ მოძრაობას, არამედ მას არც კი ესმოდა ეს მოძრაობა; მთელი უბედურება ის იყო, რომ გლეხობას ვერავინ უხსნიდა ამ მოძრაობის აზრსა და მნიშვნელობას. ამიტომ არაფერი გასაკვირალი არ არის იმაში, რომ აზერბეიჯანის გლეხობა მტრულად იყო განწყობილი მუშათა რევოლუციონურ მოძრაობის მიმართ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ აზერბეიჯანის გლეხობა საკმაოდ ღრმად განმარტოებული იყო მუშათა კლასისაგან და, მაშასადამე, ყოველივე იმისაგან, რის მატარებელიც არის მუშათა კლასი, ე. ი. უწინარეს ყოვლისა მთელი რევოლუციონური მოძრაობისაგან. ჩვენ კი ვიცით, რომ ეს მოძრაობა ამიერკავკასიის სხვა ნაწილებში ამა თუ იმ სახით აღწევდა სოფლამდე და ეს უკანასკნელი ამა თუ იმ სახით ებმებოდა ქალაქის მუშების რევოლუციონურ ბრძოლაში. აზერბეიჯანის სოფელი ამ მხრივ სამწუხარო გამონაკლისს წარმოადგენდა (რა თქმა უნდა, მე მხედველობაში არა მაქვს გლეხების სხვადასხვა სტიქიური აღშფოთებანი თავიანთი უშუალო მჩაგვრელების წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა აზერბეიჯანის სოფლებში). თითქმის სამივე რევოლუციამ, რომლებიც ჩვენ მე-XX საუკუნის განმავლობაში განვიცადეთ, გვერდი აუარა აზერბეიჯანის სოფელს და არ შეეხებია მას. ზემოთაღნიშნული მიზეზების გარდა ეს იმითაც აიხსნება, რომ თავის დროზე მუშათა კლასის პოლიტიკურმა პარტიებმა აზერბეიჯანში (მხედველობაში მაქვს რევოლუციონური სოციალ-დემოკრატია) თითქმის სრულებით გაუშვეს მხედველობიდან აზერბეიჯანის სოფელი და აზერბეიჯანის გლეხობა და მთელ თავის მოღვაწეობას მუშებში აწარმოებდნენ. ეს იყო უდიდესი შეცდომა, რომლის შედეგები დღემდეც კი არ არის აღმოფხვრილი. სამაგიეროდ სოფელზე „ზრუნვა“ იკისრეს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მიმართ მტრულად განწყობილმა ჯგუფებმა და ორგანიზაციებმა, ე. ი. სწორედ მათმა კლასობრივმა მტრებმა: ხანებმა, ბეგებმა და სამღვდელოებამ. უნდა ითქვას, რომ ამ ელემენტებმა განსაკუთრებით გააძლიერეს თავიანთი გავლენა გლეხთა მასებზე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ეს გასაგებიცაა. ოქტომბრის რევოლუცია ხომ მათი ბატონობის აღსასრულს მოასწავებდა, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. რა თქმა უნდა, ამ ვაჟბატონებს ახლა უკვე აღარ შეეძლოთ თილად წაეყვანათ მტვირალა რევოლუციონური ფრაზების გარეშე, და ამიტომ მშრომელი მასების მოსატყუებლად ისინი მიმართავდნენ რევოლუციონურ ფრაზეოლოგიას და ზოგჯერ „სოციალისტებსაც“ კი უწოდებდნენ თავს.

ამ მხრივ ყველაზე უტიფარი და განსაკუთრებით ცინიკური იყო და არის პირწავარდნილი კონტრ-რევოლუციონური, ხანებისა და ბეგების პარტია „მუსავატი“, რომელიც შედარებით გვიან წარმოიშვა და რომელმაც განსაკუთრებით გააძლიერა და გააფართოვა თავისი კონტრ-რევოლუციონური მუშაობა სწორედ ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში. ვითომ თურქული ეროვნების გადასარჩენად მან დაიწყო ულმობელი ბრძოლა მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის წინააღმდეგ, რისთვისაც პირველ რიგში მიმართა ვდა უსაზიზღრესს პროვოკაციულ ხერხს. ამ ანკესზე ეგებოდნენ არა თუ გაუნათლებელ გლეხთა მასები, არამედ თურქი მუშაიც. ამავე დროს, თუ ქალაქში მუსავატის მოვლინება შედარებით ადვილი იყო, სულ სხვა მდგომარეობა იყო სოფლად, ვინაიდან აქ მუსავატელები, ე. ი. ხანებისა და ბეგების ხროვა, თითქმის სრული ბატონ-პატრონნი იყვნენ. ამ ბატონობის ნიადაგზე ადგილი ჰქონდა ისეთ მოვლენებს, რომლების მოგონებაც კი თმას ყალყზე აყენებს, როგორიც იყო შამქორის საშინელი ტრაგედია 1918 წლის იანვარში, ან იმავე წლის მარტის ისტორია ბაქოში. ყოველივე ეს მოწყობილი იყო მუსავატელების მიერ, რა თქმა უნდა, ქართველი და რუსი მენშევიკების, სომეხი დაშნაკელების და რუსი და სომეხი სოციალ.-რევოლუციონერების სრული თანხმობითა და ლოცვა-კურთხევით. ყველა ამ პარტიებს, დაწყებული 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროიდან, დეზორგანიზაცია და არევ-დარევა შეჰქონდათ უმთავრესად ქალაქ ბაქოს მუშებში. ზემოთჩამოთვლილი პარტიები თავიანთი ინტრიგებითა და პროვოკაციით საბჭოების შესახებ არსებითად მუსავატელებს უკაფავდნენ გზას ხელისუფლებისაკენ, რაც სინამდვილეში მოასწავებდა არა თუ ოქტომბრის, არამედ თვით თებერვლის რევოლუციის მონაპოვართა სრულ ლიკვიდაციას და, მაშასადამე, მთელ აზერბეიჯანში ბურჟუაზიული დიქტატურის დამყარებას ხან-ხოისკების, ლიანოზოვებისა და კომპანიის მეთაურობით.

ერთად-ერთი პარტია, რომელსაც შეეძლო ხელი შეეშალა ამისათვის, იყო ბოლშევიკების პარტია. მას გადამჭრელი პასუხი უნდა გაეცა ყველა ამ კონტრ-რევოლუციონური პარტიებისათვის, რათა გადაერჩინა რევოლუცია, რათა გადაერჩინა მუშათა კლასი კაპიტალისტებისა და მემამულეების მიერ ახალი დამონების საფრთხისაგან.

და აი, ამ გაფართოებული წინააღმდეგობის შედეგად, 1918 წლის მარტში ბაქოში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. სხვა გამოსავალი არ იყო. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება თავიდანვე აუტანელ მძიმე პირობებში მოექცა.

ქალაქს ირგვლივ ერტყა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი, მუსავატელების პროვოკაციის ანკესზე წამოგებული გლეხური ზღვა. თვით ქალაქში პროლეტარიატს ღრღნიდა მენშევიკების, მუსავატელების, დაშნაკელების და ესერების ინტრიგები და პროვოკაცია. ინტელიგენცია საბოტაჟს ეწეოდა, ბაზარზე გაქრა პირველი საჭიროების პროდუქტები და ყოველივე ამას მოჰყვა შიმშილობა თავისი ყველა საშინელი შედეგებით. ამას დაემატა ახალი გამცემლობა საქართველოს მენშევიკური მთავრობისა, რომელმაც თავის ტერიტორიაზე გაატარა თურქეთის ჯარები, და ხელი შეუწყო ბოლშევიკებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მუსავატელების მიერ მოწვეული თურქების შეტევას ბაქოზე. ამასთან დაკავშირებით სცენაზე გამოჩნდნენ ინგლისელები წინააღმდეგ თურქებისა, რომლებიც არ სურდათ დაშნაკელებსა და ესერებს; ამას ზედ დაემატა თურქების წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა.

ამ პირობებში ბოლშევიკების ძალები თანდათან შესუსტდა და ბაქოს მუშათა კლასმა პირველად თავის ისტორიაში გამოიჩინა მერყეობა. იგი აჰყვა მენშევიკებისა და ესერების პროვოკაციას და საბჭოთა ხელისუფლებისათვის განსაკუთრებით კრიტიკულ მომენტში თავისი უმრავლესობით მხარი არ დაუჭირა ბოლშევიკებს, მაშასადამე, მხარი არ დაუჭირა არც საბჭოთა ხელისუფლებას.

გაერთიანებული კონტრ-რევოლუცია გამარჯვებას ზეიმობდა.

საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში დაეცა, მაგრამ დაეცა დროებით. ეს იყო 1918 წლის ივლისში.

ბაქოს მუშები საშინლად დაისაჯნენ ამ შეცდომისათვის. ინგლისელებმა ვერ შეაჩერეს თურქების შეტევა. თეთრი პური ვერავინ ვერ მიიღო. ხოლო ამას შემდეგ ბაქოში შევიდნენ თურქები, რასაც მოჰყვა ხანძრები, რბევა და სომხური მოსახლეობის ჟლეტა. მაგრამ ინტრიგების, მოტყუებისა და გამცემლობის მთელ ამ ისტორიაში ყველაზე საშინელი, ყველაზე დანაშაულებრივი იყო თავდაპირველად ბაქოს 26 კომუნარის საიდუმლოდ გატაცება იმიერ-კასპიის მხარეში და შემდეგ მათი დახოცვა იქ ინგლისის ხელისუფლების ბრძანებით დაქირავებული ესერების მიერ, რაც რა თქმა უნდა, იცოდნენ მენშევიკებმა და დაშნაკელებმა.

ყოველივე ამის შემდეგ გავიდა ცოტა დრო. თურქები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებიათ ბაქო და მათ მაგიერ კვლავ ინგლისელები გამოჩნდნენ. ფორმალურად სცენაზე გამოდის მუსავატისტური ხელისუფლება მთელი თავისი კონტრრევოლუციონური შინაარსით; ნამდვილად კი ყველაფერს ინგლისის სარდლობა განაგებდა.

მაგრამ ყველაფერზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ თვით ქ. ბაქოს მუშათა კლასში ძალიან მალე მიადგა გამოფხიზლება. მუშები, როგორც მოსალოდნელი იყო, სწრაფად გამოერკვნენ, აღიარეს მათ მიერ ჩადენილი ის შეცდომა, რომ უმძიმესი გამოცდის წუთებში ისინი მიემხრნენ მუშათა კლასის მტრებს—მენშევიკებსა და ესერებს, და მათთვის ცხადი გახდა, რომ ერთად-ერთი, რაც ჩირქმოუცხებელი დარჩა, ეს იყო ერთად-ერთი ნათელი წერტილი წარსულში—საბჭოთა ხელისუფლება და ერთად-ერთი ბოლომდე რევოლუციონური პარტია მუშათა კლასისა—ბოლშევიკ-კომუნისტების პარტია, ლენინის პარტია. ბაქოს როგორც პარტიული, ისე უპარტიო მუშები ახლა უკვე თითონ იწყებენ საბჭოთა ხელისუფლების მოწყობას, იწყებენ ამ საქმეს მუშათა კონფერენციის მოწვევით. მუშათა კონფერენცია ამას შემდეგ დროებითი ორგანოდან მალე იქცევა მუდმივად მოქმედ დაწესებულებად, რომელიც გამოხატავდა ბაქოს ნებისყოფას. და, მართლაც, ყველა ასე უყურებდა ამ ორგანიზაციას, თვით მუშათა კონფერენციამ კი ისე დააყენა საქმე, რომ მისთვის ანგარიში უნდა გაეწიათ, როგორც მუსავატისტურ მთავრობას, ისე აზერბეიჯანის ფაქტიურ მმართველს—ინგლისის სარდლობას. და არა ერთხელ ინგლისის სარდლობის წარმომადგენელი გამოცხადებულა მუშათა კონფერენციაზე ამ უკანასკნელის გამოწვევით ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენლებისათვის ახსნა-განმარტების მისაცემად. როგორც ზევით ვთქვი, მუშათა კონფერენცია რამდენადმე ასრულებდა მუშათა დეპუტატების საბჭოს როლს, იგი, სხვათა შორის, ხელმძღვანელობდა მუშათა გაფიცვებისა და დემონსტრაციების, საპირველმაისო დღესასწაულების მოწყობის და სხვ. საკითხებს. მუშათა კონფერენციის გავლენა თანდათან იზრდებოდა, მაგრამ კიდევ უფრო სწრაფად იზრდებოდა ბოლშევიკური პარტიის გავლენა და ამასთან შეფარდებით მცირდებოდა მენშევიკებისა და ესერების მოღალატური პარტიების მნიშვნელობა და როლი. თვით ბაქოში სახარბიელო მდგომარეობაში არც თვით მმართველი პარტია—მუსავატი იყო. მეტ წილად მას აბუჩად იგდებდნენ. მაგალითად, მე არასოდეს არ დამავიწყდება შემდეგი ფაქტი: ჩვენი პარტიის არალეგალურმა ორგანიზაციამ საოლქო კომიტეტისა და ბაქოს კომიტეტის სახით 1919 წლის მაისში მუსავატის ცენტრს მ. ე. რასულ-ზადეს მეთაურობით ნამდვილი ულტიმატუმი წარუდგინა, საკითხი ეხებოდა მძლავრი საყოველთაო საპროტესტო გაფიცვის მოწყობას დენიკინის წინააღმდეგ, რომლის ბაქოში შემოსვლა დღედღეზე მოსალოდნელი იყო. ამ გაფიცვის მოწყობასა და გატარებას ხელი მოჰკიდა ჩვენი პარტიის ბაქოს ორგანიზაციამ და ეს ბრწყინვალედაც შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ მუსავატს ეს აშკარად არ სურდა. მუსავატი და სხვა პარტიები ამ გაფიცვის წინააღმდეგნი იყვნენ, ვინაიდან ეს არაპირდაპირ მიმართული იყო ინგლისის სარდლობის წინააღმდეგაც, რომელიც დენიკინს მფარველობდა.

მაგრამ ყოველივე ის, რასაც მე აქ ვამბობ, მხოლოდ თვით ბაქოს ეხება. სოფლად მდგომარეობა სხვანაირი იყო. იქ წინანდებურად პარპაშობდნენ მუსავატელები, ან სხვა სიტყვით, რომ ვთქვათ, გლეხობა კვლავ მოქცეული იყო მემამულეების, კულაკების და მოლების უღელ ქვეშ და ეს იყო ჩვენი ორგანიზაციის ყველაზე სუსტი ადგილი, რასაც ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა ეჩინა თავი. მუსავატის ხელისუფლება თანდათან და სწრაფად სუსტდებოდა. იგი პირდაპირ იხრწნებოდა ყველას თვალის წინ; მუსავატის მთავრობამ, განსაკუთრებით, იგრძნო თავისი აღსასრულის მოახლოება მას შემდეგ, რაც აზერბეიჯანიდან და მთელი ამ.-კავკასიიდან წავიდა ინგლისის საოკუპაციო ჯარი. ეს იყო 1919 წლის შემოდგომაზე. მუსავატისტური მთავრობის ბედი ამით უკვე გადაწყვეტილი იყო. მაგრამ თუ ამის შემდეგ მან კიდევ თითქმის 7-8 თვე იარსება, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ჩვენი პარტია აზერბეიჯანში კიდევ არ იყო მზად საბჭოთა ხელისუფლების დასაპყრობად. მართალი რომ ვსთქვათ, აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გვიანდებოდა უმთავრესად იმით, რომ ჩრდილოეთი კავკასია იმ დროს ჯერ კიდევ დენიკინს ეჭირა. მაგრამ, ვინაიდან 1920 წლის დამდეგს დენიკინი უკვე საბოლოოდ განადგურებულ იქნა და, მაშასადამე, რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკა აზერბეიჯანის უშუალო მოსაზღვრე გახდა, ცხადია, რომ დაჰკრა მუსავატისტური აზერბეიჯანის აღსასრულის ჟამმა. მუსავატისტური მთავრობის უკანასკნელი აქტი—ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემა—მოწმობდა მუსავატელების სრულ გაკოტრებას. ეს გადაცემა მოხდა თითქმის სრულიად უბრძოლველად, რაც მოწმობდა იმას, რომ პროლეტარულ ცენტრში მუსავატს ნიადაგი არ გააჩნდა. ეს საკმაო იყო იმისათვის, რომ იგი დამხობილიყო აზერბეიჯანის ცენტრში. მაგრამ ამისვე თქმა აზერბეიჯანის სოფლის შესახებ უკვე შეცდომა იქნებოდა. ამის დამამტკიცებელი საბუთი მრავალია. და ეს გაკვეთილი, სამწუხაროდ, მხედველობაში ვერ მიიღეს აზერბეიჯანელმა ამხანაგებმა, ეს პირდაპირ უნდა ითქვას.

მუსავატელებმა და მათმა მსგავსმა კონტრ-რევოლუციონერებმა შეძლება კიდევ ხსადონ რაიმე ავანტიურის წამოწყება აზერბეიჯანის სოფელში, მაგრამ ისინი ვერ შესძლებენ ხალხებათა ისტორიული მიმდინარეობის შეცვლას. რას ეყრდნობიან ისინი? ერთის მხრივ, სოფლის ჩამორჩენილობას, სიბნელესა და უვიცობას, ხოლო მეორეს მხრივ კონტრრევოლუციონური კლასების (ხანების, ბეგებისა და სხვ.) ნაშთებს.

მაგრამ მათ ხომ არ შეუძლიათ ჰქონდეთ პროლეტარიატის, აზერბეიჯანის მუშათა კლასის იმედი, ხოლო ამ დახმარების გარეშე ყველა მათი ცდები წინდაწინ განწირულია. აზერბეიჯანის მშრომელმა მასებმა უკვე დიდი ხანია თავიანთი ბედი საბჭოებს დაუკავშირეს. ამ გზიდან მათ ველარავინ გადაახვევინებს. ამ გზაზე აზერბეიჯანის საბჭოთა ხელისუფლებას ამ ათი წლის განმავლობაში აქვს ბუმბერაზული მიღწევები ყველა ფრონტზე, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის სფეროში. აზერბეიჯანის ხალხი ამ წლებში მართლაც აღორძინდა და ხელიერად აღდგა. თურქი ქალი თანდათან მიდის სრული განთავისუფლებისაკენ. ეს ვინმეს გამოგონებული როდია, არამედ ფაქტებია. მუსავატელების აზერბეიჯანის მშრომელ მასებს ეწევიან უკან, სიბნელისა და მონობისაკენ. მაგრამ ისინი ამას ვერ შესძლებენ. ჩვენ კი მოვუწოდებთ აზერბეიჯანის მშრომელ მასებს გასწიონ წინ, სოციალიზმისაკენ, და დარწმუნებულნი ვართ, რომ აზერბეიჯანის მუშები და გლეხები შესძლებენ, როგორც დღემდე, წარმატებით სვლას სოციალიზმისაკენ.

ფ. მახარაძე.

დამთავრდა თურქესტან-ციმბირის რკინის გზის მშენებლობა

მსოფლიო პროლეტარიატი გაცხოველებით ემზადება 1 მაისის დემონსტრაციისათვის

ფაშისტურ-რეაქციონური მთავრობები შეშფოთებული არიან

მსოფლიო პროლეტარიატი
ემზადება პირველ მაისისათვის

გერმანია

„ფორვერტს“-ი ჭორებს ავრცელებს

ბერლინი, 25 აპრილი. ამ უკანასკნელ დროს მთელს გერმანიაში გაძლიერდა მუშათა რევოლუციური ორგანიზაციების მზადება პირველი მაისისათვის საწარმოებში ყოველდღე იმართება კომპარტიის და რევოლუციონური პროფოპოზიციის მიერ მოწვეული მრავალრიცხოვანი კრებები. იმართება აგრეთვე უმუშევართა კრებები. დიდ ქალაქებში სწარმოებს პროპაგანდა ქუჩებსა და ბინებზე. წარსული წლის მსგავსად სოციალ-დემოკრატები და რეფორმისტული ბიუროკრატია ახლაც მიმართავენ ათასგვარ სიყალბეს, რომ ხელი აღებინონ მუშებს კომპარტიის მიერ მოწყობილ დემონსტრაციებში მონაწილეობაზე.

„ფორვერტსი“ ათავსებს ცირკულიარს, რომელიც ვითომ გერმანიის კომპარტიის ეკუთვნის. ცირკულიარში ლაპარაკია კომუნისტების მიერ საგანგებო რაზმების მოწყობაზე სოციალ-დემოკრატიული საპირველმაისო კრებების ჩასაშლელად.

„როტე ფანე“ აცხადებს, რომ „ფორვერტს“-ში დაბეჭდილი ცირკულიარი მორიგ სიყალბეს წარმოადგენს (ადს).

პროფოპოზიციის კომიტეტის მოწოდება

ბერლინი, 25 აპრილი. ბერლინ-ბრანდენბურგის ოლქის რევოლუციონური პროფოპოზიციის რაიონულმა კომიტეტმა მიმართა რეფორმისტული კავშირების ბერლინელ წევრებს მოწოდებით—პირველი მაისის დემონსტრაციები ჩაატარონ რევოლუციონური პროფოპოზიციის დროშებით და ლოზუნგებით და არ მიიღონ მონაწილეობა რეფორმისტთა კრებებზე, რომლებსაც მართავენ დახურულ შენობაში (ადს).

ბერლინი, 25 აპრილი. ქალაქ აუგსბურგის (ბავარია) პოლიციამ აკრძალა მიტინგები და დემონსტრაციები, რომელთაც აწყობს კომპარტია (ადს).

ესტონეთი

კომუნისტური დემონსტრაცია აკრძალეს

რეველი, 25 აპრილი. რეველის პოლიციის უფროსმა აუკრძალა პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ საბჭოს დემონსტრაციის მოწყობა პირველ მაისს. დემონსტრაციის მოწყობის ნებართვა მიიღეს მხოლოდ სოციალისტებმა (ადს).

შვეცია

კომპარტიის მოწოდება

სტოკჰოლმი, 25 აპრილი. „ნიუ დაგ“-ში გამოქვეყნებული შვეციის კომპარტიის მანიფესტი მოუწოდებს მუშებს — მონაწილეობა მიიღონ საპირველმაისო დემონსტრაციაში, რომელსაც კომპარტია აწყობს. (ადს).

პოლონეთი

აძლიერებენ რეპრესიებს

ვარშავა, 25 აპრილი. მაისის მოახლოებასთან ერთად, დღითი-დღე მატულობს დაპატიმრებულთა რიცხვი. ვარშავაში დააპატიმრეს 100 კაცზე მეტი.

დღევანდელი გაზეთები ათავსებენ ცნობებს მასიურ დაპატიმრებათა შესახებ ლვოვში. (ადს).

შვეიცარია

საპირველმაისო დემონსტრაციის აკრძალვა

ბერლინი, 25 აპრილი. როგორც ჟენევიდან იუწყებიან, ბაზელის პროფკავშირთა საბჭომ, რომელსაც რევოლუციონური პროფოპოზიცია ხელმძღვანელობს და შვეიცარიის კომპარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ პარკტპლაცში (ქალაქის მთავარი მოედანი) დანიშნეს დიდი საპირველმაისო დემონსტრაცია. პოლიციამ აკრძალა კომუნისტური დემონსტრაცია იმ საბაბით, რომ ამ მოედანზე უკვე დანიშნულია სოც.-დემოკრატების დემონსტრაცია.

კომუნისტური „ბაზლერ ფორვერტს“-ი აცხადებს, რომ ეს დემონსტრაცია, აკრძალვის მიუხედავად, მაინც შესდგება. (ადს).

უნგრეთი

კომპარტიისა და კომკავშირის ფურცლები

ვენა, 25 აპრილი. სეგედინში (უნგრეთი) კედლებზე გააკრეს კომპარტიისა და კომკავშირის ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ მუშებს — მოაწყონ 1 მაისს ერთი დღის გაფიცვა, გამოვიდნენ ქუჩაში და დემონსტრაცია მოახდინონ პროლეტარიატის დიქტატურისათვის კომინტერნის ლოზუნგებით. ასეთივე ფურცლები გაავრცელეს ბუდაპეშტში და სხვა პროვინციალურ ქალაქებში. პოლიციამ მოახდინა მთელი აპარატის მობილიზაცია ამ არალეგალური სტამბის აღმოსაჩენად, სადაც ფურცლები დაიბეჭდა.

ახალგაზრდობის დემონსტრაციის დახვრეტა

პრაღა, 26 აპრილი. ჩეხო-სლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„სისხლის ღვრას რადოტინოში (პრაღის მუშათა გარეუბანი) სადაც 20 აპრილს ჟანდარმებმა, კომუნისტური ახალგაზრდობის დემონსტრაციის ჩაშლის მიზნით, 5 კაცი დახვრიტეს, მხურვალედ გამოეხმაურა დეპუტატთა პალატა პირველსავე სხდომაზე სააღდგომო არდადეგების შემდეგ. კომუნისტი დეპუტატები ხმამაღლა მოითხოვდნენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი გამოსულიყო და განცხადება გაეკეთებინა რადოტინოს ამბების შესახებ. ორმა კომუნისტმა დეპუტატმა სხდომის დარბაზში შეიტანა იმ პირების ტანისამოსის ნაწილი, რომლებიც ჟანდარმებმა დახვრიტეს. კომუნისტმა დეპუტატებმა აიძულეს პრემიერ მინისტრი დაეტოვებინა სხდომის დარბაზი, მინისტრის სკამისაკენ ფურცლები გადაყარეს და მკაცრი შეტაკება გამოიწვიეს მთავრობის კოალიციის დეპუტატებთან.

კომუნისტმა დეპუტატმა კოლეცკიმ რადოტინოს სისხლისღვრა დაახასიათა, როგორც ერთ-ერთი რგოლი მუშათა კლასის ბრძოლის ჩახშობის სისტემაში (ადს).

ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების პოპულარიზაცია

ლონდონი, 25 აპრილი. ინგლის-საბჭოთა კავშირის დროებითი სავაჭრო ხელშეკრულების ტექსტი გამოქვეყნებულ იქნა „თეთრი წიგნი“-ს სახით.

მდგომარეობა ჩინეთში

ენ-სი-შანი ნანკინის მოწინააღმდეგე მთავრობას ადგენს

ტოკიო, 24 აპრილი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ენ-სი-შანი წინადადებას აძლევს ჩენ-სუე-ლიანს მიიღოს მონაწილეობა ნანკინის მოწინააღმდეგე მთავრობის შედგენაში. (ადს).

წითელი დროშა ტაძარზე

პეკინი, 25 აპრილი. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა კომუნისტური დემონსტრაციების შესახებ, რომლებიც გაიმართა კვირას. როგორც ირკვევა, დემონსტრანტებმა თავი მოიყარეს ტაძართან, ხატამენის ქუჩაზე, პეკინის სავაჭრო კვარტალში, სადაც ტაძრის თავზე აღმართეს წითელი დროშა. შემდეგ მოაწყვეს მსვლელობა დროშებით და პლაკატებით, რომლებზედაც ეწერა: „ძირს გომინდანი, გაუმარჯოს კომპარტიას“. დემონსტრაციასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ იქნა 100 კაცი.

ჩიანსის მთავრობამ არ შეუძლია ჩააქროს გლეხთა აჯანყება

შანხაი, 25 აპრილი. ჩიანსის პროვინციის მთავრობის თავმჯდომარემ ლიუ ტი-პინმა გადადგომა ითხოვა; თხოვნა მან იმით დაასაბუთა, რომ შეუძლებელია გლეხთა ამბოხებისა და აჯანყების ჩაქრობა. (ადს).

შანხაის ავტობუსების გაფიცვა ფართოვდება

შანხაი, 25 აპრილი. ავტობუსების გაფიცვა ფართოვდება. მათ შეუერთდნენ ტრამვაის ვატმანები, კონდუქტორები და მექანიკოსები. ავტობუსებისა და ტრამვაის მოძრაობა ქალაქში ჩაკვდა, თუმცა კომპანიები ცდილობენ მოაგვარონ მოძრაობა რუს თეთრგვარდიელთა დახმარებით. მოხდა რამდენიმე დემონსტრაცია, რომლის დროსაც ჩაამტვრიეს ტრამვაის ფანჯრები. პოლიცია ამტკიცებს, რომ ეს გაფიცვა საყოველთაო გაფიცვის შესავალია. ჩუანჩოუს ფაბრიკების მუშებმა საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადეს ადმინისტრაციის უხეში მოპყრობის წინააღმდეგ. (ადს)

ავღანისტანში

ლონდონი, 25 აპრილი. რეიტერის სააგენტო პეშევარიდან იუწყება:

„მიღებულია ცნობა, რომ ტომებმა განაახლეს თავდასხმა. ამასწინად ავღანისტანის მთავრობის ჯარმა შეიპყრო თავდასხმის რამდენიმე მონაწილე და დახვრიტა ისინი ტყვიამფრქვევებით. აჯანყების რაიონში გაგზავნეს დამხმარე ძალები, იუწყებიან აგრეთვე კალგანში ავღანელ ჯარსა და აჯანყებულებს შორის წარმოებულ ბრძოლის შესახებ. (გამოტოვებულია) რომელთაც დამარცხების შემდეგ დაიხიეს და თავი შეაფარეს მახლობელ მთებს“. (ადს).

აჯანყება მაროკოში

პარიზი, 25 აპრილი. სამხედრო სარდლობის ოფიციალური ცნობის მიხედვით, მაროკოში საფრანგეთის ჯარი შეტევაზე გადავიდა. ჯარმა დაიჭირა ჯერ კიდევ დაუმორჩილებელ ტომის ტადლის ტერიტორიის ნაწილი.

აფეთქება ქარხანაში

პარიზი, 24 აპრილი. ლიეჟში (ბელგია) აზოტის ქარხანაში გასკდა რეზერვუარი აზოტის სიმჟავით. მოკვდა 4 მუშა, დაშავდა 70, მათგან 10 მძიმედ. (ადს).

მორიგი გამარჯვება
სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე

თურქესტან-ციმბირის რკინის გზის მშენებლობა დამთავრდა

ალმა-ატა, 26 აპრილი. 25 აპრილს 7 საათზე მოსკოვის დროით მოხდა თურქესტან-ციმბირის რკინის გზის სამხრეთ და ჩრდილოეთ უბნების ლიანდაგის შეერთება. 24 აპრილს დამთავრდა უკანასკნელი ხელოვნური ნაგებობა—ხიდი მდინარე ქში-ბიეზე.

მშენებლობის დროის განმავლობაში „თურქსტალი“-ს მუშებმა მთლიანად ააგეს 8 დიდი ხიდი. სოციალისტური შეჯიბრების წყალობით, გეგმის გარეშე დამთავრდა კარატალის და აიაგუზის ხიდები, ვადაზე ადრე დამთავრდა ბულანინის ვიადუკი.

გამართულ მიტინგზე „თურქსტალ“-ის მუშებმა სალამი უძღვნეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა კავშირის მშრომელთ.

26 აპრილს მთავრდება რკინის გზის ხიდის ბურჯები მდინარე სარა-ბულაკზე. ამ ხიდს მეექვსე უბნის მუშები აგებენ გეგმის გარეშე პარტიის საოლქო კომიტეტისათვის მისაძღვნელი საჩუქრის სახით. გეგმის თანახმად, ბურჯები ივლისის დამლევს უნდა დამთავრებულიყო (ადს).

მშენებლობის უფროსის დეპეშა ამხ. სტალინს

მოსკოვი, 26 აპრილი. ამხ. სტალინმა თურქესტან-ციმბირის რკინის გზის მშენებლობის უფროს ამხ. შატოვისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„დღეს 7 საათზე და 6 წუთზე მოსკოვის დროით სამხრეთის უბნის ლიანდაგი შეუერთდა ჩრდილოეთის უბნის ლიანდაგს 640 კილომეტრის მანძილზე სადგურ ლუგოვაიადან. თურქესტან-ციმბირის რკინის გზაზე პირდაპირი მიმოსვლისათვის გზა გახსნილია.

მშენებლობის უფროსი შატოვი“ (ადს).

ამხ. სტალინის პასუხი

მოსკოვი, 26 აპრილი. ამ ცნობის პასუხად ამხ. სტალინმა ამხ. შატოვს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„მხურვალე სალამი მუშაკებს თურქესტან-ციმბირის რკინის გზის მშენებლობის სანიმუშოდ შესრულებისათვის“.

ი. სტალინი.

დელეგატები რკინის გზის გახსნაზე დასასწრებლად

არისი, 28 აპრილი. მატარებელი თურქესტან-ციმბირის რკინის გზის გახსნაზე მიმავალ დელეგატებით მოსკოვიდან გავიდა სადგურ არისში—გზის დასაწყის პუნქტში. აქედან მატარებელს წაიყვანს იმავე დღეს მუშების მიერ თურქესტან-ციმბირის რკინის გზისათვის მისაძღვნელ საჩუქრად შეკეთებული ორთქლმავალი. ლიანდაგის შეერთების ადგილზე—აინაბულაკში მზადება ზეიმისათვის. ზეიმის დღეებში გამოვა სპეციალური გაზეთი „კაზახსტანის ფოლადის გზა“ (ადს).

სამრეწველო აკადემიის მსმენელთა გამოშვება

მოსკოვი, 26 აპრილი. ამხ. კუიბიშევის ხელმოწერით გამოქვეყნებულ იქნა ს.მ.უ. საბჭოს ბიულეტენი სამრეწველო აკადემიის მსმენელთა გამოშვების შესახებ. 26 აპრილს სამრეწველო აკადემია უშვებს თავის მსმენელთა პირველ ჯგუფს. ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ორგანიზაცია ძლიერდება 110 მეთაურიანი რაზმით, რომელიც დაწინაურდა სოციალისტური მშენებლობის პროცესში და ამჟამად შეიარაღებულია სამრეწველო აკადემიაში მიღებული ეკონომიურ-ტექნიკური ცოდნით. სამრეწველო აკადემიამ მუშაობა დაიწყო იმ მომენტში, როდესაც დიდი და გაბედული ხუთწლიანი გეგმის დამუშავება მთავრდებოდა. ეს გეგმა აშინებდა მემარჯვენეებსა და შემარიგებლებს, აროთმდა ბურჟუაზიულ ქვეყანას, რომელიც ჩვენ დიდ სამუშაოთა ხუთწლიან გეგმას უწოდებდა უტოპიას, ან ბოლშევიკურ მოტყუებას.

ამჟამად ხუთწლიანი გეგმის შესრულება ახალი ტემპებით მიმდინარეობს და მისი ოთხი წლის განმავლობაში დამთავრების იდეა ყოველდღიურად ხორციელდება.

სამრეწველო აკადემიის კურსდამთავრებულნი სოციალისტური მშენებლობის ფრონტს სწორედ იმ მომენტში უბრუნდებიან, როდესაც მუშათა კლასისა და მეურნეობის ხელმძღვანელთა მთელი ყურადღება მიმართულია სამრეწველო-საფინანსო გეგმის ხარისხობრივად და თვისებრივად განხორციელებისაკენ.

სამრეწველო აკადემიის მსმენელთა პირველი ჯგუფის გამოშვების საზეიმო დღეს ს.მ.უ. საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის მრეწველობის ახალ მეთაურებს, რომლებიც საბრძოლველად გამოდიან შემდეგი ლოზუნგით: „ისტორიულად შედარებით მინიმალურ ვადაში დავეწიოთ და შემდეგ გავასწროთ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების ინდუსტრიალური განვითარების დონეს“ (ადს).

ამხ. სტალინის მისალმება

მოსკოვი, 26 აპრილი. სოციალისტური მრეწველობის ახალი კადრების შექმნა მუშათა კლასის წევრთაგან, რომელთაც შეეძლებათ ხელმძღვანელობა გაუწიონ საწარმოებს, როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკურად, ისე საწარმოო - ტექნიკურად, მომენტის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

თუ ეს ამოცანა არ შესრულდება, შეუძლებელი იქნება განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის გარდაქმნა ჩამორჩენილი ქვეყნიდან მოწინავე ქვეყნად, აგრარული ქვეყნიდან ელექტროფიკაციისა და ლითონის, მანქანებისა და ტრაქტორების ქვეყნად.

სამრეწველო აკადემია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამჭედლოა ასეთი კადრების შესაქმნელად.

სამრეწველო აკადემიის პირველი გამოშვება პირველი ისარია, გასროლილი ჩვენი მტრების ბანაკში, საწარმოო რუტინისა და ტექნიკური ჩამორჩენილობის ბანაკში.

ვიმედოვნებთ, რომ მრეწველობის ახალი ხელმძღვანელნი, რომელნიც დღეს აკადემიის კედლებს სტოვებენ, საქმით დაგვანახვებენ შრომითი აღფრთოვანებისა და ნამდვილი რევოლუციონური მუშაობის მაგალითს მშენებლობის ბოლშევიკური ტემპების განხორციელების საქმეში.

სალამი პირველ გამოშვებას სამრეწველო აკადემიისას, რომელიც ჩვენს ქვეყანას აძლევს ტექნიკური ცოდნით შეიარაღებულს, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ხელმძღვანელთა ახალ ბოლშევიკურ რაზმს.

ი. სტალინი.

ინდოეთი იბრძვის დამოუკიდებლობისათვის

ირაქის ნაციონალისტური პარტიის ლიდერის მიმართვა ინდოეთის მოსახლეობისადმი

ლონდონი, 25 აპრილი. კალკუტის გაზეთ „ლიბერტ“-ში გამოქვეყნდა ირაქის ნაციონალური პარტიის ლიდერის მუზახიმ ბეგ ამჩიხალ პაჩაჩის მიმართვა ინდოეთის მოსახლეობისადმი.

თავის მიმართვაში მუზახიმ ბეგი აღნიშნავს, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი თანაუგრძნობს გულწრფელად კოლონიალური ქვეყნების მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ და მხოლოდ ის არის იმპერიალისტების ნამდვილი მტერი. სწორედ ამიტომ აწარმოებენ ინგლისელები ასეთ ენერგიულ ანტისაბჭოთა კამპანიას არაბეთსა და ინდოეთში.

„ინგლისელების ანტისაბჭოთა კამპანიისათვის მხარის დაჭერა, რა სახითაც არ უნდა სწარმოებდეს იგი— სწერს მუზახიმ ბეგი,— ნიშნავს დახმარებას ინგლისის ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს ჩაშალოს კოლონიალური ქვეყნების დამოუკიდებლობისაკენ მიმართული მოძრაობა“.

მუშათა პარტიის მთავრობის როლს მუზახიმ ბეგი ახასიათებს შემდეგნაირად:

„არაბეთის ნაციონალისტები დარწმუნდნენ, რომ ინგლისის მუშათა პარტია წარმოადგენს ინგლისური იმპერიალიზმის ისეთსავე პარტიას, როგორიც არის პარლამენტის ორივე დანარჩენი პარტია. აზიის ხალხთა დამოუკიდებლობის ყველაზე უარეს მტრებს წარმოადგენენ ინგლისის მუშათა პარტია და მეორე ინტერნაციონალი“. (ადს).

მდგომარეობა პეშევარში

ლონდონი, 25 აპრილი. პეშევარში გამოსცეს ბრძანება, რომლის ძალითაც ახალ განკარგულებამდე ევროპიელებს, მოხელეების გარდა, აკრძალული აქვთ ქალაქში შესვლა. (ადს).

სისხლისღვრა პეშევარში

ლონდონი, 25 აპრილი. მოკლე ოფიციალური ცნობები, რომლებიც აქა-იქ გაბნეულია ბურჟუაზიულ პრესაში და ეხებიან პეშევარში მომხდარ ამბებს, გვაძლევენ საბუთს ვიფიქროთ, რომ იქ მოწყობილ იქნა დიდი სისხლისღვრა რევოლუციონური მოძრაობის ჩასაქრობად. თეთრების მთელი მოსახლეობა წინდაწინვე გაიხიზნა. პეშევართან ახლო მდებარე რაიონებში თავს უყრიან ჯარს. (ადს).

„მთელს ინდოეთში მდგომარეობა დღითი დღე უარესდება“

ლონდონი, 25 აპრილი. მკაცრი ცენზურის გამო, ინდოეთიდან მიღებული ცნობებით ძალიან ძნელი ხდება ნამდვილი მდგომარეობის გაგება და შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელთა წრეები ინდოეთში, და ინგლისური ბურჟუაზიული პრესა ვეღარ მალავენ და უფრო და უფრო აშკარავებენ თავიანთ შიშს ინდოეთის ამბების წინაშე. გაზ. „დეილი ნიუსი“-ს ბომბეელი კორესპონდენტი აღიარებს, რომ „მთელს ინდოეთში მდგომარეობა დღითი დღე უარესდება“ და რომ პეშევარში მომხდარმა ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ინდოეთის საზოგადოებრიობაზე.

კომუნისტური გაზეთი „დეილი უორკერ“-ი ესალმება ინდოელ მუშათა და გლეხთა სახელოვან ბრძოლას ლეიბორისტული მთავრობის უხეში ძალადობის წინააღმდეგ (ადს).

გლეხების შეტაკება პოლიციასთან ბენგალის პროვინციაში

ლონდონი, 25 აპრილი. კალკუტიდან მოსული რეიტერის სააგენტოს ცნობით, პილში, დაიამონდის (ბენგალის პროვინცია) ნავთსადგურის მახლობლად, სადაც სწარმოებდა მარილის ამოღება, თავი მოიყარა დაახლოვებით 2.000 გლეხმა. პოლიციამ კრება უკანონოდ გამოაცხადა და უბრძანა გლეხებს — დაშლილიყვნენ. გლეხებმა უარი სთქვეს და ქვები დაუშინეს პოლიციელებს, რის შემდეგაც დაშავდა 16 პოლიციელი. პოლიციამ სროლა აუტეხა გლეხებს. დაიჭრა სამი კაცი. შეტაკების ადგილას ნახეს ერთი მოკლული გლეხი. (ადს)

რადიჩის მომხრეთა გასამართლება

ვენა, 25 აპრილი. ბელგრადის უზენაეს სასამართლოში დაიწყო რადიჩის მომხრეების—ყოფილ ლიდერის მაჩეკის და მისი 23 ამხანაგის დიდი პოლიტიკური პროცესი. მათ აბრალებენ სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებას, რომელიც მიზნად ისახავდა ხორვატიის ჩამოშორებას სამხრეთ - სლავიიდან, ტერორისტული ორგანიზაციის დაარსებას და იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების უკანონოთ შენახვას. ბრალდებულთ იცავს 27 ვექილი. პროცესისათვის არჩეულია ვიწრო დარბაზი, რომელიც ძლივს იტევს მოსამართლეთ, ბრალდებულთ, მცველ რაზმს და მხოლოდ ნაწილს დამცველებისას. პირველ სხდომაზე შეუშვეს მხოლოდ რამდენიმე სამხრეთ-სლაველი და სამი უცხოელი ჟურნალისტი. დამცველთა წინადადება პროცესის სტენოგრაფიულად ჩაწერის შესახებ უარჰყო სასამართლომ. სასამართლოს დარბაზში ზაგრების პოლიციის აგენტის გრაუერის გამოცხადებამ, რომელიც პროვოკატორის როლს ასრულებდა, ბრალდებულთა შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ბრალდებულთა პროტესტების გამო გრაუერი იძულებული შეიქნა გასულიყო დარბაზიდან. როდესაც სასამართლოს კომენდანტმა უყვირა ბრალდებულებს — „დაწყნარდით“-ო, მათ შესძახეს: „შესწყვიტეთ მლიქვნელობა, უმჯობესია დაგვხვრიტოთ ყველანი ერთად“.

დამცველებმა წინადადება შეიტანეს პროცესის ზაგრებში გადატანის შესახებ და გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ სასამართლოში თავმჯდომარეობს იუსტიციის ყოფილი მინისტრი სუბოტიჩი, რომელიც წარმოადგენს სასახლის კარის კამარილიის აგენტს. სასამართლომ უარჰყო დამცველთა ყველა მოთხოვნა.

ბრძოლისა და გამარჯვების ზეიმი

(1920 წ.—28 აპრილი—1930 წ.)

ძლევამოსილი საბჭოთა რევოლუცია ჩვენს თურქულ აზერბეიჯანში და მის დედა-ქალაქში მთელი დიადი საბჭოთა კავშირის ცნობილ ინდუსტრიალურ ქალაქში, ნავთის მრეწველობის ცენტრში, პროლეტარულ ნახევარმილიონიან ქალაქ ბაქოში,—მჭიდროდ დაკავშირებულია ძლევამოსილი დიადი ოქტომბრის განვითარების მთელ მიმდინარეობასთან 1917 წლიდან როგორც ჩრდილოეთში, ისე ამიერ კავკასიის, კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში.

ლენინგრადის და მოსკოვის „ოქტომბერმა“ დაუყოვნებლივ ჰპოვა თანაგრძნობის გამოძახილი პროლეტარულ ბაქოში. ბაქოს პროლეტარიატის ბუმბერაზულმა ღონისძიებებმა 1918 წელს,—ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგების, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკ. 26 კომისრის ციკლის გმირების: სტეფანე შაუმიანის, ალიოშა ჯაფარიძის, აზიზბეკოვის, ვანია ფიოლეტოვის, გრიშა კორგანოვის, ბასინის, ბოგდანოვის და სხვათა მეთაურობით,—გამოიწვიეს ცნობილი „ბაქოს კომუნის“—ბაქოს მუშათა დეპუტატების მებრძოლ რევოლუციონურ საბჭოს შექმნა...

მისმა ტიტანურმა ღონისძიებებმა—გავრცელებია „საბჭოების ხელისუფლება“ მთელ აზერბეიჯანში, მთელ ამიერ-კავკასიაში და კავკასიონის იქითა მხარეშიაც კი—დაღესტანსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ნაწილებში, მარცხი განიცადა 1918 წლის საერთაშორისო სამხედრო სიტუაციის ულმობელი პირობების გამო. „ბაქოს კომუნის“ გმირები პროლეტარული რევოლუციების ისტორიაში უაღრესად საპატიო ადგილებს დაიჭერენ „პარიზის კომუნის“ დაუვიწყარი გმირების გვერდით.

მიუხედავად დროისა და ადგილის განსხვავებისა, ბაქოელი კომუნარების ბედი, სოციალიზმისათვის, კაპიტალის ექსპლოატაციისა და მისი ველური ომების წინააღმდეგ გაბედულ მებრძოლთა შარავანდედით მოსილი ბედი და 1871 წ. „პარიზის კომუნარების“ ბედი დაახლოვებით ერთნაირია.

აქ არ გავიმეორებთ „პარიზის კომუნის“ ჩვენთვის კარგად ცნობილ ბრწყინვალე ისტორიას, არ შევეხებით პარიზის მუშა-ძალებისა და მუშების წრიდან გამოსული მისი მრავალრიცხოვანი გმირების ბედიღბალს. ორივე „კომუნის“, „პარიზის“ და „ბაქოს“ კომუნების — მუშაობისა და ბრძოლის უახლოესი ისტორიული შედეგები სხვადასხვაა, საერთაშორისო ისტორიულ მოვლენათა იმ ვითარების მიხედვით, რომელიც ერთის მხრივ შეიქმნა 1871 წელს, საფრანგეთში და საერთოდ დასავლეთ ევროპაში, ხოლო მეორეს მხრივ 1917 წლის ოქტომბრიდან აღმოსავლეთ ევროპაში, ჩვენს დღევანდელ საბჭოთა კავშირში.

⁂

ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც აზერბეიჯანი საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში შევიდა.

ამ შედარებით მცირე პერიოდში ხდება მთელი სახალხო მეურნეობის ძირფესვიანად გარდაქმნა სოციალისტურ საფუძველზე. აგრეთვე ხდება დიდი გარდატეხა თურქული აზერბეიჯანის და მთელი მისი ეროვნული უმცირესობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფრონტზე.

საძირკვლად სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის და კულტურული რევოლუციის წარმატებისათვის გამოდგა ის ნაციონალური მშვიდობიანობა, რომელიც დამყარდა აზერბეიჯანში და მთელ მრავალეროვან და მრავალტომიან კავკასიაში მას შემდეგ, რაც ჯერ აქ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ტყუილა კი არ სწერდა ამხანაგი ლენინი ამიერ-კავკასიელ ამხანაგებს, რომ „მათი კავშირი ჰქმნის სანიმუშო ნაციონალურ მშვიდობიანობას, რომელიც უნახავია ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაში“.

ცარიზმის დროს, აგრეთვე მუსავატისტური მთავრობის დროს, ეროვნებათა შორის განუწყვეტლივ სწარმოებდა სისხლისმღვრელი შეტაკებები. მთელი აზერბეიჯანი წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის მთავარ ეროვნებათა ძმათა შორის ომის ასპარეზს. თურქი მშრომელი ხალხის ამ მოღალატეთა განდევნის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ აზერბეიჯანშიაც სწრაფად გადასჭრა ნაციონალური საკითხი და ამით საფუძველი ჩაუყარა აზერბეიჯანის მშრომელთა კულტურულ-ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებას...

მუშათა კლასი და „ოქტომბრის“ მიერ გამოღვიძებული მშრომელი გლეხობა, რომლებმაც მემკვიდრეობით მიიღეს განადგურებული მრეწველობა და უკიდურესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობა, შეუდგნენ იმ მძიმე ჭრილობების მოშუშებას, რომლებიც მიაყენეს მათ ბურჟუაზიამ და მისმა აგენტებმა, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომისა და დიადი სამოქალაქო ომის პერიოდში... მუსავატისტების მთავრობა არავითარ საშუალებებს არ ერიდებოდა, იგი დახმარებას სთხოვდა იმპერიალისტურ ინგლისს, თურქეთის სულთანის ჯარებს და ყოველგვარ თეთრგვარდიელებს კორნილოვის, ალექსეევისა და დენიკინის მოხალისე არმიიდან...

ძნელი იყო აზერბეიჯანის მშრომელთა გზა,—იმ საერთაშორისო სამხედრო სიტუაციის გამო, რომელიც შეიქმნა ამიერ-კავკასიაში 1917 წლის ოქტომბრიდან, მაგრამ ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა, რომლებსაც მეთაურობდა ბაქოს ინდუსტრიალური პროლეტარიატი, წარმატებით გადალახეს ყველა დაბრკოლებანი როგორც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, ისე მეურნეობის აღდგენის პერიოდში, როდესაც მათ აკლდათ ყოველგვარი საშუალებანი—სურსათი და ნედლეული, როდესაც გაცვეთილი იყო მთელი სახალხო მეურნეობის, ხოლო განსაკუთრებით ბაქოს ნავთის მრეწველობის, მთავარი მოწყობილობა...

ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ „აზნეფტ“-მა—აზერბეიჯანის ძირითადმა მრეწველობამ განახორციელა რაციონალიზაცია ევროპიისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით.

ბაქო ჩვენს ხელისუფლებამდეც იყო ამიერკავკასიის ინდუსტრიალური ცენტრი და ნავთის მრეწველობის ერთად-ერთი მთავარი საწყისი მეფის იმპერიაში (ყოფილი რუსეთის იმპერიო). მაგრამ დღეს პირდაპირ აღარ შეიძლება მისი ცნობა, იმდენად ფართო გაქანება მიიღო მისმა წარმოებამ და იმდენად ფართოდ განხორციელდა მთელი ნავთის მრეწველობის რაციონალიზაცია აგრეთვე ნაწილის მიმართ, რომელიც რადიკალურად გარდაქმნა და გაარევოლუციონერა „საბჭოების ხელისუფლებამ“, პროლეტარიატის დიქტატურამ. საბჭოთა რაციონალიზაციამ, რომელმაც საერთაშორისო კაპიტალისტური სისტემისაგან გადმოიღო თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის საუკეთესო და უკანასკნელი მიღწევები, შექმნა საბჭოთა (პროლეტარული) ინდუსტრიის ტიპი.

აზერბეიჯანში ყველგან შენდება ახალი ქარხნები და ფაბრიკები, მაგალითად, განჯაში, წინანდელი უბადრუკი საგუბერნიო ქალაქი „ელიზავეტპოლი“, დღეს იქცა წითელი აზერბეიჯანის ახალ, ბაქოს შემდეგ მეორე, სამრეწველო ცენტრად. ხორციელდება აზერბეიჯანის ელექტროფიკაცია, შენდება ჯულფის გზა, სწრაფად იზრდება საბინაო მშენებლობა და სხვადასხვა...

საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებები მიმართულია აგრეთვე სოფლის მეურნეობის აღორძინებისაკენ, მისი რეკონსტრუქციისაკენ სოციალისტურ საფუძველზე.

გაფართოვდა ბამბისა და სხვა კულტურების ნათესი სიერცე, რომელიც მუსავატელების ბატონობის წლებში თითქმის სრულებით მოისპო, სწარმოებს სამელიორაციო და დიდი საირიგაციო მუშაობა... ამ დღეებში გახსნილი „გიაურ-არხი“ მორწყავს მიწის დიდ ფართობებს ბამბის კულტურისათვის და სხვ.

გაიზარდა მშრომელთა თვითმოქმედება და გაძლიერდა არა თუ ქალაქის მუშა-თურქების, არამედ აგრეთვე მოჯამაგირეების, ღარიბი გლეხების და საშუალო გლეხთა მთელი მასის აქტიობა.

ისინი სცდილობენ ბოლო მოუღონ მიწის დამუშავების მამა-პაპურ წესებს და გადადიან გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე... ისინი ახორციელებენ კოლექტივიზაციას, დაწყებული კოოპერაციის უმარტივესი ფორმებიდან, მის უმაღლეს ფორმებამდე... ამრიგად, კულტურა აზერბეიჯანის სოფელშიაც შეიჭრა. დიადმა კულტურულმა რევოლუციამ აქაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია, განსაკუთრებით თურქი ქალების გადაქცევისა და მათი სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურად ჩაბმის საქმეში...

ფართოდ გაიშალა სალიკვიდაციო პუნქტების ქსელი, სადაც მამაკაცებთან ერთად თურქი ქალებიც ახდენენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. კულტურული რევოლუციის წარმატებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალ თურქულ ანბანს, შეიცვალა მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა. წინად სწავლა შეეძლოთ მხოლოდ პრივილეგიების მქონე კლასებისა და წოდებების შვილებს, ბურჟუების, მემამულეებისა და მოლაყების შვილებს. ახლა კი სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები სავსეა მუშების, მოჯამაგირეების და მშრომელი გლეხების შვილებით. დიდი მუშაობა ჩაატარა საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელთა გაჯანსაღების საქმეშიაც და სხვ.

⁂

როდესაც ვაკვირდებით აზერბეიჯანის მშრომელების მიერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განვლილ გზას, ვხედავთ, თუ რა გაუგონარ წარმატებებს მიაღწიეს მათ ყველა ეროვნებების—(თურქი ეროვნების მეთაურობით) მწყობრი მუშაობის მეოხებით, ლენინურ კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელობით...

აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის მშრომელნი მჭიდრო ძმურ კავშირში მთლიანი ამიერკავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკებისა და მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან და რესპუბლიკებთან, გასწევენ საბოლოო გამარჯვებისაკენ, ბრწყინვალე საზოგადოების—კომუნიზმის საზოგადოების—განხორციელებისაკენ, როდესაც აღარ იქნება არც კლასები და არც სახელმწიფო. ყოველივე ეს მოხდება სოციალიზმის მშენებლობის მეოხებით, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში და მისი მჭიდრო კავშირით მშრომელ გლეხობასთან.

გაუმარჯოს აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მისი არსებობის მეათე წლისთავზე!

დეე მან მეთერთმეტე წელს კიდევ მეტი ტემპით განახორციელოს კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა დავალებანი და გადაჭარბებით შეასრულოს მთელი სახალხო მეურნეობის, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის ყველა გეგმები, მჭიდრო და ძმურ კავშირში ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკებთან!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს და მის მეთაურს, ბელადს და ხელმძღვანელს, ლენინურ საკავშირო კომპარტიას (ბ)!

ჩემი მხურვალე სალამი და მილოცვა ბაქოს პროლეტარიატს და წითელი აზერბეიჯანის ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთ, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ნაყოფიერ მეათე წლისთავზე!

მიხა ცხაკაია.

მისალმებები
საკავშირო ცაკისაგან

მოსკოვი, 26 აპრილი. ამხ. კალინინმა და ენუქიძემ აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკის ცაკს გაუგზავნეს შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მხურვალედ მივესალმებით საბჭოთა აზერბეიჯანის მშრომელთ, რომელთაც, ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, რესპუბლიკის ათი წლისთავისათვის მკვიდრი ნაციონალური მშვიდობიანობის საფუძველზე შესძლეს გაეშალათ ფართო სოციალისტური მშენებლობა. ეჭვი არ გვეპარება, რომ აზერბეიჯანის მშრომელნი მომავალშიაც იდგომებიან ახალი ცხოვრების მშენებელთა პირველ რიგებში, არ შეუშინდებიან აუცილებელ სიძნელეებს, გადალახავენ მათ და გაბედულად, რევოლუციონური აღფრთოვანებით გასწევენ წინ ლენინის დროშით ყველა ჩაგრული ხალხების განთავისუფლებისა და თანასწორობის დროშით.

კალინინი
ენუქიძე“.

საქართველოს სახკომსაბჭოსაგან

აზერბეიჯანის ს. ს. რ. ცაკის თავმჯდომარეს ამხ. მუსაბეკოვს და სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ბუნიატ-ზადეს

აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის ათი წლისთავზე მხურვალე და გულწრფელ სალამს ვუძღვნი აზერბეიჯანის მშრომელებს, რომელთაც ამ ხნის განმავლობაში უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ გარდაიქმნა გასული ათი წლის განმავლობაში თურქი ხალხი ახალი ცხოვრებისათვის, როგორ გაიზარდა იგი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კულტურულად და მატერიალურად. ამიერკავკასია, ბაქოს პროლეტარიატის მეთაურობით, წარმოადგენს სოციალიზმის მშენებელთა ხალხების მთლიან ერთეულს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში.

გაუმარჯოს დიად საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

შ. მახარაძე.

კავკ. წ.-დრ. არმიის სამხ.-რევ. საბჭოსაგან

მისალმებაში, რომელიც გაუგზავნა კავკ. წითელდროშოვან არმიის სამხ.-რევ. საბჭომ აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარეს და სახკომსაბჭოს, სხვათა შორის, ნათქვამია:

„კავკ. წითელდროშოვანი არმიის წითელარმიელები და უფროსი შემადგენლობა სრულ რწმენას გამოსთქვამენ, რომ აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობა შემდგომშიაც წარმატებით წავა წინ. გავყვეთ სოფლის მეურნეობის გარდაქმნის იმ გზას, რომელიც ლენინმა გვიჩვენა, განვამტკიცოთ მუშათა კლასის ხელმძღვანელობა, ჩავაბათ სოციალისტურ მშენებლობაში მოჯამაგირეთა და ღარიბ - საშუალო გლეხთა მასები, გავაფართოვოთ სოციალისტური შეჯიბრება, ავიყვანოთ უმაღლეს საფეხურზე მუშების შრომითი აღფრთოვანება და ყოველივე ამით უზრუნველვყოფთ კლასობრივი მტრების დამარცხებას, დავამთავრებთ სოციალიზმის მშენებლობას.“

გაუმარჯოს საბჭოთა აზერბეიჯანს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ სოლიდარობას! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

აზერბეიჯანი კულტურული წინსვლის გზით

ცნობილია, რომ მეფის მთავრობის პოლიტიკა, როგორც რუსეთში, ისე, განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში, კერძოდ ამიერ-კავკასიაში, მიმართული იყო იქით, რომ მშრომელი მასები მეტ სიბნელესა და უვიცობაში ჩაეგდო, შეექმნა ყოველგვარი დაბრკოლება, რათა მშრომელებს არ შეეძინათ განათლება და კულტურა. ყოველივე ამის მიზანი იყო დაბეჩავებულთა კლასობრივი თვითშეგნების მოდუნება და ბურჟუაზიის ბატონობის—კაპიტალიზმის საფუძვლების—განმტკიცება.

აზერბ. მშრომელებს არ შეეძლოთ ოცნება 2-კლასიან სკოლებში სწავლის შესახებაც კი, რადგან ეს სკოლები ხელმისაწვდენი იყო მხოლოდ ეგრედწოდებულ „ცენზიანების“ შვილებისათვის (სამრეწველო ბურჟუაზია, ბეგები, ხანები, მემამულეები, ვაჭრები, სახლის პატრონები და სხვანი). მშრომელთა შვილებს როგორც „დაბალ წოდებას“ ,არ აკარებდნენ „თეთრძვლიან“ ხალხს. იმ ორიოდე სოფლის სკოლებსაც კი, რომლებიც მაზრებში არსებობდნენ, მეფის მთავრობა უწესოების გამავრცელებელ ბუდეებად სთვლიდა.

მუსავატისტური მთავრობის პოლიტიკა სახალხო განათლების საქმეში უფრო მეტის ენერგიით განაგრძობდა და აღრმავებდა მეფის მთავრობის პოლიტიკას, მიუხედავად იმისა, რომ ეს მთავრობა თავის თავს ეროვნულ მთავრობას უწოდებდა, რომელიც ვითომ ეროვნული კულტურის გავრცელებაზე ზრუნავდა.

მეფის დროს 1914-15 წელს მასიური სკოლების რიცხვი 942-ს უდრიდა. ამ სკოლებში სწავლობდა სულ 62.280 მოწაფე, რომელთაგან თურქი იყო 22.161 კაცი, ხოლო ამ რიცხვიდან თურქი ქალი იყო 1.862.

მუსავატელების ნაციონალური მთავრობის დროს, ჯერ ერთი, სკოლების რიცხვი დაეცა 643-დე, ხოლო მოწაფეების—48.078 კაცამდე ანუ შეადგენდა წინანდელის 76,2 პროცენტს, მეორე, ეს დაცემა ხდება თურქი ახალგაზრდობის ხარჯზედაც: თურქი მოწაფეების რიცხვი შემცირდა 16.621 კაცამდე ანუ დარჩა წინანდელის 75 პროცენტი, ხოლო თურქი ქალების რიცხვი შემცირდა 1.420-დე.

მას შემდეგ, რაც აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, განათლება სწრაფად წავიდა წინ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში, იმ უდიდესი დაბრკოლებების პირობებში, რომელთაც ჩვენ მაშინ განვიცდიდით, მოხერხდა მასიური სკოლების აღდგენა და გაფართოება. 1920-21 წელს ასეთი სკოლების რიცხვი 937-ს უდრიდა და მათში ირიცხებოდა 75.515 მოწაფე. მოწაფეთა საერთო რიცხვიდან თურქები შეადგენენ — 38.663 კაცს ანუ წინანდელი რიცხვის 174,6 პროცენტს, აქედან თურქი-ქალი 6.488 იყო. 1920-21 წლიდან მოყოლებული განუწყვეტლივ იზრდება მასიური სკოლების რიცხვი. 1929-30 წელს უკვე გვაქვს 1479 სკოლა 189 ათასი მოწაფით, ზრდა უდრის 300 პროც. აქედან თურქ მოწაფეთა რიცხვი უდრის 106.712 კაცს ანუ 481,5 პროცენტს, ხოლო ქალების რიცხვი—26.243-ის.

ჩვენ კარგად ვიცით, რამდენად ვართ ჩამორჩენილნი და თუმცა 1929-30 წლის პროცენტული მაჩვენებლები აშკარად ლაპარაკობენ აპრილის რევოლუციის მიღწევებზე, მაგრამ ჩვენ მაინც შესადარებლად ვიღებთ არა ნიკოლოზის ან მუსავატელების დროის ციფრებს, არამედ სხვა, უფრო განათლებული ხალხების კულტურულ დონეს.

რაც შეეხება წერა-კითხვისა და მისი მომდევნო სკოლებს, თუ 1914-15 წელს ასეთ სკოლებში სწავლობდა მხოლოდ 650 ბავში და ისიც ყველა მამრობითი სქესის, 1929-30 წელს მარტო სალიკვიდაციო პუნქტებში, ანბანის შესასწავლ და უფრო მაღალი ტიპის სკოლებში ირიცხება 150.000 სული, რომელთაგან ქალების საერთო რიცხვი უდრის 20 ათასს, ხოლო მარტო თურქი ქალების—9 ათასს.

რაც შეეხება მაღალი ტიპის სკოლებს, რომელთა დაარსებაზედაც მუსავატელების ხელისუფლებას, თავისი „კულტუროსნობის“ მიუხედავად, სრულებითაც არ უზრუნია, უნდა აღვნიშნოთ, რომ 1920-21 წლის მათი რიცხვი 28-ს უდრიდა, ხოლო ახლა 172-ს უდრის. მათში სწავლობს 20.757 მოწაფე, რომელთაგან თურქები შეადგენენ 34,1 პროცენტს, სომხები—27,8 პროცენტს, რუსები—26,9 პროცენტს და სხვები—11,12 პროცენტს.

მეფის მთავრობის პოლიტიკის წყალობით, აზერბეიჯანში და მთელ ამიერ-კავკასიაში არ არსებობდა არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი.

1919 წელს მუსავატელების მთავრობამ, ხალხის მასების დაჟინებული მოთხოვნით, გახსნა საექიმო ფაკულტეტი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიის რჩეული შვილებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე აზერბეიჯანს აქვს 6 უმაღლესი სასწავლებელი, რომლების მოსწავლეთა დიდი უმრავლესობაც მუშურ-გლეხური და მშრომელი ახალგაზრდობის წრიდან არის გამოსული.

სახელწოდება.	მეფის დროს 1914—15 წელს.	მუსავატ. დროს 1919—20 წელს.	1920—21 წელს.	1924—25 წელს.	1929—30 წელი.
მუშფაკი	—	—	1	3	2
ტეხნიკუმი	10	6	8	33	40
პროფსკოლა	4	4	3	1	7
პროფკურსები	—	—	29	34	104
საფ.-საძ. სკოლა	—	—	—	14	11
გლეხურ ახალგაზრდობის სკოლა	—	—	—	—	35

მეფის დროის, მუსავატელების დროის და ახლანდელი აღზრდის საერთო სურათი ასეთია: 1914-15 წ.—974 სკოლა. (მეფის დროს), 1919-20 წ.—666 (მუსავატისტების დროს—უკან დახევა), 1920-21 წ.—963 სკოლა, რომელთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდება და 1929-30 წელს აღწევს 1.686-ს. საბავშო ბაღების, საბავშო კერების და საბავშო მოედნების რიცხვი 1914-15 წელს იყო 37 (1919-20 წლის ცნობები არ მოიპოვება), 1921-22 წ.—147, ხოლო 1919-30 წელს—243-დე.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი ასეთ სურათს იძლევა:

ბიბლიოთეკა—107, ქოხ-სამკითხველო — 182, განათლების სახლი—10, კლუბი—145, ქალთა კლუბი—40, გლეხთა კუთხე—78, თეატრი—14, კინო—20, რადიო-დადგმულობა—269, მუზეუმი—8.

იმისათვის, რომ თურქი მოსახლეობა ევროპულ კულტურას დაუახლოვდეს, 1929 წლის 1-ლ იანვარს საბჭოთა აზერბეიჯანის მთავრობამ გამოსცა ცნობილი, კულტურის ისტორიაში შესული დეკრეტი ძველი არაბული ანბანის გაუქმების შესახებ. ამ დეკრეტმა ახალ ანბანს სრული და ურყევი უფლება მიანიჭა.

ამ დიდი რეფორმატორული დასაწყისის მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ როგორც საბჭოთა ხელისუფლების მტრები, ისე ბევრი მისი მეგობრებიც, მაგრამ დროთა მსვლელობამ დაამტკიცა, რომ სცდებოდნენ ისინი, ვისაც არ სწამდა ახალი ანბანის ძალა. დღეს უკვე ყველასათვის ცხადია, ის დიდი როლი, რომელიც ითამაშა ამ ანბანმა მშრომელთა მასების მიერ განათლების მიღების გაადვილებისათვის.

თუ რამდენად გაიზარდა 1920-დან 1929 წლამდე ლიტერატურა ახალ თურქულ ანბანზე, ამას შემდეგი ციფრები გვიჩვენებენ:

ახალი თურქული ანბანის შემოღების შემდეგ გამოიცა 841 სხვადასხვა სახელწოდების ნაწარმოები 3.445.750 ნაბეჭდი თაბახის რაოდენობით.

1929 წლის იანვრიდან დაწყებული გამოცემები თურქულ ენაზე იბეჭდება მხოლოდ ახალი ანბანით.

დ. ბუნიატ-ზადე.



ქ. განჯა. საფეიქრო ქარხანა

მეფის კოლონიიდან საბჭოთა აზერბეიჯანამდე

რევოლუციამდე აზერბეიჯანი მეფის რუსეთის კოლონიას წარმოადგენდა. თუ რუსეთში პროლეტარიატი და გლეხობა მემამულეებისა და ბურჟუაზიის უღელ ქვეშ გმინავდა, აზერბეიჯანში ამ კლასობრივ შევიწროებას ეროვნული დევნაც ემატებოდა. მეფის რუსეთი, რომელიც დაშინებული იყო 1904-1905 წლების რევოლუციონური მოძრაობის უდიდესი ზრდით ამიერ - კავკასიაში, განსაკუთრებით კი პროლეტარულ ცენტრში — ბაქოში, იყენებდა მშრომელთა ეროვნულ - საყოფაცხოვრებო სხვადასხვაობას და სარწმუნოებრივ ფანატიზმს და, ურთიერთის წინააღმდეგ მებრძოლი სომეხი და თურქი ბურჟუაზიის აქტიური დახმარებით, თურქებს ამხედრებდა სომხებზე, ხოლო სომხებს თურქებზე, რითაც ხელს უშლიდა იმას, რომ თურქ და სომეხ მუშებსა და გლეხებს შეეგნოთ საკუთარი კლასობრივი ინტერესები.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, აზერბეიჯანში, ისე როგორც მთელ ამიერ - კავკასიაში მიმდინარეობდა ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური პარტიების კონსოლიდაციის ძლიერი პროცესი. ერთი ასეთი პარტიათაგანი იყო „მუსავატი“, რომელიც ბურჟუაზიის, სასულიერო წოდებას, მემამულეებს და ბეგებს აერთიანებდა.

დაიქუხა ოქტომბერმა. მენშევიკები, დაშნაკელები (სომხური ბურჟუაზიულ - შოვინისტური პარტია), ესერები და მუსავატისტები სავსებით გამიჯნენ რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკას და შექმნეს ეგრედწოდებული ამიერ-კავკასიის სეიმი. მაგრამ ბაქოში, იმის გამო, რომ აქ პროლეტარიატისა და კასპიის ფლოტის მეზღვაურთა მნიშვნელოვანი კადრები იყვნენ, ამიერ - კავკასიის კონტრ - რევოლუციონური სეიმის ავტორიტეტი არ სცნეს. ძალაუფლება ფაქტიურად ჯარისკაცთა, მუშათა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოს ხელთ იყო და აქ ხელმძღვანელ როლს ბოლშევიკები, მემარცხენე ესერები და გუმეტისტები (თურქი კომუნისტები) თამაშობდნენ.

ბაქოს დაპყრობის მიზნით, 1918 წლის მარტში მუსავატისტებმა მოაწყვეს სისხლისმღვრელი აჯანყება, რომელმაც მაშინვე სომეხთათართა ხოცვა - ჟლეტის სახე მიიღო. აჯანყება მუსავატისტების დამარცხებით და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებით დამთავრდა. შესდგა ბაქოს სახკომსაბჭო, რომლის სათავეში ჩადგა ამხ. **სტეფანე შაუმიანი** და რომელშიც შედიოდნენ ამხ. **ა. ჯაფარიძე, მ. აზიზბეკოვი, ნ. ნარიმანოვი** და სხვები.

ნაციონალური და კლასობრივი ინტერესების სირთულემ განსაზღვრა 1918 წლის რევოლუციის ხასიათი აზერბეიჯანში. ბაქოს რევოლუციონურმა პროლეტარიატმა, რომელმაც 1918 წლის მარტში ხელისუფლება დაიპყრო (ბაქოს კომუნა), ვერ შესძლო ამ ხელისუფლების გავრცელება მთელი აზერბეიჯანის ტერიტორიაზე, რადგან ბაქოს მოწინავე პროლეტარიატს სუსტი გავლენა ჰქონდა აზერბეიჯანის სოფელზე და რადგან სუსტი იყო თურქი კომუნისტების კადრები. ყოველივე ამან მუსავატისტებს საშუალება მისცა ხანებისა და ბეგების საწინააღმდეგო გლეხური რევოლუცია გადაექციათ თურქებისა და სომხების და კავკასიის ფრონტიდან დაბრუნებული რუსი ჯარისკაცების ნაციონალურ ხოცვა - ჟლეტად.

ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ირაზმება კონტრ - რევოლუციის ყველა ძალები, დაწყებული ინგლისისა და გერმანია - თურქეთის იმპერიალიზმიდან და გათავებული მუსავატისტებით, დაშნაკცაკანებით და ესერებით. უკვე 1918 წლის მაისში თბილისში შეიქმნა „აზერბეიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ მუსავატისტური მთავრობა, რომელიც მალე გადავიდა განჯაში და დარაზმა თავის ირგვლივ აზერბეიჯანის ყველა კონტრ - რევოლუციონური ძალები ბაქოს კომუნის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სასურსათო დაბრკოლებებმა, სერიოზულობამ იმის გამო, რომ განუწყვეტელი ომები სწარმოებდა თურქეთის არმიის წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთის რევოლუციონური პროლეტარიატის მოწყვეტამ ბაქოსაგან, დაშნაკცაკანების, ესერების და მენშევიკების წვრილბურჟუაზიული პარტიების დამღუპველმა მუშაობამ, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ ისინი ეწეოდნენ აგიტაციას ინგლისელების მოწვევის სასარგებლოდ, ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური აგიტაციის საწამლავმა და მრავალმა სხვა ფაქტორმა გამოიწვიეს ის, რომ ოთხი თვის გმირული ბრძოლის შემდეგ, ბაქოს საბჭოთა ხელისუფლება დაეცა.

1918 წლის 31 ივლისს ბაქოში ხელისუფლება გადავიდა „ცენტროკასპიის“ მენშევიკურ - ესერული დიქტატურის ხელში. ეს ხელისუფლება წარმოადგენდა ინგლისის იმპერიალისტების შირმას.

ბაქოს კომუნის სისხლიან ეპილოგს წარმოადგენს 26 კომისრის დაღუპვა. 26 კომისარი გაგზავნეს კასპიის ზღვის იქითა მხარეს და, ინგლისელების მითითებით, დახვრეტილ იქნენ ასხაბადის ესერული მთავრობის აგენტების მიერ.

თურქების მიერ ბაქოს აღების შემდეგ ბაქოში დამყარდა თურქეთის გენერლების და მათი დამხმარე მუსავატისტების დიქტატურა, რომელმაც მიზნად დაისახა ბაქოს კომუნისტური ორგანიზაციების ნაშთების განადგურება მასიური დახვრეტების, დაპატიმრებების და აწიოკების საშუალებით. სომეხ - თათართა დიდი ხოცვა - ჟლეტის შემდეგ, რომელიც 3 დღეს გაგრძელდა და რომელმაც—2.000 კაცი იმსხვერპლა (1918 წ. 15 სექტემბერი), ბაქოში დამყარდა მუსავატისტების ხელისუფლება

აზერბეიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დასაწყისიდანვე მის დამოუკიდებლობას მოჩვენებითი ხასიათი ჰქონდა. თურქეთის იმპერიალიზმი, მუსავატისტურ მთავრობის აქტიური დახმარებით, ცდილობდა გადაექცია აზერბეიჯანი თავის პროვინციად. მუსავატისტები დიდი სიამოვნებით უწყობდნენ ამას ხელს. 1918 წლის სექტემბერში მუსავატელების დელეგაციამ ინახულა სულთანი და იქვე გამოსთქვა, რომ ამიერიდან „აზერბეიჯანი აყვავდება სულთანის მფარველობის ქვეშ“.

მაგრამ თურქთა ოკუპაცია ხანმოკლე გამოდგა. გავიდა თვენახევარი მსოფლიო ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ და მუსავატისტების მთავრობამ, რომელიც „აზერბეიჯანის დამოუკიდებლობაზე“ გაჰკიოდა, 24 საათში იცვალა თავისი ორიენტაცია და ახალი ბატონის ძებნა დაიწყო. ამ მიზნით, მან ენზელში (სპარსელების ნავთსადგური კასპიის ზღვაზე) გაგზავნა დელეგაცია ინგლისელებთან. ბაქოში დაინიშნა ინგლისელი გუბერნატორი და პოლიცმეისტერი, გამოცხადდა სამხედრო წესები, შემოღებულ იქნა ფიზიკური სასჯელი, აიკრძალა კრებები, გაფიცვები და სხვა. ოკუპანტების ეკონომიური პოლიტიკა გამოიხატა რაც შეიძლება მეტი ნავთის გაზიდვაში (1919 წელს გატანილ იქნა 26,6 მილიონი ფუთი ნავთი, ნაცვლად ნორმალური 3-7 მილიონი ფუთისა), კასპიის ფლოტის გემების შესყიდვაში, ბანკის ფასიანი ქაღალდების კონფისკაციაში და სხვა. საკუთარი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით ინგლისელები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ შოვინიზმის გაღვივებას და ავრცელებდნენ ნაციონალურ საწამლავს. ამის შედეგი იყო ის, რომ წლინახევრის განმავლობაში არ შეწყვეტილა ნაციონალური შეხლა - შემოხლა, რბევა და მთელი ომებიც კი ამიერ - კავკასიის ერებს შორის. ამის გამო, ზოგიერთ რაიონებში მოსახლეობის წინანდელი რიცხვი 10-30 პროცენტამდე შემცირდა.

ინგლისურ - მუსავატური ხელისუფლების გაკვეთილებს ამაოდ არ ჩაუვლია ბაქოს პროლეტარიატისათვის: იგი საბოლოოდ ჩამოშორდა სოციალ - შეთანხმებელ პარტიებს და ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დაიწყო აქტიური ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთისათვის დახმარების გასაწევად. საბჭოთა რუსეთი მაშინ იგერიებდა იმპერიალისტების გააფთრებულ იერიშებს.

1919 წლის მაისის უდიდესი გაფიცვა ჩატარდა საბჭოთა რუსეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის ლოზუნგით და დაამტკიცა რუსეთის და აზერბეიჯანის პროლეტარიატის და აზერბეიჯანის მშრომელი გლეხობის რევოლუციონური ბრძოლის ინტერესების სრული მთლიანობა.

აზერბეიჯანის მთავრობა თავიდანვე დაადგა ანტანტისა და რუსეთის კონტრ - რევოლუციის წინაშე კაპიტულიაციის გზას.

ხანების და ბეგების მთავრობას მხოლოდ ერთი საზრუნავი ჰქონდა: გადაეცა „თავისი“ ქვეყანა, რომელიმე მფარველისათვის. რადგან ინგლისელები ყოყმანობდნენ, აზერბეიჯანის დელეგატებმა ვერსალის საზავო კონფერენციაზე აზერბეიჯანი კოლონიად შესთავაზეს ამერიკელებს და იტალიელებს და, ბოლოს, მათ დასდეს ხელშეკრულება, რომელიც აზერბეიჯანს აყენებდა ინგლისის სამანდატო კოლონიის პირობებში. ინგლისის ხელში გადადიოდა აზერბეიჯანის ეკონომიური, ფინანსიური, სამხედრო და თვით კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობა.

მუსავატური მთავრობის მთელი საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო იქით, რომ გაეხადა აზერბეიჯანი იმპერიალიზმის კოლონიად და დასაყრდენად აღმოსავლეთის ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. მუსავატური მთავრობის შინაური პოლიტიკა სავსებით განისაზღვრებოდა ხანების, ბეგების და ბურჟუაზიის ინტერესებით.

ნავთის მრეწველთა განუწყვეტელი შეტევა ხელფასის შემცირების გზით, ზედმეტი საათების მუშაობის შემოღებით, შინაგანი განწესის პირობების გაუარესება ერთის მხრივ და უსასტიკესი სასურსათო კრიზისი მეორეს მხრივ, — სულ უფრო და უფრო აუარესებდა ბაქოს პროლეტარიატის ეკონომიურ მდგომარეობას. 1919 წლის განმავლობაში ნავთის მრეწველობის მუშათა მატერიალური უზრუნველყოფის დონე ომის წინადროინდელ ნორმის 20 პროცენტს არ ასცილებია. 1920 წლის პირველ თვეებში ეს დონე კიდევ უფრო დაეცა.

ესერები და მენშევიკები, რომელთაც პირველ ხანებში ბოლშევიკების დარბევის წყალობით ხელში ჩაიგდეს სამრეწველო საქარხნო კომიტეტები და პროფკავშირები, უკვე 1919 წლის დამდეგს გაძევებულ იქნენ ამ ორგანოებიდან. ბაქოს პროლეტარიატის ხელმძღვანელ ეკონომიურ და პოლიტიკურ ორგანოდ გადაიქცა მუშათა კონფერენცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები. თურქი მუშები თანდათანობით ჩაებნენ საერთო - კლასობრივ ბრძოლაში. ამ საქმეში უდიდესი როლი ითამაშეს თურქულმა კომუნისტურმა ორგანიზაციებმა „გუმეტ“-მა და „ადალიატ“-მა, რომელთაც ფარდა ახადეს მუსავატისტების [illegible] ელაპარაკათ „მთელი თურქი ხალხის“ სახელით.

აგრარულ საკითხში მუსავატური მთავრობა ერთგულად ემსახურებოდა ხანებისა და ბეგების ინტერესებს. ჯერ კიდევ ბაქოში გადასვლამდე მან გამოსცა დადგენილება, რომლითაც აკრძალა გლეხების მიერ კერძო და სახაზინო მიწების ხელში ჩაგდება. ამავე დროს მთავრობამ აღადგინა ის გადასახადები, რომლებსაც ცარიზმის დროს გლეხები იხდიდნენ ხანების და ბეგების სასარგებლოდ. ფეოდალური ჩაგვრის გაძლიერებამ და ხანებისა და ბეგების მიერ გლეხობის უმოწყალოდ ძარცვამ და გაყვლეფამ გამოიწვია გლეხთა მასიური მოძრაობა: გლეხები უარს ამბობდნენ იჯარის გადახდაზე, სცემდნენ ხანებსა და ბეგებს, ხელში იგდებდნენ მემამულეთა მიწებს და სხვ. გახშირდა ასკერების მასიური დეზერტირობა მუსავატისტური არმიიდან. თურქული კომუნისტური ორგანიზაციების მუშაობის წყალობით ბაქოს პროლეტარიატმა შესძლო კავშირი გაება აზერბეიჯანის გლეხობასთან და ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის.

ამგვარად 1920 წლის დამდეგს მთელი აზერბეიჯანის მუშები და მშრომელი გლეხობის დიდი უმრავლესობა მჭიდროდ გაერთიანდნენ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ.

გადამწყვეტი ბრძოლის მომზადებაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო აზერბეიჯანის სამი დაქსაქსული კომუნისტური ორგანიზაციის: რუსეთის კომპარტიის (ბ) ბაქოს ორგანიზაციის, გუმეტის და ადალათის გაერთიანება. ამგვარად 1920 წლის 11-13 თებერვალს ბაქოში აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) პირველ ყრილობაზე შეიქმნა აზერბეიჯანის მთლიანი კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა. ეს ყრილობა ჩატარდა მუშათა და გლეხთა შეიარაღებული აჯანყების (მუსავატური მთავრობის წინააღმდეგ) მომზადების ნიშან ქვეშ.

ამავე ხანებში წითელი არმია, რომელმაც საბოლოოდ დაამარცხა დენიკინი, მოუახლოვდა აზერბეიჯანის საზღვრებს. ამან დააჩქარა მუსავატური მთავრობის დაცემა. ბაქოს აჯანყებული პროლეტარიატის იერიშებს ვერ გაუძლო გაკოტრებულმა მუსავატისტურმა მთავრობამ, რომელიც დაეცა 1920 წლ. 27 აპრილს, 28 აპრილს ბაქოში ძალაუფლება აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოყოფილ სამხედრო რევოლუციონურ კომიტეტის ხელში გადავიდა.

დამოუკიდებელი აზერბეიჯანის საბჭოთა მთავრობის პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ მან რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკის მთავრობას შესთავაზა ძმური კავშირი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„რადგან საბჭოთა აზერბეიჯანს არ აქვს შესაძლებლობა საკუთარი ძალებით მოიგერიოს საგარეო და შინაური გაერთიანებული კონტრ-რევოლუციონური ბანდების იერიშები,—ნათქვამია სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტის მიმართვაში საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი,—ამიტომ აზერბეიჯანის სამხედრო-რევოლუციონური საბჭო წინადადებას აძლევს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას შეკრას მასთან ძმური კავშირი შეერთებული ბრძოლისათვის მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ და სთხოვს დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს რეალური დახმარება წითელი არმიის ნაწილების გამოგზავნის გზით“.

საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ შემდეგი დეპეშით უპასუხა:

„სახალხო კომისართა საბჭო ესალმება აზერბეიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის მშრომელ მასების განთავისუფლებას და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ თავისი საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით აზერბეიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან ერთად დაიცავს თავის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას აღმოსავლეთის დაჩაგრულ ერთა მტრისაგან —იმპერიალიზმისაგან. გაუმარჯოს აზერბეიჯანის დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკას! გაუმარჯოს აზერბეიჯანის და რუსეთის მუშათა და გლეხთა კავშირს“.

— რუსეთის ს. ს. ფ. რესპუბლ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლენინი**.
9 მაისი, 1920 წელი“.



უდიდესი საბჭოთა კავშირში განჯის საპონ-ზეთის ქარხანა

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ბაქოში და აზერბეიჯანში ოქტომბრის რევოლუციას უშუალოდ გზა გაუხსნა აღმოსავლეთისაკენ. 1920 წელს პროლეტარულ ბაქოში შეიკრიბა აღმოსავლეთის ერთა ყრილობა, რომელმაც საღვთო რევოლუციონური ომი გამოუცხადა საერთაშორისო იმპერიალიზმს. ყრილობა ჩატარდა მუშათა კლასის რევოლუციონური ბრძოლის და აღმოსავლეთის ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობის მჭიდრო კავშირის ნიშან ქვეშ.

საქართველოში და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბაქოს პროლეტარიატი გამოვიდა ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის ინიციატორად. 1922 წლის 12 მარტს მოკავშირე რესპუბლიკათა სრულუფლებიანმა კონფერენციამ ხელი მოაწერა ისტორიულ დოკუმენტს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

საბჭოთა ხელისუფლების საფუძველზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის დამყარდა ძმური ურთიერთობა და შესაძლო გახდა მთელი რიგი მწვავე საკითხების (საზღვრების საკითხი და სხვ.) მშვიდობიანი გზით და უმტკივნეულოდ მოგვარება. აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ყარაბახში და განჯაში აღარ ჰქონია ადგილი მუსავატელთა და დაშნაკელთა პროვოკაციით გამოწვეულ შეტაკებებს თურქებსა და სომხებს შორის. მთიანი ყარაბახის გლეხობის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, საბჭოთა ხელისუფლებამ ყარაბახის მოსახლეობას მისცა ავტონომიური ოლქის ჩამოყალიბებისა და ფართო სამეურნეო და კულტურულ-ეროვნული განვითარების შესაძლებლობა.

ახლად აგებული აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა ქ. ნუხაში

ბაქოს კომუნის შესახებ

(ნაწყვეტი მოგონებიდან ბაქოს კომუნაზე)

ეს მოხდა ასე. როცა ბაქოს კომუნა გარშემორტყმული იყო გარეშე და შინაურ მტრების რკალით და მოწყვეტილი იყო სასურსათო ბაზებს, ამხ. შაუმიანმა და ჯაფარიძემ წინადადება მომცეს დაუყოვნებლივ გავმგზავრებულიყავი ჩრდ. კავკასიაში ბაქოსათვის პურის დასამზადებლად.

მე დამნიშნეს საგანგებო კომისრად ჩრდ.-კავკასიაში ბაქოს რაიონისათვის პურის დამზადების საქმეში.

გზა ჩრდ.-კავკასიიდან მხოლოდ ზღვით იყო. დაუყოვნებლივ შედგენილ იქნა კომუნისტური რაზმი 50 საიმედო ბაქოელ მუშიდან. ჩვენს განკარგულებაში გამოყოფილ იქნა სპეციალური გემი სახელწოდებით „კოკუმ“.

გემი დაიტვირთა სხვადასხვა საქონელით პურზე გადასაცვლელად და ჩვენი რაზმი გავიდა ზღვაში. მაგრამ ჩვენი მდგომარეობა მძიმე იყო, რადგან ყველა ნავთსადგურები მტრებს ეჭირა და ნაპირზე მიდგომა შეუძლებელი იყო. ჩვენ ავირჩიეთ შენდრიკოვკის და სტაროტერეჩნაიას რაიონი კასპიის ზღვის სანაპიროზე, სადაც გემს მხოლოდ ერთი კილომეტრის მანძილით შეეძლო ნაპირთან მიახლოვება და გავჩერდით. ჩავუშვით ნავები და გავედით ნაპირზე. დავამყარეთ კავშირი ყიზლიართან, გეორგიევსკთან და შემდეგ პურის სხვა რაიონებთან. მინერალნია ვოდი გადავაქციეთ ბაზად.

მთელ საქონელს თავი მოუყარეთ დამამზადებელ ცენტრში და შეუდექით ნატურით გადაცვლას პურზე. არაჩვეულებრივად მძიმე პირობების მიუხედავათ, მუშაობა კარგად მიმდინარეობდა.

პურს ყიზლიარით ვაგზავნიდით შენდრიკოვკის ნავთსადგურში. ყიზლიარამდე რკინის გზით, ყიზლიარიდან შენდრიკოვკამდე—ურმებით და საბარგო ავტომობილებით. ამრიგად შენდრიკოვკის ნავთსადგურში დიდძალ ხორბალს მოუყარეთ თავი, მაგრამ ჩვენ წარმოუდგენელ სიძნელეებს განვიცდიდით საქონლის გადმოტვირთვისა და პურის დატვირთვის საქმეში..

საჭირო იყო დიდი ნავების დატვირთვა, შემდეგ კი—ნავებიდან—გემზე გადატვირთვა, მაგრამ, რადგან ნავები მთლიანად ვერ ადგებოდენ ნაპირს (ნაპირი ძლიერ წაფერდებული იყო), ამიტომ ჩვენ გვიხდებოდა ჯერ პურის მიტანა ცხენებით ნავებამდე და, შემდეგ, ნავებით—გემამდე, რომელიც, დაახლოებით, ერთი კილომეტრის მანძილზე იდგა ნაპირიდან.

ამნაირად ვტვირთავდით პურით ჩვენს გემს „კოკუმს“ რომელმაც რამდენიმე გზა გააკეთა შენდრიკოვკასა და ბაქოს შუა.

შემდეგში ჩვენ მოვითხოვეთ კიდევ ერთი გემი პურის უფრო სწრაფად გადასაგზავნად ბაქოში და ეს გემიც გამოგვიგზავნეს ბაქოდან.

ასე განვაგრძობდით ჩვენ ბაქოსათვის პურის მიწოდებას.

უკანასკნელ მომენტში, როცა დაეცა ბაქოს კომუნა და ჩვენ ამის შესახებ შეუმოწმებელი ცნობები გვქონდა, ჩრდ.-კავკასიაში ჩვენ გვყავდა ერთი გემი, დატვირთული პურით, ბაქოში გასაგზავნათ, მაგრამ ჩვენ იგი დავაკავეთ „კოკუმის“ მოსვლამდე, რომელსაც ყოველ წუთს მოველოდით. „კოკუმიც“ მოვიდა.

მე გავეცი განკარგულება, რომ გემი პურით გადეცათ „ჩეკპროდისათვის“ (საგანგებო სასურსათო კომისია), რომელსაც ჰქონდა ლენინის მიერ ხელმოწერილი მანდატი, რომლის ძალით ყველა პურის ტვირთები უნდა გადაგზავნილიყო ცარიცინში, რუსეთში გასაგზავნათ, თვითონ კი, რამდენიმე ამხანაგთან ერთად, ჩავჯექი გემში და გავემგზავრე ბაქოში რომ შემემოწმებია, თუ რამდენად სწორია ცნობა კომუნის დაცემის შესახებ.

ბაქოს მიმართულებით, პეტროვსკის რაიონში, შეგვხვდა მეორე გემი. ჩვენ უბრძანეთ ჩვენი გემის კაპიტანს მიეცა შეხვედრილი გემისათვის გაჩერების ნიშანი.

თავის მხრივ შემხვედრმა გემმა ასეთივე წინადადება მოგვცა.

ეს იყო იმ დროს, როცა ბაქოსა და შენდრიკოვკას შორის არავითარი გემი არ დადიოდა. ამით აიხსნება, რომ ჩვენც და მეორე გემმაც მივიღეთ ზომები ღია ზღვაში გასაჩერებლად და ერთმანეთის გასაცნობათ.

აღმოჩნდა, რომ კომუნა მართლა დაეცა და შესდგა ახალი მთავრობა—„ცენტრო-კასპიის“ მთავრობა (ასე ეწოდებოდა მას), რომელმაც სპეციალური სასურსათო კომისია გაგზავნა ჩრდ.-კავკასიაში, რომ ხელში ჩაეგდო ჩვენი სასურსათო აპარატი და მისი საშუალებით განეგრძო ბაქოსათვის პურის მიწოდება. ეს სპეციალური კომისია შესდგებოდა დაშნაკების, მენშევიკების და ესერების წარმომადგენლებისაგან ინგლისის ოფიცრის თავმჯდომარეობით.

მათ ძლიერ „გაუხარდათ“, რომ ჩვენ შევხვდით და მეტად „თავაზიანად“ მოგვცეს წინადადება გავბრუნებულიყავით უკან და განვეგრძო მუშაობა ბაქოსათვის პურის მისაწოდებლად.

მაგრამ ჩვენ კატეგორიული უარი უთხარით.

კომისია ყოველნაირად დაბეჯითებით ითხოვდა, რომ ჩვენ დავმორჩილებოდით მას.

შემდეგ გადავიდნენ მუქარაზე, რომ დაგვაპატიმრებდნენ, თუ არ დავემორჩილებოდით მათ, მაგრამ ვინაიდან ჩვენი გემები გვერდიგვერდ იდგნენ, მე სწრაფად გადავედი „კოკუმ“-ზე და წინადადება მივეცი ამხანაგებს მომზადებულიყვნენ, კაპიტანს კი მივეცით განკარგულება წაეყვანა გემი ბაქოსაკენ. „ცენტროკასპიის“ წარმომადგენელს ოფიციალურად იმით დაუსაბუთე ჩემი გადაწყვეტილება არ დავემორჩილო კომისიას და დავბრუნდე ბაქოში, რომ თითქო მე, როგორც კომისარს საგანგებო რწმუნებებით, არა მაქვს უფლება დავემორჩილო არავითარ კომისიას და ვალდებული ვარ ანგარიში ჩავაბარო ახალ მთავრობას, რისთვისაც საჭიროდ ვსცნობ მას წარუდგე-თქო.

სინამდვილეში, რასაკვირველია, მე სხვა განზრახვა მქონდა: ჩავსულიყავი ბაქოში და დავრჩენილიყავი იქ ახალი მთავრობის წინააღმდეგ არალეგალური მუშაობის საწარმოებლად.

როცა ჩვენ მივედით ბაქოში და გემი შევიდა ნავთსადგურში, შესახვედრათ გამოვიდა სამხედრო გემი, თუ არ ვცდები—„ორიოლ“-ი, რომ გაეგო, თუ ვინ ვიყავით ჩვენ. გემებმა ერთმანეთს ნიშნები მისცეს და როცა მიუახლოვდნენ ერთმანეთს და მათ გაიგეს, თუ ვინ ვიყავით ჩვენ, უბრძანეს ჩვენ გემს მისდგომოდა გემთსადგომს. კონტრდაზვერვის თავმჯდომარემ გამომიცხადა, რომ მე დაპატიმრებული ვარ, მაშინ მე მოვითხოვე ორდერი ჩემს დაპატიმრებაზე, მაგრამ, რადგან ასეთი ორდერი მათ არ აღმოაჩნდათ, მე უარი ვსთქვი დამორჩილებაზე და გემიდან გადმოსვლაზე. მოვითხოვე სასურსათო კომისარი როხლინი, რაც დავასაბუთე იმით, რომ ის არის ჩემი უფროსი, რომელთანაც ჩამოვედი ანგარიშების ჩასაბარებლად. მაგრამ, რასაკვირველია, კონტრდაზვერვის უფროსი არ დასთანხმდა მის გამოწვევაზე და ამავე დროს გაგზავნა თავისი აგენტები ჩემი დაპატიმრების შესახებ ორდერის მოსატანად. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მან წარმომიდგინა ორდერი და მე არაფერი დამრჩენოდა, გარდა იმისა, რომ გავყოლოდი. მე მომათავსეს „ცენტროკასპიის“ მთავრობის კონტრ-დაზვერვაში, რომელიც მოთავსებული იყო იქ, სადაც იყო ჩვენი საგანგებო კომისია.

ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი ის იყო, რომ ჩვენი საგანგებო კომისიის მთელი აპარატი ხელშეუხებლად იყო დატოვებული და ემსახურებოდა კონტრ-დაზვერვას. ყველა თანამშრომლები იგივე, იყვნენ. არ აღმოჩნდა აქ მხოლოდ თავმჯდომარე, (რომელიც იყო **ისააკ ტერ-გაბრიელიანი**, სომხეთის სახკომსაბჭოს ახლანდელი თავმჯდომარე) და ორი-სამი პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგები, ხოლო ყველა დანარჩენი იყვნენ და განაგრძობდნენ მუშაობას კონტრ-დაზვერვისათვის.

მე განვაგრძობდი კონტრ-დაზვერვაში ჯდომას. კონტრ-დაზვერვაში ჩემთან მოვიდა ცენტროკასპიის მთავრობის მომარაგების კომისარი როხლინი. მე მას „ჩავაბარე ანგარიში“, ამ დროს პურით დატვირთული გემი მივიდა ცარიცინში, მე დავრჩი კონტრ-დაზვერვაში, სანამ ბაქოში თურქთა რაზმი არ შემოვიდა. თურქებს გერმანელი ინსტრუქტორი-აფიცრები ხელმძღვანელობდნენ. როდესაც თურქებმა ბაქო დაიკავეს, ცენტროკასპიის მთავრობას ჩვენთვის უკვე აღარ ეცალა, რადგან თავადაც არ იცოდა, საით წასულიყო, ის ქალაქიდან გავიდა ინგლისელებთან ერთად. ქალაქში თურქების შემოსვლის დროს ჩვენ გაგვანთავისუფლეს.

დღევანდელი თვალსაზრისით ეს გაუგებარია, მაგრამ ფაქტია.

მე ბაქოში დავრჩი და დავიმალე.

ორი კვირის შემდეგ დიდი რისკით წამოვედი ბაქოდან თბილისში, რადგან შეუძლებელი იყო ბაქოში დარჩენა.

კომუნამ მაინც გაიმარჯვა.

სხვანაირად არც შეიძლებოდა.

გ. სტურუა.

ათი წლის მანძილზე

(1920 წლის 28 აპრილი 1930 წ.)

საბჭოთა აზერბეიჯანის მშრომელნი დღეს ზეიმით აღნიშნავენ აღმოსავლეთის მიჯნაზე პროლეტარული რევოლუციის საბოლოო გამარჯვების ათი წლის თავს, ვინაიდან აზერბეიჯანი პირველი იყო აღმოსავლეთის იმ რესპუბლიკებიდან, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ ოჯახში შევიდნენ. ამ ათი წლის წინად აზერბეიჯანის პროლეტარიატმა, რევოლუციონურ თურქ გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დამყარებით და საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასის ორგანიზაციულ ძლიერებაზე დაყრდნობით, მკვეთრად მოაბრუნა აზერბეიჯანი განვითარების იმ გზიდან, რომელზე დაყენებასაც წელიწადნახევრის განმავლობაში დაჟინებით სცდილობდა მუსავატისტების მთავრობა. ამ უბადრუკ, უმეცარ უტოპისტებს ვერ შეეგნოთ ის უბრალო ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მომენტიდან მსოფლიო გაიყო ორ ძირითად ბანაკად—საბჭოთა რესპუბლიკების ბანაკად და იმპერიალისტური სახელმწიფოების ბანაკად. ამ ფაქტის გამო ჩაგრული ხალხები, რომელთა რიცხვს აზერბეიჯანის მშრომელნიც ეკუთვნოდნენ, უნდა მიმხრობოდნენ ან ერთ ბანაკს, ან მეორეს, საჭირო იყო დადგომა ან საბჭოთა რესპუბლიკების მხარეზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ან იმპერიალიზმის მხარეზე საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. მუსავატისტების მთავრობა თავს იფარავდა მალაფარდოვანი ფრაზებით მუსავატისტური აზერბეიჯანის „დამოუკიდებლობის“ შესახებ და ამავე დროს იმპერიალიზმის კოლონიის მდგომარეობაში აყენებდა აზერბეიჯანს.

მართლაც, როდის, ან როგორ იყო დაცული აზერბეიჯანის „დამოუკიდებლობა“ მუსავატისტების მართვა-გამგეობის დროს და ვინ უწევდა ანგარიშს ამ „დამოუკიდებლობას“? მაშინ ხომ არ მოხდა ამ „დამოუკიდებლობის“ დაცვა, როდესაც თურქეთის სულთანის სატრაპებმა, რომელთა ხიშტების დახმარებითაც მუსავატმა ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება, გარეკეს ნაციონალური საბჭო განჯაში და ამაოდ სცადეს გადაექციათ აზერბეიჯანი ოტომანის იმპერიის პროვინციად, ხელში ჩაიგდეს რკინის გზები, გაჰქონდათ აზერბეიჯანიდან ყველაფერი, რის გატანაც კი შეიძლებოდა და ერეოდნენ მუსავატისტური მთავრობის ყოველ მოქმედებაში? ან იქნება მაშინ, როდესაც, მსოფლიო ომში განადგურებული თურქეთის ნაცვლად, აზერბეიჯანის ოკუპაცია მოახდინა ინგლისის გენერალმა ტომსონმა, რომელმაც თავისი თავი ბაქოს და მისი რაიონების გენერალ-გუბერნატორად გამოაცხადა, ხოლო სახელმწიფო მართვა-გამგეობის მთავარი პუნქტები ინგლისელებს გადახცა? ინგლისელები ოცნებობდნენ დიდხანს შეენარჩუნებიათ აზერბეიჯანი, მით [illegible] გამოეყენებიათ მისი მოხერხებული სტრატეგიული მდგომარეობა და შეექმნათ სამედო საფარი ოქტომბრის რევოლუციის გავლენის გავრცელების წინააღმდეგ აღმოსავლეთის იმ ქვეყნებში, რომლებიც მათ ემორჩილებოდნენ. ამავე დროს ისინი დაეპატრონენ აზერბეიჯანის ეკონომიკას. ასე, მაგალითად, მათ თანდათან ჩაიგდეს ხელში ნავთის მრეწველობა, კონტროლს უწევდნენ ნავთის გატანას, ეპატრონებოდნენ რკინის გზებს, სავაჭრო ფლოტს, ბანკებს, გაჰქონდათ ფასეულობანი და სხვ.

მუსავატისტები მთელი თავიანთი ძალღონით ხელს უწყობდნენ ინგლისის იმპერიალიზმს და ამავე დროს თავგამოდებულ წინააღმდეგობას უწევდნენ იმას, რომ აზერბეიჯანში შესულიყო წითელი არმია, რომელსაც დახმარება მოჰქონდა თურქეთის ხალხისათვის. თვით ის გარემოება, რომ თურქეთმა განამტკიცა შედეგები თავისი გამარჯვებისა იმპერიალიზმზე და მიაღწია დამოუკიდებლობას, თვალსაჩინოდ უნდა მიეწეროს საბჭოთა რესპუბლიკების მორალურ და მატერიალურ დახმარებას. მაგრამ არა მარტო თურქეთის ხალხის მიმართ ღალატით წაიცხო სამარცხვინო ლაქა მუსავატისტების მთავრობამ. იგი ხელს უწყობდა აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების განთავისუფლების დაუძინებელ მტერს—ინგლისის ბარიერის შექმნაში იმ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, რომლებმაც დაიწყეს ბრძოლა აღმოსავლეთის მჩაგვრელთა წინააღმდეგ და რომლებიც არიან ყველა ჩაგრულთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი. მარტო ამ ფაქტით მუსავატისტური მთავრობა აშკარავებს, რომ იგი იყო იმპერიალიზმის ლაქია, მისი ერთგული მსახური აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხების დამონებისათვის ბრძოლაში.

საგარეო პოლიტიკის ამ ორიენტაციას შეეფერებოდა მუსავატისტების შინაური პოლიტიკა—ისინი აქაც იმპერიალიზმის ერთგული მიმდევარნი იყვნენ. მათმა რეაქციონურმა პოლიტიკამ თითქმის მეფის თვითმპყრობელობის დროინდელ მემამულეთა შავბნელ პოლიტიკასაც კი გადააჭარბა. ამის დასახასიათებლად საკმარია მოვიყვანოთ მხოლოდ ორი მაგალითი. აგრარული ურთიერთობა აზერბეიჯანის სოფელში 1917 წლის რევოლუციამდე მეტად მძიმე იყო. მემამულეების ხელში იყო უდიდესი მამულები, ისინი განაგებდნენ სარწყავ სისტემას და, გარდა ამისა, ყოველნაირი ბეგარით ტვირთავდნენ გლეხებს. გლეხობა მოქცეული იყო მრავალრიცხოვანი ხანების, ბეგებისა და აღალარების მონობაში, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

1920 წლის 11 თებერვალს აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის შექმნის მომენტში, გლეხობა, მჭიდრო კავშირში მუშათა კლასთან და ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით, სწრაფად აღრმავებს აგრარულ მოძრაობას და ამზადებს ნიადაგს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის. როგორც მაშინ, როდესაც მუსავატისტები ძალაუფლების ხელში ჩაგდებას სცდილობდნენ, ისე მათი მართვა-გამგეობის წელიწადნახევრის განმავლობაში, ეს კაციჭამიები, იმ მიზნით, რომ ძალაუფლება შეენარჩუნებიათ, სარგებლობდნენ [illegible] ნაციონალური მტრობით. მუსავატისტები უხვად სთესდნენ შოვინიზმის თესლს, უსისიანებდნენ ერთ ხალხს მეორეს და აწყობდნენ რბევას, ამიტომ მათ სავსებით დაიმსახურეს აზერბეიჯანის პურიშკევიჩების სახელი. 1918 წლის დასაწყისშივე, როდესაც მუსავატისტები თავს უყრიდნენ შავ-ბნელ ძალებს ბაქოს კომუნის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისინი აწყობენ შამქორის რბევას, თავს ესხმიან თავიანთი ბანდებით ფრონტიდან მომავალ ჯარისკაცებს. ეს ხოცვა-ჟლეტა, რომლის შედეგი იყო მრავალი უდანაშაულო ჯარისკაცის ამოწყვეტა, მუსავატისტებს იმისათვის ესაჭიროებოდათ, რომ სხვა მიმართულება მიეცათ განჯის გლეხობის აგრარული მოძრაობისათვის და ეშოვნათ იარაღი თავიანთი ბანდებისათვის. ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ მუსავატისტებმა მართვა-გამგეობის სისტემად აქციეს ნაციონალური მტრობის გაღვივება, რბევა და ეროვნებათა შორის ომების გამოწვევა.

სომხებსა და თურქებს შორის ხოცვა-ჟლეტის მოწყობის გარდა, მუსავატისტებს განუწყვეტელი კონფლიქტები ჰქონდათ ხან ქართველებთან, ხან მუღანში მცხოვრებ რუს გლეხებთან, ხან გერმანელ კოლონისტებთან. მუსავატისტებმა და მათმა ღირსეულმა პარტნიორებმა—დაშნაკებმა და მენშევიკებმა თავიანთი ხანმოკლე ბატონობის დროს მთელი ამიერ-კავკასია ნაციონალური მტრობისა და ძმათა შორის სისხლის ღვრის ასპარეზად გადააქციეს. ამ პროპაგანდის შედეგი იყო რამდენიმე ასი ათასი მოკლული, დასახიჩრებული და უსახლკაროდ დარჩენილი, რამდენიმე ასი ათასი ქვრივ-ობოლი და ლტოლვილი; განადგურდა ისეთი აყვავებული ქალაქები, როგორიც იყო შუშა, ნახიჩევანი და შემახა და მიწასთან გასწორდა არა ერთი და ორი სოფელი.

1920 წლის 28 აპრილიდან საბჭოთა აზერბეიჯანში დამყარდა მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობა. საბჭოთა ხელისუფლების სწორმა პოლიტიკამ მოკლე ხნის განმავლობაში მოაგვარა თითქოს მოუგვარებელი ნაციონალური წინააღმდეგობანი. საბჭოთა აზერბეიჯანის ათი წლის არსებობა წარმოადგენს ნაციონალური საკითხის გადაჭრის ბრწყინვალე მაგალითს, რაც აღმოსავლეთის დამონებული ხალხების სიმპატიებსა და თანაგრძნობას იზიდავს საბჭოთა ქვეყნისაკენ. სწრაფად ხდება ცარიზმისა და იმპერიალიზმის კოლონიალური პოლიტიკის შედეგების ლიკვიდაცია, ძირფესვიანად ისპობა იმპერიის ყოფილი „განაპირა კუთხის“ ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. საბჭოთა ხელისუფლების პირმშო შვილი, ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელიც წარმოიშვა ბაქოს პროლეტარიატის ინიციატივით აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ორი წლის გასვლის შემდეგ. ეს ფედერაცია, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს ნაბიჯს ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის პრინციპების განხორციელების გზაზე, სწრაფად ვითარდება. ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამი მოძმე რესპუბლიკის მშრომელნი, მჭიდრო პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ, მაქსიმალურ ენერგიას იჩენენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის ეკონომიურად განმტკიცების საქმეში, რისთვისაც შეთანხმებულად იყენებენ თავიანთ შემოქმედებით ძალებს. ამ პროცესმა უდიდეს წარმატებას მიაღწია განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ორ-სამ წელს, სამი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის უდიდეს ამოცანებთან დაკავშირებით; ამიერ-კავკასიის ს.მ.უ. საბჭოს დაარსება და მრეწველობის რესპუბლიკანური დარგების ტრესტებად გაერთიანება ჰქმნის მკვიდრ ეკონომიურ საფუძველს, აჩქარებს ტემპებს და ზოგავს ძალებს.

და, როგორც კი დამყარდა ნაციონალური მშვიდობიანობა, საბჭოთა აზერბეიჯანის მშრომელები შეუდგნენ დაუღალავ მუშაობას სახალხო მეურნეობის აღსადგენად. მათ მოკლე ხნის განმავლობაში, დაახლოებით 1925 წლისათვის, აღადგინეს სახალხო მეურნეობა, რომელიც მუსავატისტების ბატონობის დროს ძალზე დაეცა. ერთი ან ორი წელიწადი კიდევ რომ დარჩენილიყო ეს ხელისუფლება, ფაბრიკებისა, ქარხნებისა და სარეწაოებისაგან მხოლოდ სახელწოდება ღა დარჩებოდა. ნავთის მრეწველობა ღრმა კრიზისს განიცდიდა, ნავთის ამოღება ომის წინადროინდელი რაოდენობის ერთ მეხამედსაც ძლივს აღწევდა. ჭა-ბურღილების თხრა თითქმის შეჩერებული იყო (ომის წინადროის ორ პროცენტს უდრიდა).

მაგრამ ბაქოს პროლეტარიატმა გმირული ბრძოლით ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ აზერბეიჯანის ნავთის დიდი მრეწველობა აშკარად მსოფლიო მნიშვნელობის ტრესტების გვერდით ხდგას. ჭა-ბურღილების თხრის საქმეში მიმდინარე წელს ბაქომ მიაღწია ომის წინადროის 227 პროცენტს, ნავთის ამოღების საქმეში—136 პროცენტს. გაზის მოპოვება გადიდდა ცხრაჯერ, ბენზინის 12-ჯერ. უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში აზნავთმა ნამდვილი ტეხნიკური რევოლუცია მოახდინა. ზერელე შედარებაც კი მოგვცემს წარმოდგენას იმ უდიდესი განსხვავების შესახებ, რომელიც არის ნაციონალიზაციამდე არსებულ წვრილ და ტეხნიკურად და ეკონომიურად სხვადასხვა დონეზე მდგომ 272 ფირმასა და ახლანდელ არაჩვეულებრივად დიდი ზომის ტრესტს შორის.

ჭა-ბურღილის გათხრას ახლა სჭირია 2-3 თვე, ნაცვლად წინანდელი 2-3 წლისა. ნავთის სარეწავებში განხორციელდა სრული ელექტროფიკაცია. ნავთის ხარჯი სარეწაოებში ომის წინ უდრიდა მთელი ამოღებული ნავთის 15,5 პროცენტს, ახლა უდრის 2 პროცენტს. ჭა-ბურღილების თხრის თვითღირებულება, რაციონალიზატორულ ღონისძიებათა წყალობით, მარტო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში 50 პროცენტით შემცირდა. აგებულ იქნა ბევრი ახალი ნავთის სახდელი ქარხანა, ნაწილი ბათუმში. გაყვანილ იქნა ბაქო-ბათომის ნავთსადენი. ნავთის ექსპორტი, ომის წინადროსთან შედარებით, ოთხჯერ გადიდდა. საქმე აზნავთში ისეა დაყენებული, რომ იგი ბევრად არ ჩამოუვარდება ამერიკის ნავთის სარეწავებს, რაც ამ ცოტა ხნის წინად მიუწვდომელ იდეალს წარმოადგენდა. ომის წინ ბაქოს ნავთის მრეწველობაში მუშაობდა 59 ათასი მუშა, მრეწველობის ნაციონალიზაციის დროს 28 ათასი, ხოლო ამჟამად 48,3 ათასი. და ეს მაშინ, როდესაც ნავთის ამოღების ის დონე, რომელიც ომამდე იყო, დიდი ხანია უკვე დაძლეულია და მუშებიც, წინანდელი 12-14 საათის ნაცვლად, დღეში 8 საათს მუშაობენ, ხოლო ბევრ ადგილას 7 საათსაც კი. ძალიან შეიცვალა მუშების ნივთიერი მდგომარეობაც. თუ ომამდე მხოლოდ 2-3 ფირმას მოეპოვებოდა მუშებისათვის ოდნავ შესაფერი საბინაო პირობები, ახლა, უდიდესი ახალი მშენებლობის გამო, რასაც 30 მილიონ მანეთზე მეტი მოხმარდა, მუშების ნახევარზე მეტი აზნავთის სახლებში სცხოვრობს. მუშათა ახალი უბნები და ახალი სახლები—ეს მთელი დიდი ქალაქია, სადაც 100 ათასი მუშა და მათი ოჯახის წევრები სცხოვრობენ. ბაქოს პროლეტარიატმა მიზნად დაისახა—ხუთწლედი შეასრულოს ორ წელიწად ნახევარში. აზნავთის მუშები არა თუ დააკმაყოფილებენ სათბობი მასალით საბჭოთა კავშირის მთელ სახალხო მეურნეობას, არამედ ნავთის მნიშვნელოვან რაოდენობას ექსპლოატაციისათვისაც მოგვცემენ.

გარდა ნავთის მრეწველობისა, აზერბეიჯანში ომამდე მრეწველობის დანარჩენი დარგები სუსტად იყვნენ განვითარებული, თუმცა ამ განვითარებისათვის დიდი შესაძლებლობა არსებობდა. 2-3 ფაბრიკა და ქარხანა, ათიოდე შინამრეწველური საწარმო — აი ის, რაც დაგვიტოვეს კაპიტალისტებმა. მრეწველობის სუსტი განვითარების მთავარი მიზეზი მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა იყო,

აზერბეიჯანის მრეწველობის განვითარება ხელოვნურად ფერხდებოდა. მუსავატისტებს ნგრევის გაღრმავების მეტი ახალი არაფერი გაუკეთებიათ. რესპუბლიკანური მრეწველობის აღდგენაც არსებითად 1925-26 წელს დამთავრდა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში რესპუბლიკანურ მრეწველობაში (აზნავთისა და ბამბის მრეწველობის გამოკლებით) დაბანდებულ იქნა დიდი თანხა — 50 მილიონი მანეთი. კაპიტალური დაბანდება წლითი-წლობით იზრდება. ჯერ კიდევ 1924 წელს აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფი საწარმოების ძირითადი კაპიტალი 12.6 მილიონ მანეთს უდრიდა, ხოლო მიმდინარე წელს მან 37,6 მილიონ მანეთს მიაღწია, ე. ი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში იგი სამჯერ გაიზარდა. აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფი საწარმოების მთელი პროდუქცია უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში 7-ჯერ გაიზარდა. ქარხნები უახლოვდებიან იმ ნედლეულის ბაზებს, რომლითაც ისინი იკვებებიან. მუსავატისტების ნაციონალური პროპაგანდის კერა — ფეოდალური განჯა ამ მოკლე ხნის განმავლობაში უკვე გადაიქცა აზერბეიჯანის მეორე ინდუსტრიალურ ცენტრად.

უდიდესი საფეიქრო ქარხანა, მაუდის ქარხანა, ზეთისა და საპნის დიდი ქარხანა, სამი ელექტროსადგური და სხვა — სრულებით ახალ სახეს აძლევენ განჯას. იზრდება ნუხა — აბრეშუმის საქსოვი მრეწველობის ცენტრი, სადაც თავდება აგება აბრეშუმის სახვევი დიდი ქარხნისა 576 გობით. ეს ქარხანა თავისი სიდიდით მეორეა ევროპის ასეთსავე ქარხნებს შორის. აზერბეიჯანში, აზნავთის გამოკლებით, რომლის ელექტროფიკაციაც მთლიანად მოხდა, აგებულია ათზე მეტი ელექტრო-სადგური. მიმდინარე წელს ყაზახის არხზე დაიწყო დიდი, 51 ათას კილოვატიანი ძალოვნების, სარაიონო ჰიდრო-სადგურის აგება. იგი სამსახურს გაუწევს განჯის მრეწველობას. იქმნებიან მუშათა ახალი კადრები, უმთავრესად — ძირითადი მოსახლეობიდან. ხუთი წლის განმავლობაში აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოს საწარმოებში მუშათა რიცხვი ორნახევარჯერ გაიზარდა და მან 15.200 კაცს მიაღწია. თურქი ქალი, რომელიც რევოლუციამდე დამონებული იყო, ახლა სწრაფად ებმება ინდუსტრიალური პროლეტარიატის კადრებში. ფაბრიკებსა და ქარხნებში 4 ათასამდე ქალი ირიცხება. ხუთწლედის დამლევისათვის, საფეიქრო, სამკერვალო და აბრეშუმის მრეწველობის გაფართოებასთან დაკავშირებით, მუშაქალთა რიცხვი ოთხჯერ მეტად უნდა გაიზარდოს. აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოს გამგებლობაში მყოფ მრეწველობაში ხუთი წლის განმავლობაში საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯა 4,5 მილიონ მანეთზე მეტი.

დღემდე აზერბეიჯანში უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა მსუბუქ მრეწველობას (საფეიქრო, აბრეშუმის და სხვა). უკანასკნელ ხანებში მოხდა საბადოების კვლევა-ძიება, ეკონომიური გამოკვლევები, სხვადასხვა დარგების შესწავლა, რაც საშუალებას გვაძლევს დავიწყოთ ახალი საწარმოების აგება სამთამადნო, ქიმიური და მეტალურგიულ მრეწველობაში. დაშკესანის რკინის მადნის სამრეწველო გამოყენების საფუძველზე მომავალი წლიდან განჯაში იწყება მეტალურგიული ქარხნის აგება. ამ უდიდესი მშენებლობის მთელი ღირებულება ნავარაუდევია 130-150 მილიონი მანეთის რაოდენობით. ეს იქნება არა მარტო აზერბეიჯანის, არამედ მთელი ფედერაციის ინდუსტრიალიზაციის ძირითადი ბაზა. სამთო-ქიმიური მრეწველობისათვის გამოყენებული იქნება ჩაირაგიძორის გოგირდის მადანი. მახლობელ წლებში შეიქმნება გოგირდ-მჟავას, სუპერ-ფოსფატის, იოდის და სხვა ქიმიური ქარხნები. განზრახულია ქარხნის აგება ალუმინის მისაღებად ზაგლიკის ალუნიტის მადნისაგან. [illegible] აგრეთვე მრავალი სხვა ქარხნის აგება. ამ მშენებლობას შევუდგებით მიმდინარე ხუთწლედის განმავლობაში და შემდეგი ხუთწლედის პირველ წლებში.

სამრეწველო მშენებლობის ეს უდიდესი მიღწევები განსაკუთრებით იმ დარგების მიღწევები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი სოფლის მეურნეობასთან, ახლავე ახდენენ გავლენას და რაც დრო გავა, უფრო მეტად მოახდენენ გავლენას ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალ - ტეხნიკურ გარდაქმნაზე. რევოლუციამდე აზერბეიჯანის სოფელი გადაგვარების გზაზე იდგა. ერთა შორის შეტაკებამ განსაკუთრებით სოფლის ეკონომიკაზე იქონია გავლენა. 1919 წელს ნათესის ფართობი ომის წინა დროინდელი ფართობის ნახევარს უდრიდა. მებამბეობა თითქმის სულ გაჰქრა და 1913 წელს 114 ათას ჰექტარიდან 1920 წელს 4 ათას ჰექტარამდე დაეცა. გლეხობამ დაჰკარგა თავისი მუსაქონლის თითქმის ნახევარი. სარწყავი სისტემა მთლად დაინგრა. ამას უნდა დაემატოთ სტიქიური უბედურებანი: კალია და საქონლის გამანადგურებელი ჭირი. სამი წლის დაუღალავი ბრძოლით, რაშიაც თვით გლეხობაც იღებდა აქტიურ მონაწილეობას, კალიის მრისხანე ფრონტი (კალია მძვინვარებდა აზერბეიჯანის ნათესის ერთ მეოთხედზე) მოსპობილ იქნა და გლეხობას მიეცა ნორმალური მუშაობის საშუალება. უკანასკნელ წლებში დაუღალავი და გეგმაშეწონილი ბრძოლით მოხერხდა საქონლის ჭირის სრული მოსპობაც. ხალხის ხსოვნაში უკანასკნელი წელი პირველია, როდესაც არ ყოფილა ჭირის არც ერთი შემთხვევა.

აზერბეიჯანის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც მთავრობა დიდ თანხებს სდებს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. ომამდე არ არსებობდა არც ერთი საცდელი სადგური, გარდა მუღანის სადგურისა. ათი წლის განმავლობაში დაარსდა 21 დაწესებულება 35 სამეცნიერო - საცდელი განყოფილებით, რომელთა პერსონალიც 470 კაცს უდრის. დიდ წარმატებითაა აგრონომიული დახმარების მიწოდების საქმეშიაც. აზერბეიჯანში აგრონომები მხოლოდ ომის წინა ორ წლიწადში გამოჩნდნენ, მაგრამ ერთი აგრონომი ემსახურებოდა რამდენსამე მაზრას. 10 წლის განმავლობაში აგრონომების რიცხვი ათჯერ გადიდდა და მიმდინარე წელს 250 კაცს უდრის. აგროპუნქტების რიცხვიც იმავე ხნის განმავლობაში ათჯერ გადიდდა. სოფელმა გაიღვიძა, იგი ხარბად ეწაფება ტეხნიკურ ცოდნას. მარტო შარშან სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კურსები გაიარა 10 ათას გლეხზე მეტმა. სწრაფად იზრდება სოფლად ინვენტარის რიცხვი, ათი წლის განმავლობაში რკინის გუთნების და რკინის ფარცხების რიცხვი ორჯერ გადიდდა. ტრაქტორი გლეხის უდიდეს ყურადღებას იქცევს. აზერბეიჯანის მინდვრებზე 900-დე ტრაქტორი მუშაობს. თვალსაჩინო ცვლილება მოხდა წყალთა მეურნეობაშიაც, სადაც უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში 20 მილიონ მანეთამდე იქნა დაბანდებული. ხუთწლედის დამლევამდე, მებამბეობის ფართობის უდიდეს ზრდასთან დაკავშირებით (1931-32 წელს ეს ფართობი აყვანილ უნდა იქნას 240 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 150 ათასი ჰექტარისა, რომელიც წელს არის), ირიგაციაზე გაწეულმა ხარჯებმა 1.200 მილიონ მანეთს უნდა მიაღწიოს. ის მზრუნველობა, რომელსაც მთავრობა ტეხნიკური რეკონსტრუქციის საქმეში იჩენს, ამჟამად თვალსაჩინო ეფექტს იძლევა. რევოლუციის განმავლობაში ტეხნიკური კულტურების ფართობი 18—19-ჯერ გაიზარდა და ომის წინადროს 40 პროცენტით აღემატება. გაიზარდა საქონლის რიცხვი. არის წარმატება სოფლის მეურნეობის ღირსების მაჩვენებელთა გაუმჯობესების საქმეშიაც.

სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ გარდაქმნასთან ერთად, წარმატებით მიმდინარეობს მისი სოციალური რეკონსტრუქცია. ამჟამად სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში გლეხობის ნახევარზე მეტია გაერთიანებული. ძლიერდება კონტრაქტაცია, რომელიც ვრცელდება ყველა მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე. გლეხობა წლიდან წლობით რწმუნდება მსხვილი განსაზოგადოებული მეურნეობის უპირატესობაში. აზერბეიჯანის მეურნეობათა საერთო რიცხვის 20 პროცენტი უკვე შევიდა კოლმეურნეობებში.

ეროვნული კულტურის მშენებლობამ, ეკონომიკის სწრაფ მშენებლობასთან ერთად, მძლავრი განვითარება იწყო 1920 წლის 28 აპრილიდან. მუშაობის არც ერთ დარგს არ განუცდია პროლეტარული რევოლუციის ისეთი ძლიერი განმათავისუფლებელი გავლენა, როგორც განიცადა კულტურულმა მშენებლობამ. ხალხის საუკუნოებით მთვლემარე ძალებმა, რომლებიც შებოჭილნი იყვნენ ფართო მასებისათვის ხელმიუწვდომელი კულტურის არტახებით, მხოლოდ ამ ათი წლის განმავლობაში ჰპოვეს ფართო გამოსავალი და ხარბად დაეწაფნენ ეს ძალები განათლებას. კულტურის ყოველმა სახემ—ლიტერატურამ, მეცნიერებამ, ხელოვნებამ და სხვ. —მძლავრი გასაქანი ჰპოვა განვითარებისათვის. მუსავატელებს სახალხო განათლებისათვის უმნიშვნელო თანხა ჰქონდათ გადადებული 638 ათასი მანეთი 1919 წელს. ჩვენი ხარჯები წლითი-წლობით იზრდება; მიმდინარე წელს ამ ხარჯებმა 42 მილიონ მანეთს მიაღწიეს ერთი წლის განმავლობაში, ე. ი. 60-ჯერ მეტი დავხარჯეთ, ვიდრე მუსავატელები ხარჯავდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის ძირითადმა პრინციპებმა ფართო შესაძლებლობანი მისცეს ჩამორჩენილ ერებს ესარგებლათ სკოლებით და ამავე დროს სხვა ეროვნებებსაც უზრუნველეყოთ სკოლით დედა ენაზე. ამჟამად მარტო აზერბეიჯანში 11 ეროვნებაა, რომლებსაც საშუალება აქვთ სწავლა-განათლება მიიღონ სკოლაში მშობლიურ ენაზე, 1919 წელს კი სკოლა ჰქონდათ სამ ეროვნებას. თურქიზაცია უმაღლეს სკოლებში შესამჩნევი წარმატებით მიმდინარეობს. ამჟამად ყველა უმაღლეს სასწავლებლებში აკადემიურ პერსონალს შორის თურქული ეროვნების სამეცნიერო მუშაკთა პროცენტი 20-დან 90 პროცენტამდე ადის. განსაკუთრებით სახარბიელოა თურქი ქალის განთავისუფლების შედეგები. თუ მოსწავლე ქალთა მთელი მასის ზრდა, ომის წინა პერიოდთან შედარებით, 310 პროცენტს აღწევს, ცალკე აღებულ თურქ ქალთა ზრდა უდიდესი პროცენტით გამოიხატება—1889 პროცენტით, ე. ი. ზრდა 20-ჯერ მეტია ომის წინა დროსთან შედარებით. განათლებაზე ნაკლები სისწრაფით არ მიმდინარეობს მთელი ეროვნული კულტურის მშენებლობა, სამეცნიერო-საგამომცემლო დაწესებულებათა ქსელი გაიზარდა ათიდან 100-მდე. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანას და მის ისტორიას მხოლოდ ახლა ვეცნობით.

ჩვენს მიღწევებს კულტურულ ფრონტზე ინტერესით ადევნებენ თვალყურს აღმოსავლეთის ხალხები, რომლებიც წითელი მიჯნის გადაღმა ცხოვრობენ. შემოღება ლათინურ-თურქული ანბანისა, რომელიც გადატანილ იქნა თურქეთში და ბაქოს თურქოლოგიური ყრილობა, რომლის მუშაობასაც თვალყურს ადევნებდნენ არა ერთი ქვეყნის მეცნიერნი, გასაგებად ხდიან, რომ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს ნოყიერი ნიადაგი დახვდა, რომ მათის წყალობით ჩვენი ქვეყნის კულტურულმა ცხოვრებამ მძლავრ ნაკადად გადმოხეთქა და თამამად წაშალა თავის გზაზე საუკუნოებრივი ცრუმორწმუნეობანი და ყალბი შეხედულებანი, რითაც ბნელეთის მოციქულებს სურდათ უკვდავეყოთ თურქი ხალხის ჩამორჩენილობა.

რომ არ დავასახელოთ კიდეც ეროვნული კულტურის მშენებლობის მიღწევათა მცირე ნაწილიც კი, რომ არ გავიხსენოთ კიდეც ასობით გამოცემული წიგნების სახელები და თურქული გაზეთების რამდენიმე ათად გადიდებული ტირაჟი, ხელოვნებისა და ლიტერატურის ბრწყინვალე აყვავება, ეროვნული მუსიკალური კულტურის შექმნა და სხვ., მაინც შეიძლება მივხვდეთ, თუ რა დიდი ნაბიჯი გადასდგა იმ ხალხმა, რომელიც რევოლუციამდე კულტურულად ჩამორჩენილი იყო და რა უნახავი ტემპით ჰქმნის იგი ეროვნულ კულტურას.

საბჭოთა აზერბეიჯანის მშრომელების წინაშე მშენებლობის უდიდესი ამოცანებია დასახული, მათ ბრწყინვალე პერსპექტივები აქვთ მუშაობის ყველა დარგში. პროლეტარიატი განამტკიცებს მჭიდრო კავშირს გლეხობის ძირითად მასასთან, სწრაფად განავითარებს მრეწველობას, ნაყოფიერად გამოიყენებს ბუნებრივ სიმდიდრეს და ამით უფრო ძლიერ გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაზე, რომელიც მოხდება ახალ სოციალურ და ტეხნიკურ ბაზაზე. ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის ორი ძირითად წყაროს—ნავთსა და ბამბას—მშრომელები უახლოეს წლებში მიუმატებენ რკინასა და ქიმიური მრეწველობის პროდუქციას.

აღმოსავლეთის ხალხთა შორის პირველად აზერბეიჯანის მშრომელებმა გაარღვიეს იმპერიალიზმის სისტემა და სინამდვილეში დაამტკიცეს, თუ რა შეუძლია გააკეთოს 10 წლის განმავლობაში ჩამორჩენილ ქვეყანას, რომელიც გადაჭრით დაადგა პროლეტარული რევოლუციის გზას და მჭიდროდ დაუკავშირდა საბჭოთა რესპუბლიკების მოძმე ხალხებს, რომლებიც უდიდესი აღფრთოვანებით ჰქმნიან ახალ საზოგადოებას. მშენებლობის ტემპები უფრო და უფრო სწრაფი ხდება, ახალ-ახალი ფენები მთელი ეკონომიკისა და კულტურის უნახავი გარდაქმნის აქტიურ მონაწილეებად ხდებიან.

საბჭოთა აზერბეიჯანის პროლეტარული რევოლუციის მეორე ათი წლის მიჯნაზე მშრომელები პირისპირ მიადგნენ ძირითადი ამოცანის განხორციელების საქმეს—აღმოსავლეთის საზღვარზე ისეთი სანიმუშო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნას, რომელიც ნათელი და ჩაუქრობელი ლამპარი იქნება, რომელიც მთელ დაჩაგრულ აღმოსავლეთს უჩვენებს განთავისუფლების ერთად-ერთ სწორ გზას, პროლეტარული რევოლუციის გზას.

1930 წ. 22 აპრილი.

გ. მუსაბეკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოც. შეჯიბრების შედეგების შემოწმება

გარდაბანის ნავთსაქაჩავ სადგურის მუშებმა გადაჭარბებით შეასრულეს შეჯიბრების პირობები

თბილისის ლურსმნის ქარხნის საწარმოო გეგმის და შეჯიბრების პირობების შესრულება საფრთხეშია

სპილენძის სატკეცი ქარხანა მოწინავე რიგებში

შეჯიბრების შემოწმების დეფექტები

სოციალისტური შეჯიბრების ერთი წლის მიღწევებმა, რომლის შემოწმებაც სწარმოებს ამჟამად, კიდევ ერთხელ ნათელჰყო ის გარემოება, რომ მშრომელთა მილიონიანი მასების თვითმოქმედების ეს ფორმა ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად და საერთოდ სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად.

შეჯიბრების შედეგების შემოწმება ჯერ არ არის დამთავრებული. მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში მხოლოდ ეხლა გაიშალა შეჯიბრების შემოწმების ორგანიზაციული მუშაობა. მიუხედავათ ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართოდ გაშალა თვითკრიტიკა და გააცხოველა მუშათა ინიციატივა წარმოების რაციონალიზაციაში. ის ფაქტი, რომ სოცშეჯიბრების შედეგების შემმოწმებელ ბრიგადებში ჩაბმულია ფაბრიკა-ქარხნების საუკეთესო მუშების უმრავლესობა, ამტკიცებს იმას, რომ შეჯიბრებამ ასწია მუშათა თაოსნობა და გააძლიერა მათი ინტენსივობა სოციალისტურ მშენებლობაში.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ თვით ამ შედეგების შემმოწმებელ ბრიგადების მუშაობის ხარისხი სრულებითაც არ არის დამაკმაყოფილებელი. მართალია ბრიგადები ამჟღავნებენ შეჯიბრების დეფექტებს და აჯამებენ მიღწეულ შედეგებს, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ხშირად და ბევრ ადგილას შედეგების შეჯამება ხდება კაბინეტურად (შეჯამების დროს არ ექცევა ყურადღება საწარმოებში რაციონალიზატორულ მუშაობას, მუშაობის პირობებს, პროფორგანოების მუშაობას და სხვა) და მეორეც მარტო დეფექტების უბრალო აღნუსხვით და მიღწეულ შედეგების შეჯამებით არ ამოიწურება შემმოწმებელ ბრიგადების ამოცანა.

ბრიგადების ამოცანაა ჯამი გაუკეთონ სოციალისტური შეჯიბრების ერთი წლის მიღწევებს და გამოამჟღავნონ დეფექტები არა მარტო საწარმოო გეგმის შესრულებაში, არამედ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში (საწარმოო თათბირების მუშაობა, პროფორგანიზაციების მონაწილეობა შეჯიბრებაში, სოც. შეჯიბრებისადმი კულტურული სამსახური, ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მონაწილეობა შეჯიბრებაში და სხვა).

ასრულებენ თუ არა ბრიგადები ამ ამოცანებს? არა, ვერ ასრულებენ. თუ გავეცნობით შემოწმების შედეგებს, ვნახავთ, რომ შემოწმება უმთავრესად ეხება წარმოების შინაურ მუშაობას; როგორია შრომის ნაყოფიერება, თვითღირებულება და სხვ., ეს რასაკვირველია შეჯიბრების მთავარი დარგია. ბრიგადებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საკითხს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეჯიბრების შედეგების შემოწმების დროს არ მივაქციოთ ყურადღება ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული არიან წარმოებასთან და რომლებზედაც დამოკიდებულია მუშათა ინტენსივობის ზრდა. ასეთი საკითხებია მაგალითად: კულტურული სამსახურის გაწევა შეჯიბრებისადმი, საწარმოებში მუშაობის პირობების გაუმჯობესება, საწარმოო თათბირების მუშაობა, დამკვრელ ბრიგადებზე ხელმძღვანელობის ხარისხი, კედლის გაზეთების მონაწილეობა შეჯიბრებაში და სხვა. ამ საკითხებს შემმოწმებელი ბრიგადები დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. მომავალში ეს ნაკლოვანებანი გამოსწორებული უნდა იქნას.

შემმოწმებელი ბრიგადები არ უნდა დაკმაყოფილდნენ დეფექტების უბრალო აღნუსხვით. მათ, დეფექტებთან ერთად უნდა გამოამჟღავნონ ამ დეფექტების გამომწვევი მიზეზები და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად. მხოლოდ ასეთი მუშაობით ბრიგადები შესძლებენ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა და კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოცშეჯიბრება.

ვ. ნ.

გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ

შეჯიბრების პირობები შესრულებულია. — შეჯიბრებამ ხელი შეუწყო ნავთის გადაქაჩვის გაძლიერებას—სამუშაოთა თვითღირებულება შემცირდა

სოცშეჯიბრების შემმოწმებელმა ბრიგადამ დაამთავრა რა თავისი მუშაობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გარდაბანის ნავთსაქაჩავ სადგურში. ამ სადგურს სამეურნეო-პოლიტიკური ხელშეკრულება დადებული აქვს ქობულეთის სადგურთან. ხელშეკრულება შესდგება 15 მუხლისაგან. შემოწმებამ გამოარკვია, რომ გარდაბანის სადგურმა ხელშეკრულების პირობები ზუსტად შეასრულა.

ნავთის გადაქაჩვის პროგრამა შესრულებულ იქნა სოული ასი პროცენტით. მუშაობა შეუწყვეტლივ სწარმოებდა. ხელსაწყოების მოვლის და სადგურში სისუფთავის დაცვის პირობა შესრულებულია უნაკლოდ. სამსახურში გამოუცხადებლობა აღმოფხვრილია სავსებით. არც ერთ ასეთ შემთხვევას არ აქვს დღეს ადგილი. წინად სადგურში ხშირი იყო სიმულაციის და ლოთობის შემთხვევები, დღეს ესეც აღმოფხვრილია.

გაუჯანსაღებულია მასალების ხარჯების აღრიცხვის საქმე და ეხლა მასალები იხარჯება მიზანშეწონილად და მომჭირნეობით. ბრიგადამ გამოარკვია, რომ საქმისადმი გულგრილად და დაუდევრად მოპყრობას ადგილი აღარ აქვს. გენერალური კოლხელშეკრულების პირობები დაცულია ორივე მხარის მიერ სრული 100 პროცენტით.

მიღწეულია ეკონომია საწვავ მასალებს ხარჯვაში. მაგალითად სამი თვის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, მარტი) სადგურს უფლება ჰქონდა დაეხარჯა ნავთის გადაქაჩვაზე 419.401 ტონა მაზუთი, ფაქტიურად კი დახარჯა 384.681 ტონა (ეკონომია უდრის 8 პროცენტს).

შემცირებულია ძრავების და მანქანების შეკეთების თვითღირებულებაც, მაგალითად ორი დინამოს დადგმაზე ნაცვლად ნებადართული 500 მანეთისა დახარჯულია 320 მან. (ეკონომია 36 პროც.); აგრეგატების შემოწმებაზე 100 მანეთის ნაცვლად დაიხარჯა—307 მანეთი, ე. ი. 69 პროც. ნაკლები; ველოდრეზინის კაპიტალურად შეკეთება ნაცვლად გადადებული 225 მანეთისა დაიხარჯა 98 მანეთი.

სოცშეჯიბრების პერიოდში (1 იანვრიდან—1 აპრილამდე) სადგურმა შეამცირა საზეთე მასალების ხარჯვაც.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მუშათა შორის წერა-კითხვის და ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამ პუნქტის შესასრულებლადაც დიდი მუშაობა არის ჩატარებული სადგურში და ამის შედეგია წერა-კითხვის უცოდინარ მუშათა რიცხვის საგრძნობი შემცირება.

მოწინავე ქარხანა

(სპილენძის სატკეცი ქარხანა)

სოციალისტური შეჯიბრების შემოწმებისათვის სპილენძის სატკეცი ქარხნის მუშებს შორის გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს. 25 მარტს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები სოციალისტური შეჯიბრების წლის თავის შედეგების შესახებ. კრებაზე მუშებისაგან ჩამოყალიბდა მოხალისეთა საკონტროლო შემმოწმებელი ბრიგადები.

აღნიშნულ ქარხანამ გასულ წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია 26 კომუნარის სახელობის ქარხნის სასწორების სამჭრო. სპილენძის სატკეცი ქარხნიდან ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 15 მუშა. ამათში 7 მუშა ჩამომსხმელ სამჭროდან და 8 მუშა სატკეცი სამჭროდან. აქ არსებობს 2 დამკვრელი ბრიგადა. ბრიგადის ზოგიერთი წევრები ქ. მურადოვი და სხვა ვერ ამართლებენ დამკვრელობის სახელს.

ადმინისტრაცია აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საწარმოო თათბირების და საწარმოო კომისიების მუშაობაში და ცხოვრებაში ატარებდა მათს დადგენილებებს.

პირველ კვარტალში ქარხანას გეგმის მიხედვით უნდა დაემუშავებინა 407 ტონა სუფთა სპილენძი. ეს გეგმა 12 პროცენტის გადაჭარბებით იქნა შესრულებული. თვითღირებულება უნდა შემცირებულიყო 8,8 პროც. შემცირდა კი 9 პროცენტით. მეორე კვარტალში ხელშეკრულება ქარხანამ შეასრულა 105,4 პროცენტით.

სპილენძის სატკეცი ქარხანაში პირველ კვარტალის განმავლობაში აღრიცხული მხოლოდ 4 გაცდენა. მეორე კვარტალში კი 2 გაცდენა; მარტში და აპრილის თვეში გაცდენას სრულიად არ ქონია ადგილი.

ქარხანა ნედლ მასალას ღებულობს ალავერდის სპილენძის მადაროებიდან. თბილისის სპილენძის სატკეცი ქარხანას თვიურათ ესაჭიროება 3 ვაგონი ნედლი სპილენძი, მაგრამ მას ეძლევა 2 ვაგონი, რაც ხელს უშლის ქარხნის ნაყოფიერი მუშაობის კიდევ უფრო გაფართოვებას.

ახალგაზრდა.

კარგი გეგმის

უხეირო შემსრულებელი

თბილისის ლურსმნის ქარხანას მშვენიერი საწარმოო გეგმა აქვს შედგენილი. ეს გეგმა ადმინისტრაციის უჯრაში იწყვია და საქმე კი უთავბოლოდ და უგეგმოდ მიმდინარეობს.

მართალია, ხსენებული ქარხნის საწარმოო გეგმის თავის დროზე შესრულებას იმ გარემოებამაც დააბრკოლა, რომ რ.ს.ფ.ს.რ. ლითონ-ტრესტმა არ შეასრულა ნედლი მასალის დარგში ქარხნის დაკვეთები, მაგრამ თვით ქარხნის შიგნით არსებული უთავბოლოობაც საგრძნობლად აბრკოლებდა საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულებას.

ლურსმნის ქარხანაში არეულია ანგარიშწარმოება და მთელი ბუღალტერია. ქარხნის ბუღალტერიას დღემდე არავითარი ცნობები არ მოეპოვება თვითღირებულების შემცირების და გამოუშვებლის დარგში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ის გარემოება, რომ ლურსმნის ქარხანაში დანაკარგებთან ბრძოლა დღემდე არ დაუწყიათ—აშკარავებს დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას საწ.-ფინანსიურ გეგმის შესრულების დარგში.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება ცალკე მუშებსა და ცეხებს შორის მხოლოდ ახლა იდება. აშკარაა, რომ ლურსმნის ქარხანა ასეთი „მუშაობით" შორს ვერ წავა.

ლურსმნის ქარხნის წარმოება ჩამორჩა ხუთწლიანი გეგმის ტემპს.—ლურსმნის ქარხანა უნდა იქცეს მოწინავე დამკვრელ ქარხანად.

ნ. ი—ვი.

დამკვრელი ბრიგადების კონფერენცია

თბილისის საქონლის სადგურის დამკვრელი ბრიგადების კონფერენციაზე პროფკავშირების მორიგ ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. მახაძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საფინანსო-საწარმოო გეგმის მთლიანათ და დროზე შესრულებაში დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობა აწევთ მუშათა დამკვრელ ბრიგადებს, რომლებმაც თავისი სამაგალითო შრომის დისციპლინით და მუშაობით უნდა წაახალისონ მუშათა დანარჩენი მასები, ასწიონ შრომის ნაყოფიერება და ხელი შეუწყონ დასახულ საწარმოო გეგმის მთლიანათ შესრულებას. დამკვრელი ბრიგადები უნდა გადაიქცნენ წარმოების მოწინავე რაზმებათ და ხელი უნდა შეუწყონ სოციალისტური მშენებლობის ტემპის გაძლიერებას.

სოციალისტური შეჯიბრების ერთი წლის შედეგების შემოწმების დროს ის ცალკე მუშები და ბრიგადები, რომლებმაც თავისი დამკვრელობა გაამართლეს, დაჯილდოებული იქნებიან, ხოლო იმ მუშებს, რომლებიც დამკვრელებათ მხოლოთ ქაღალდზე ირიცხებოდენ,—უნდა ჩამოერთვათ დამკვრელის სახელი. პროფკავშირების მორიგ ამოცანას შეადგენს საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების ხელის შეწყობა, მაგრამ ამასთანავე მას ევალება მტკიცეთ დაიცვას შრომის ნორმალური წესები და პირობები.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ საწარმოებში ადგილი აქვს დამახინჯებებს და გადახრებს. არის შემთხვევები, როცა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების მიზნით გამოაქვთ დადგენილებები ზედმეტ საათებში მუშაობის შესახებ და ამასთანავე ადგენენ, რომ ეს ზედმეტი მუშაობა წარმოებული უნდა იქნეს უფასოთ. არის აგრეთვე შემთხვევა, როცა სამუშაოდან ხსნიან იმ დამკვრელ მუშას, რომელმაც საქმით ვერ გაამართლა თავისი დამკვრელობა და სხვ. ასეთი მოვლენები, ეწინააღმდეგებიან შრომის კანონებს. მათ წინააღმდეგ საჭიროა ვაწარმოოთ ბრძოლა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები, ცალკე მუშათა კოლექტივებს სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევენ. თბილისის საქონლის სადგურზე ხშირად აქვს ადგილი ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის გაჭიანურებას, რისთვისაც ადმინისტრაცია სათანადო ზომებს არ იღებს მუშათა შორის მოისუსტებს შრომის დისციპლინა, გახშირდა სამუშაოებიდან გაპარვა და სხვა.

დამსწრე.

შეუნელებელი ყურადღება თავდაცვის საკითხებს

გავაჯანსაღოთ ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობა

კანდიდატების შერჩევა სამხედრო სკოლებისათვის სუსტად მიმდინარეობს

თავდაცვის საკითხები—ყურადღების ცენტრში

ომის საფრთხე თავიდან არ არის აცილებული. საერთაშორისო იმპერიალიზმი კვლავ განაგრძობს იარაღის ჟღარუნს, გაფაციცებით ემზადება საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად.

ყოველდღიურად გაზეთებს მოაქვთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იარაღდებიან იმპერიალისტური სახელმწიფოები, საბჭოთა კავშირი მტკიცედ სდგას მშვიდობიანობის სადარაჯოზე, მაგრამ ამასთანავე ენერგიულად ემზადება თავდაცვისათვის.

საერთაშორისო მდგომარეობა გვავალებს ჩვენ გავაათკეცოთ ჩვენი სამზადისი თავდაცვისათვის, განვამტკიცოთ წითელი არმია და შევაიარაღოთ ის ისეთი ცოდნით, რომელიც საჭიროა ბრძოლისა და თავდაცვის დროს.

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება, რომელიც მოწოდებულია აღზარდოს მშრომელი მოსახლეობა თავდაცვის ხერხების ცოდნით, დაუღალავათ მუშაობს ამ მიმართულებით. მაგრამ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მდგომარეობა, რომ ხსენებულ საზოგადოების მუშაობაში შეიმჩნევა მრავალი ნაკლი, რომელიც უმთავრესად ავიაქიმის ქვედა ორგანიზაციების [illegible] ახასიათებს.

ავიაქიმის ქვედა ორგანიზაციები მოკლებულნი არიან სათანადო ხელმძღვანელობას. არის მრავალი მაგალითი იმის, რომ პარტიული, პროფესიონალური, კომკავშირის და საბჭოთა ორგანოები არ აქცევენ არავითარ ყურადღებას ავიაქიმის უჯრედების მუშაობას, არ უწევენ მათ ხელმძღვანელობას ავიაქიმის მეტად საჭირბოროტო საკითხებს ყოველთვის სდებენ ესა თუ ის ორგანიზაციები „თქვენ დაიცადეთ, რა გეჩქარებათ"-ო.

ასეთი დამოკიდებულება გულს უტეხს ავიაქიმის მუშაობას, რაც თავისი მხრივ, უარყოფით მოვლენას ახდენს ავიაქიმის მთელ საქმიანობაზე.

ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული კომკავშირის გასამხედროების საქმე. კომკავშირი არ არის ჩაბმული ავიაქიმის სამხედრო მუშაობაში. ამის მთავარი მიზეზია ის გარემოება, რომ კომკავშირის მთელი ყურადღება მიპყრობილია სხვადასხვა სახის დაკვრითი კამპანიების ჩატარებაზე და მხედველობიდან გაშვებულია უდიდესი საქმე—მზადება თავდაცვისათვის. საჭიროა, რათა კომკავშირმა, სხვა კამპანიებთან ერთად, არ დაივიწყოს სამხედრო მუშაობა. ავიაქიმმაც, თავისი მხრივ, უნდა გამონახოს ისეთი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომკავშირის გასამხედროების საქმეს.

უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს თადარიგის მეთაურების ჩაბმას ავიაქიმის მუშაობაში. ამ მხრივ მდგომარეობა დიდ ქალაქებში (თბილისი, ქუთაისი, ბათომი, სოხუმი) დამაკმაყოფილებელია. თადარიგის მეთაურები აქტიურად არიან ჩაბმულნი ავიაქიმის მუშაობაში. მაგრამ, ამასთანავე საჭიროა, რომ ავიაქიმის მუშაობაში ჩაბმული იქნეს თადარიგის მეთაურთა მთელი შემადგენლობა. თადარიგის არც ერთი მეთაური ავიაქიმის რიგების გარეშე—აი სადღეისო ლოზუნგი.

მომავალი საზაფხულო პერიოდი სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული ავიაქიმის სამხედრო მუშაობის გასაძლიერებლად.

თავდაცვის საკითხები ფართედ უნდა იქნენ გადატანილი მშრომელთა ფართო მასებში. ავიაქიმის ბანაკების ორგანიზაციით, ლაშქრობებით და სამხედრო პრაქტიკული მუშაობის გაშლით უნდა შევძლოთ ავიაქიმის საქმიანობის დაყენება სათანადო სიმაღლეზე.

ავიაქიმელი.

გადაუდებელი ამოცანა

მომავალ ომში რადიოს უდიდესი მნიშვნელობა ექნება სხვადასხვა პუნქტებთან კავშირის დასამყარებლად. ამიტომაც არის, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობიან რადიოს გასამხედროებას და ეწევიან მუშაობას ამ მიმართულებით.

რა მდგომარეობაშია ჩვენში რადიოს გასამხედროება? უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მდგომარეობა ფრიად უნუგეშოა.

ავალაპარაკოთ ფაქტები: რადიო-მოყვარულთა საზოგადოებას დღევანდლამდე რადიო-მუშაობაში არა აქვს შეტანილი სამხედრო ელემენტები, არ არის დაწყებული მორზეს ანბანის შესწავლა, საზოგადოებას არა აქვს ჩამოყალიბებული წრეები და კურსები სამხედრო რადიო-სპეციალისტთა მოსამზადებლად.

მხედველობიდან გაშვებულია მუშაობა ქალთა შორის, მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს ქალები შეიძლება სარგებლიანად იქნან გამოყენებული კავშირის სამსახურისათვის.

ის ფაქტი, რომ რადიო-მეგობართა საზოგადოებას არა ჰყავს აღრიცხვაზე აყვანილი ჯარში გასაწვევი ჰასაკის რადიო-მოყვარულნი და მათთან არ სწარმოებს არავითარი მეცადინეობა მოწმობს იმას, რომ რადიო-მეგობართა საზოგადოება არ არის დაინტერესებული გასამხედროების საქმით.

ასეთია მდგომარეობა როგორც თბილისში, ისე პროვინციაშიც.

რადიო-მეგობართა საზოგადოების გასამხედროება გადაუდებელი ამოცანაა. მიმდინარე წლის შემოდგომაზე რადიო-მეგობართა საზოგადოებამ უნდა მისცეს წითელ ჯარს მრავალი გაწრთვნილი და კარგად მომზადებული რადიო-სპეციალისტი. ამისათვის საჭიროა ჯარში გასაწვევთა აღრიცხვა და მათთან მეცადინეობის წარმოება განსაკუთრებული კურსების საშუალებით. რადიოს გასამხედროების მიზნით აუცილებელია სამოქალაქო რადიო-უჯრედების დაკავშირება სამხედრო უჯრედებთან—რადიო მეგობართა საზოგადოებამ უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს მანევრებზე, ლაშქრობებში, ავიაქიმის მეცადინეობაში, რაც შესძენს მათ დიდ გამოცდილებას და მიაჩვევს მუშაობას სალაშქრო პირობებში.

ნ. ირმ.

დაუდევრობას ბოლო უნდა მოეღოს

კანდიდატების შერჩევა სამხედრო სკოლებისათვის სუსტად მიმდინარეობს.—ადგილებზე ამის ირგვლივ არ სწარმოებს არავითარი მუშაობა.—პარტიისა და ხელისუფლების მითითებები არ სრულდება.—პროფკავშირები გულგრილად ეკიდებიან კანდიდატების შერჩევას.

მიმდინარე წლის 22 მარტს საქართველოს ცაკთან არსებულმა სამხედრო სკოლებისათვის კანდიდატების შემრჩევ ცენტრალურმა კომისიამ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარი კანდიდატების შერჩევის შესახებ სამხ. სკოლებისათვის. ცირკულიარი წინადადებას აძლევდა ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ დაეწყოთ მუშაობა კანდიდატების შერჩევის ირგვლივ. ცირკულიარში განსაკუთრებით არის აღნიშნული, რომ სამხედრო სკოლებში გასაგზავნ კანდიდატებს შორის უნდა იყვეს 60 პროც. მუშა-ახალგაზრდობა.

რა გააკეთეს ადგილებზე არსებულმა შემრჩევმა კომისიებმა კანდიდატების შესარჩევად?

ყველა ოლქები და მაზრები დაგვიანებით შეუდგნენ მუშაობას. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და კომისიები დაკმაყოფილდნენ მარტო ცირკულიარებით, დღევანდლამდე არც ერთ მაზრაში და ოლქში არ დაწყებულა პრაქტიკული მუშაობა კანდიდატების შესარჩევად. არც ერთ მაზრიდან და ოლქიდან არ არის ცნობა იმის შესახებ, თუ რა კეთდება იქ კანდიდატების შესარჩევად. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები იჩენენ დაუშვებელ გულგრილობასა და უყურადღებობას ამ საქმისადმი, რაც აბრკოლებს სამხედრო სკოლებისათვის საჭირო კადრის მიწოდებას.

არა ნაკლებ უყურადღებობას იჩენენ პროფესიონალური ორგანიზაციები. არც ერთ წარმოება-დაწესებულებაში არ სწარმოებს სააგიტაციო და ახსნა-განმარტებითი მუშაობა სამხედრო სკოლის შევსების ირგვლივ. ამის შედეგი კი ის არის, რომ ზოგიერთი ქარხნის ადმინისტრაცია არ ანთავისუფლებს სკოლებში გასაგზავნ ახალგაზრდებს.

პროფკავშირების და ადგილობრივი ხელისუფლების გულგრილობისა და დაუდევრობის გამო არ გაიხსნა სამხედრო სკოლებში გასაგზავნ ახალგაზრდების მოსამზადებელი კურსები. კურსების გახსნა განზრახული იყო 15 აპრილს. ამ დღისათვის არც თბილისმა და არც სხვა ადგილებმა არ გამოგზავნეს კანდიდატები. ცენტრალური კომისია იძულებული გახდა კურსების გახსნა გადაედო 2 მაისისათვის.

გარდა ამისა პროფსაბჭოს დღევანდლამდე არ გაუღია საჭირო თანხები კურსების მოსაწყობათ. საქართველოს განსახკომი კი უარს ამბობს თანხების გაცემაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ადგილები არ ასრულებენ პარტიის დირექტივას სამხედრო სკოლებში მუშების გაგზავნის შესახებ. იმ კანდიდატთა შორის, რომლებიც მოდიან მაზრებიდან, მუშების პროცენტი ძალიან მცირეა. თვით თბილისშიაც ამ მხრივ არ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, რასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

სამხედრო სკოლებისათვის საჭირო კადრის მომზადების ასეთი მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული. ადგილობრივმა პარტიულმა, პროფესიონალურმა, საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ, რომ სამხედრო სკოლების უზრუნველყოფა მუშური, სოციალურად მისაღებ ელემენტებით, განამტკიცებს ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერებას. საჭიროა, ადგილებზე გაცხოველებულ იქნეს მუშაობა კანდიდატების შერჩევის ირგვლივ. ხელისუფლების იმ ორგანოებს კი, რომლებიც გამოიჩენენ დაუდევრობას და გულგრილად მოეკიდებიან ამ უდიდეს საქმეს, უნდა მოეთხოვოს სათანადო პასუხი.

წითელარმიელები ლენინის კუთხეში

წერილები ადგილებიდან

ს. მარტვილი (სენაკის მაზრა)

მარტვილის რაიონში ავიაქიმის მუშაობა მოისუსტებს. შეუძლებელია პრაქტიკული მუშაობის წარმოება, რადგან არც ერთი სოფელში არ მოიპოვება არც სამხედრო კუთხე, არც იარაღი და სხვა საჭირო ხელსაწყოები. მუშაობას აძნელებს ის გარემოება, რომ ავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციებს არა აქვთ არავითარი სამხედრო ლიტერატურა.

ავიაქიმის უჯრედებში სამხედრო მუშაობა სტიქიურად მიმდინარეობს, არ არის არავითარი გეგმები, ან სახელმძღვანელოები. პარტიის რაიონული კომიტეტი შეძლებისდაგვარად ეხმარება ავიაქიმს, მაგრამ სოფლის უჯრედები არ უწევენ მას არავითარ დახმარებას და ხელმძღვანელობას.

ი. ბ.

ზუგდიდი

ზუგდიდის პედაგოგიურ ტექნიკუმთან კომკავშირის ორგანიზაციის თაოსნობით ჩამოყალიბებულია ავიაქიმის უჯრედი. უჯრედის წევრებათ ირიცხებიან ტექნიკუმის ყველა მოწაფეები და მასწავლებლები.

უჯრედის მუშაობა ნაყოფიერია. ტარდება საუბრები და მოხსენებები თავდაცვის საკითხებზე; ჩამოყალიბებულია სამხედრო საქმის შემსწავლი და ქალთა სანიტარული წრე, სადაც მოწაფე ქალები ეცნობიან დაჭრილთა და მხამიანი გაზებით მოწამლულთა მოვლას.

საჭიროა, რომ ტექნიკუმის უჯრედმა მიაქციოს ყურადღება პრაქტიკულ საქმიანობასაც, როგორიცაა არის ტაქტიკური მეცადინეობის ჩატარება, მინდვრათ გასვლა, სროლა და სხვ.

ი. მირცხულავა

—:—

„ჩვენი პასუხი რომის პაპს"

საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა ცირკულიარული წერილით აცნობა თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ „თავდაცვის ფონდი" დახურულია. ხსენებულ ფონდის ყველა თანხები გადადის ფონდში „ჩვენი პასუხი რომის პაპს". ამ ფონდში თავს იყრიან ყველა თანხები, შეგროვილი როგორც ავიაქიმის, ისე პარტ-კომკავშირის, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების მიერ.

თანხები, შეგროვილი, ფონდისათვის „ჩვენი პასუხი რომის პაპს" ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ყოველ 10 დღეში იგზავნება თბილისში სახ. ბანკის მისამართით (მიმდინარე ანგარიში № 1944).

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისისა და მისი რაიონების გარნიზონს

ქ. თბილისი № 14 26 აპრილი 1930 წელი

§ 1.

საერთაშორისო პროლეტარული დღესასწაულის აღსანიშნავად და 1929 წელს გაწვეულ ახალგაზრდა წითელარმიელთა მიერ წითელი ფიცის მისაღებად, ამა წლის 1-ლ მაისს რუსთაველის პროსპექტზე ვნიშნავ გარნიზონის ჯარის აღლუმს.

§ 2.

აღლუმში მონაწილეობას მიიღებენ გარნიზონის ყველა ნაწილები სრულის შემადგენლობით, მოდარაჯე და მორიგე ნაწილების გამოკლებით.

§ 3.

აღლუმს მიიღებს ამიერ - კავკასიის მთავრობა და კავკასიის წითელდროშოვანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო.

§ 4.

აღლუმს სარდლობას გაუწევს № ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური ამხ. ბიორბაძე.

§ 5.

გარნიზონის ჯარები აღლუმის ადგილას დაირაზმონ დილის 10 საათსა და 30 წუთზე ბრძოლის დროშებითა და ორკესტრებით და ქალაქის კომენდანტის მითითებით.

ნაწილების მეთაურებმა თან იქონიონ ფიცის ტექსტი.

ამიერ - კავკასიის ქვეითი სკოლის უფროსმა წინასწარ ჩაიბაროს საარმიო დროშები და გამოცხადდეს ამ დროშებით აღლუმის ადგილას.

ტანისამოსის ფორმა — საზაფხულო სადარაჯო ფორმა უფარაჯოთ.

§ 6.

ჯარის ყველა ნაწილების მეთაურებმა 8 საათისათვის გაგზავნონ კომენდანტის სამმართველოში ორ-ორი მეხაზური და შტაბების უფროსები (ადიუტანტები) სამწყობრო ბარათებით.

§ 7.

№ ცალკე საავიაციო რაზმმა აღლუმის დროს ფიცი ჩაატაროს აეროდრომზე იმ ვარაუდით, რომ ფიცის მიღების დროს ქალაქის თავზე სწარმოებდეს ფრენა.

§ 8.

ქალაქის მილიციის უფროსმა წინასწარვე შესწყვიტოს ქალაქში ეტლების და ტრამვაის მოძრაობა, მორიგე მანქანების გამოკლებით.

§ 9.

აღლუმის დროს საექიმო დახმარების მისაწოდებლად, გარნიზონის ექიმის განკარგულებით, № მესანგრეთა ცალკე ათასეულის ყაზარმებში მოეწყოს განსაკუთრებული სასანიტარო პუნქტი ერთი მორიგე სასანიტარო ავტომობილით.

გარნიზონის უფროსი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი ავქსენტიევსკი.

ქალაქ თბილისის და მისი რაიონების კომენდანტი ბელოვი.

საქართველოს მრეწველობამ ვერ შეასრულა პარტიის დავალება

თვითღირებულების შემცირების შესახებ

ტრესტებმა და წარმოებებმა დაამახინჯეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თვითღირებულების შემცირების შესახებ და თვითნებურად დააწესეს საკონტროლო ციფრები.—ამით გამოწვეული ჩამორჩენა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ შეამჩნია.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ გაშლილა.

საქართველოს მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში თვითღირებულების შემცირების შესახებ წლის პირველი ნახევრისათვის არსებული წინასწარი ცნობები ფრიად დამაფიქრებელია.

სალითონო ტრესტმა 13,5 პროცენტის ნაცვლად თვითღირებულება მხოლოდ 4,6 პროცენტით შეამცირა. სალითონო ტრესტის ცალკე საწარმოებისაგან კალინინის სახელობის ქარხანამ თვითღირებულება შეამცირა 13.8 პროცენტით, 26 კომუნარის სახელობის ქარხანამ—6,9 პროცენტით და სპილენძის სატკეცმა ქარხანამ—1,5 პროცენტით.

აბრეშუმის სახვევმა ფაბრიკებმა სულ თვითღირებულება შეამცირეს 0,2 პროცენტით ნაცვლად ნავარაუდევი 4,1 პროცენტისა. ამ ფაბრიკებიდან ქუთაისის აბრეშუმის სახვევმა ფაბრიკამ თვითღირებულება შეამცირა 1 პროცენტით, ხონის ფაბრიკამ შემცირების ნაცვლად, თვითღირებულება გაადიდა 2,1 პროცენტით, ოზურგეთის ფაბრიკამ შეამცირა 1,9 პროცენტით, სამტრედიის—3,2 პროცენტით, ხოლო თელავისამ თვითღირებულება გაადიდა 6,6 პროცენტით.

ტყავეულობის ტრესტმა თვითღირებულება 10 პროცენტის ნაცვლად 8,7 პროცენტით შეამცირა. ტყავეულის ცალკე საწარმოებიდან ფეხსაცმელების ფაბრიკამ თვითღირებულება შეამცირა 13,8 პროცენტით, ტყავის ქარხანამ № 1—6,4 პროცენტით, ტყავის ქარხანამ № 2—6 პროცენტით და ქეჩის ქარხანამ—1,7 პროცენტით.

დავალება შეასრულა და გადააჭარბა კიდეც მხოლოდ თამბაქოს ტრესტმა. თამბაქოს პირველმა და მეორე ქარხანამ თვითღირებულება შეამცირა 16,8 პროცენტით. დავალება კი ითვალისწინებდა მხოლოდ 11 პროცენტს.

რამ გამოიწვია ზემოხსენებული ჩამორჩენა, რომელსაც მხოლოდ ღრმა ხარვეზი შეგვიძლია ვუწოდოთ?

ეს ჩამორჩენა უმთავრესად მით აიხსნება, რომ წლის პირველ ნახევარში თითქმის სრულებით არ სწარმოებდა ბრძოლა იმისათვის, რომ საქართველოს მრეწველობას შეესრულებინა სამრეწველო-საფინანსო გეგმების ღონისძიების მაჩვენებლები.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მრეწველობას მისცა დავალება შეემცირებინა თვითღირებულება 11 პროცენტით, ხოლო საკავშირო ს.მ.უ. საბჭომ დავალება გაადიდა ნახევარი პროცენტით. ამიერ-კავკასიის და საქართველოს სათანადო ორგანოებშიც პირველ ხანებში ნავარაუდევი იყო ძირითადი დავალების გადიდება, მაგრამ საბოლოოდ მიღებულ იქნა შემცირება იმავე 11 პროცენტით.

სამრეწველო-საფინანსო გეგმების შედგენის დროს საქ. ტრესტებმა და საწარმოებმა დაამახინჯეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივები და თვითღირებულების შემცირება განსაზღვრეს ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო. საშუალოდ საქართველოს მრეწველობაში, ტრესტებისა და საწარმოების „ინიციატივით" მიღებულ იქნა თვითღირებულების შემცირების ვარაუდი არა 11 პროცენტით, არამედ მხოლოდ 8,9 პროცენტით. ამრიგად, წლის დასაწყისიდანვე, მეურნეობის ხელმძღვანელებმა დაიწყეს ბრძოლა თვითღირებულების მაჩვენებელთა შემცირებისათვის.

საქართველოს ლითონის მრეწველობამ მისთვის დაწესებული 13 პროცენტის ნაცვლად მიიღო 9 პროცენტი. ანალოგიური მდგომარეობა არსებობს სამთა-მადნო, სატყეო, ტყავეულის, საფეიქრო და სხვა მრეწველობაში.

მხოლოდ მარტში, ანუ სამეურნეო წლის დასაწყისიდან 5 თვის გასვლის შემდეგ, საქართველოს ს.მ.უ. საბჭომ გამოარკვია, რომ თვითღირებულების შემცირების დირექტივა ტრესტებმა საკუთარი „დირექტივით" შესცვალეს. ტრესტებს წინადადება ჰქონდათ მიცემული დაეცვათ საკონტროლო დავალებანი, მაგრამ, როგორც ეტყობა, ტრესტებს ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ.

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ამ გაკვეთილიდან?

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ღირსების მაჩვენებელთათვის ბრძოლის ხაზით მთელი მუშაობა ჯერ კიდევ წინ არის. რიცხვის მაჩვენებელთათვის ბრძოლამ უკანა რიგში დააყენა ღირსების მაჩვენებელთა გაუმჯობესებისაკენ მიმართული მუშაობა, რაც დაუშვებელი მოვლენაა და, რაც, პირველ ყოვლისა, იმას ამტკიცებს, რომ მეურნეობის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ მათზე დაკისრებული ამოცანები. მაგრამ ჩამორჩენის ბრალი მარტო მეურნეობის ხელმძღვანელებს არ ედებათ. პროფორგანიზაციები სათანადოთ არ არიან გადაქმნილი. მათ ხშირად ავიწყდებათ, რომ ისინი სამეურნეო ორგანოებზე ნაკლებ არ არიან პასუხისმგებელნი სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის. ხარვეზი, რათაც არ უნდა დაჯდეს, უნდა ამოივსოს ახლა, როდესაც სამრეწველო-საფინანსო გეგმები განაწილებულია, საჭიროა არა თუ თვითეულმა ქარხანამ, არამედ თვითეულმა ცეხმა, ბრიგადამ და ცალკე მუშამ იცოდეს, რა ვალი დაედება მას სახელმწიფოს წინაშე თვითღირებულების დარგში მიცემული დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში. არ კმარა მარტო დიდი რაოდენობის პროდუქციის მიცემა, საჭიროა კარგი და იაფი პროდუქცია.

ი. ი.

ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

(კვირიდან—კვირამდე)

პირველი მაისის წინ.—საზღვაო კონფერენციის შედეგები.—მაკდონალდის მთავრობა ინგლისის იმპერიალიზმის სადარაჯოზე.—კუტეპოვის ისტორიის სასკანდალო დასასრული. —ზალესკის განცხადების გამო.

პირველი მაისის დღის ჩატარება მსოფლიო პროლეტარიატს წელს განსაკუთრებულ პირობებში უხდება. ჩვენ მოწმენი ვართ კაპიტალისტური სტაბილიზაციის შემდგომი დაშლისა და ეკონომიურ კრიზისის გაღრმავებისა ევროპასა და ამერიკაში. 20 მილიონი უმუშევარი ქუჩაშია გაყრილი. მრავალი მილიონი სანახევროთ მუშაობს. კაპიტალისტები თავიანთ მდგომარეობის გამოსასწორებლად უკიდურესობამდე აძლიერებენ მშრომელ მასების ექსპლოატაციას. კაპიტალისტურ რაციონალიზაციის საფუძველზე მუშიდან უკანასკნელ სასიცოცხლო წვენის ამოქაჩვა, სამუშაო დღის გადიდება და შრომის ხელფასის შემცირება, უმუშევართათვის ისედაც უმნიშვნელო სოციალურ დახმარების შეკვეცა და სრულებითაც მოსპობა, მუშების მატერიალურ მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად ცხოვრების გაძვირება, კაპიტალის დაბეგვრის შემცირების გვერდით გადასახადების სიმძიმის მშრომელ მოსახლეობის ზურგზე წამოკიდება, — აი რას ვხედავთ ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

ამ ეკონომიურ შეტევას თან სდევს პოლიტიკური რეაქციის აზვირთება, „დემოკრატიული" წყობილება არქივს ბარდება. ძალაში შედიან მმართველობის ფაშისტური მეთოდები.

ყოველივე ამაში გაბატონებულ კლასებს აქტიურ დახმარებას უწევენ სოციალ-ფაშისტები

ამავე დროს უფრო რთულდება საერთაშორისო ურთიერთობა. ეკონომიური კრიზისი თვითეულ ქვეყნის ბურჟუაზიას აიძულებს გააძლიეროს ბრძოლა ბაზრების დასაპყრობად. მათ შორის ომი მწიფდება. საზღვაო კონფერენცია სამარცხვინოთ დასრულდა. სამხედრო ბიუჯეტები ნთქავენ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა უდიდეს თანხებს, მაშინ, როცა მასსა სიმშილით იხოცება.

ამასთან, უკანასკნელ პერიოდს განსაკუთრებით ახასიათებს გაფართოებულ ანტი-საბჭოთა კამპანიის გაშლა. ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის გამარჯვება სამარეს უთხრის კაპიტალისტურ რეჟიმს. მსოფლიო იმპერიალიზმი ყოველ ღონეს ხმარობს განთავისუფლებული შრომის რესპუბლიკის დასამხობად, რათა, ერთი მხრივ, კაპიტალისტურ ქვეყნებში ჩაკლას რევოლიუციონური მოძრაობა, რომლის უძლიერეს ფაქტორს საბჭოთა კავშირის არსებობა წარმოადგენს, მეორეს მხრით — ჩვენს ხარჯზე შესძლოს კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისის შენელება.

ასეთია ის პირობები, რომლებშიაც საერთაშორისო პროლეტარიატი პირველ მაისს ხვდება. თავის თავად ცხადია, რომ მას გულზე ხელები როდი აქვს დაკრეფილი. კაპიტალის იერიშების გაძლიერებასთან ერთად იზრდება მუშათა მასების წინააღმდეგობის ძალა. ჩვენ ყველგან ვხედავთ კლასობრივი ბრძოლის გაალმასებას და პროლეტარულ რიგების რევოლიუციონურ მობილიზაციის დაჩქარებას. მუშათა კლასის უამრავი გაფიცვები, რითაც აღინიშნება უკანასკნელი წელიწადი, ომის და უმუშევრობის საწინააღმდეგო [illegible] დემონსტრაციები, მოძრაობის ზრდა საბჭოთა კავშირის დასაცავად და სხვა ამას მჭერმეტყველურად ადასტურებენ.

ამავე დროს ძლიერდება განმანთავისუფლებელი კლასიური ბრძოლა კოლონიებში (ინდოეთი, ჩინეთი და სხ.).

პირველი მაისის დღე ჩატარდება უაღრესად გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის ნიშან ქვეშ. ამ დღისათვის ორივე მხარე — როგორც პროლეტარიატი, ისე ბურჟუაზია — დიდი ხანია გამალებით ემზადება. ორივე პოლიუსზე ხდება ძალების მაქსიმალური დარაზმვა. კომპარტიის ხელმძღვანელობით ყველგან სწარმოებს მუშათა კლასის რიგების წინასწარი დათვალიერება. იმართება კრებები, მასებში მუშავდება საპირველმაისო ლოზუნგები. პროლეტარიატის საპირველ-მაისო გამოსვლები მკაფიო პოლიტიკურ ხასიათისაა, პირველი მაისი ჩატარდება, როგორც მასიური პოლიტიკური გაფიცვის დღე. სადღეისო მოთხოვნები მჭიდროთ უკავშირდება კაპიტალის დასამხობად, ომის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად რევოლიუციონურ ბრძოლის ლოზუნგებს. რათქმა უნდა, ბურჟუაზია არაფერს ზოგავს პირველ მაისის გაფიცვების და დემონსტრაციების ჩასაშლელად. ბევრგან უკვე აკრძალეს არა მარტო პირველ მაისს, არამედ მის წინა დღეებში ყოველგვარი კრების და მსვლელობის მოწყობა. ქალაქებში აძლიერებენ პოლიციელების რაზმებს. პოლიციის მესვეურები თათბირს თათბირზე მართავენ იმის შესახებ, თუ როგორ ჩაკლან მასების გამოსვლები. მაისობის მოლოდინში მუშათა მოძრაობის აქტიურ ძალებს ციხეებში ყრიან. ამავე დროს სოციალ-ფაშისტები „თავის როლს" პირნათლად ასრულებენ. ზოგან ისინი პოლიციასთან ერთად ტყვიით უმასპინძლდებიან მუშებს, სხვაგან ცდილობენ პირველ მაისის დღეს უწყინარი ხასიათი მისცენ.

მაგრამ საერთაშორისო პროლეტარიატს ვერ შეაჩერებს, ვერც ფაშისტური ტერორი, ვერც სოციალ-გამცემლების მოწოდება „წესრიგის" დაცვისაკენ. პირველი მაისი გახდება მსოფლიო მუშათა კლასის ძალების მრისხანე დემონსტრაციის დღედ. ეს იქნება ერთ-ერთი გამოსავალი წერტილი რევოლიუციონური ბრძოლის შემდგომი გრანდიოზული გაშლისათვის, კაპიტალის ციხე-სიმაგრეზე გადამწყვეტი იერიშის მისატანად და სოციალისტური მშენებლობის ქვეყნებისათვის ზურგის გასამაგრებლად.

⁂

სამ თვეზე მეტი შეხლა-შემოხლისა და ვაჭრობის შემდეგ ლონდონის კონფერენციის მონაწილეებმა ხელი მოაწერეს საზღვაო ხელშეკრულებას. ცრუ-პაციფისტები უკვე გაიძახიან კონფერენციის „მიღწევებზე" განიარაღებისა და მშვიდობიანობის საქმეში.

მაგრამ თვით ამ ხელშეკრულების ძირითადი მომენტების განხილვა ნათელჰყოფს ლონდონელ მოლაყბეთა სრულ უმწეობას ამ მხრივ.

ინგლისი, ამერიკა, იაპონია, საფრანგეთი და იტალია თანხმდებიან არ ისარგებლონ ახალი დიდი სამხედრო გემების აგების უფლებით 1936 წლამდე (ახალი კონფერენციის მოწვევამდე). მაშასადამე, აქ ლაპარაკიც არ არის უკვე მომქმედ და მშენებლობაში მყოფ საზღვაო ძალების შემცირებაზე. რა თქმა უნდა, მხედველობაში არ არის მისაღები კონფერენციის გადაწყვეტილება 9 სამხედრო გემის (ამერიკის 3, ინგლისის 5 და იაპონიის 1) მოსპობის შესახებ: ეს ხომ ძველის ძველი ერთეულებია, რომელნიც, მათი უვარგისობის გამო, ისედაც უნდა გაეყვანათ ფლოტის შემადგენლობიდან.

ხელშეკრულება აწესებს საზღვაო ძალების შეფარდებას ინგლისს, ამერიკასა და იაპონიას შორის. ეს შეფარდება გულისხმობს საზღვაო მშენებლობის უაღრესად გაძლიერებას. ასე, მაგ., ინგლისის ფლოტს ემატება 8 და 6 დიუმ. ზარბაზ. შეიარაღებული გემები 50.000 ტონაჟით, ამერიკისას — 200.000 ტონაჟით(რომ ინგლისს გაუთანასწორდეს), იაპონიის წინაშეც. ამ მიმართულებით ფართე შესაძლებლობა იშლება. საფრანგეთსა და იტალიას, რომლებზედაც ხელშეკრულების ეს მუხლი არ ვრცელდება, ნება აქვთ 70 ათასი ტონის ფარგლებში, ე. წ. ვაშინგტონის ტიპის კრეისერები აგონ.

ამასთან ხაზგასასმელია, რომ მთელი ეს შეთანხმება მხოლოდ პირობითია. თვითეული მის მონაწილეთაგანი უფლებას იტოვებს შესცვალოს ტონაჟის განსაზღვრა, თუ ამას „ნაციონალური უშიშროების მოსაზრება" უკარნახებს. „ნაციონალური უშიშროების უზრუნველყოფის საჭიროება" კი ისეთი გაურკვეველი ცნებაა იმპერიალისტების თვალში, რომ მისი გამოყენება ყველას შეუძლია თავის ფლოტის უსაზღვრო გაძლიერებისათვის. რა თქმა უნდა, ისინი ამით კიდეც ისარგებლებენ მტაცებლური მიზნების მისაღწევად. „ნაციონალური უშიშროების დაცვის" მომიზეზებით იმპერიალისტები, აშკარაა, ქაღალდის უბრალო ნაგლეჯად აქცევენ იმ შეთანხმებასაც, რომ 6 წლით „შეისვენებენ" და არ ისარგებლებენ დიდი სამხედრო გემების აშენების უფლებით.

კონფერენციის სრული გაკოტრება ნათლად გამოაშკარავდა, სხვათა შორის, წყალ-ქვეშა ნავების საკითხშიც. ინგლისი მოითხოვდა მათ სავსებით მოსპობას, რა თქმა უნდა, ლეიბორისტების მთავრობა ამ შემთხვევაში გამოდიოდა არა მშვიდობიანობის განმტკიცების მოსაზრებიდან, არამედ მის ამოცანას შეადგენდა ინგლისის ერთ ერთი მთავარ მოქიშპის — საფრანგეთის დასუსტება: ცნობილია, რომ უკანასკნელს მძლავრი წყალ-ქვეშა ფლოტი გააჩნია, რითაც იგი მუდამ ემუქრება ინგლისის საზღვაო გზებს. როგორ გადაწყდა ეს საკითხი? წყალ-ქვეშა გემების მოსპობის მაგივრად ნება დართეს მათი ტონაჟის გადიდებაზე 2 ათას ტონამდე. უნდა გავიხსენოთ, რომ 1927 წ. ინგლისსა, ამერიკასა და იაპონიას შორის დადებულ შეთანხმების მიხედვით, ამ ნავების ტონაჟი არ უნდა აღამატებოდა 1.800 ტონას. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ წყალ-ქვეშა ფლოტის მშენებლობის კიდევ უფრო გაძლიერების დაკანონებას. ამის მიჩქმალვა, ცხადია, შეუძლებელია წყალ-ქვეშა ომის სასაცილო „ჰუმანიზაციით", რაზედაც ხელშეკრულება მიგვითითებს.

ასეთია შედეგები კონფერენციისა, რომელიც რამოდენიმე თვე გრძელდება და რომლის მოწვევის გამო მაკდონალდები ქვეყნიერებას აყრუებენ ყვირილით — რადგან „ახალი ხანის დასაწყისზე" სახელმწიფოთა ურთიერთობაში. კონფერენციის მიმდინარეობამ, როგორადაც არ უნდა შეეცადონ მისი მუშაობა და ნაყოფის ფერადი სალებავებით დახატვას, ყველასათვის აშკარა გახადა იმპერიალისტურ ქვეყნების სრული შეურიგებლობა და მათი მზადება ომისათვის. და თუ ამის შემდეგ უტიფრად ლაპარაკობენ კონფერენციის „სამშვიდობო წარმატებაზე", მაშინ რას უნდა ეწოდოს დამარცხება!

⁂

ინგლის-ეგვიპტის მოლაპარაკება, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად (31 მარტს) ლონდონში დაიწყო, ჩიხში მოემწყვდა: მოლაპარაკება მიმდინარეობდა იმ პროექტის საფუძველზე, რომელიც ჰენდერსონმა მაჰმუდ-ფაშასთან ერთად (ეგვიპტის ყოფ. პრემიერი) გამოიმუშავა. ეს პროექტი, რომელიც ეგვიპტის მიმართ ზოგიერთ უმნიშვნელო დათმობებს გულისხმობს, სავსებით სტოვებს ინგლისის ბატონობას ამ ქვეყანაზე. ამჟამად ეგვიპტის მთავრობის სათავეში სდგას ნახას-ფაშა (ვაფდისტების ნაციონალისტების პარტია), რომელმაც უკანასკნელ არჩევნებში ლიბერალები დაამარცხა, სხვათაშორის, „რადიკალური" პროგრამის წამოყენებით ინგლისთან დამოკიდებულების საკითხში. ნახას-ფაშა სცდილობს მცირეოდენი ცვლილებების შეტანას ხსენებულ პროექტში, რათა ამომრჩევლების თვალში თავი გაიმართლოს.

დავის საგანს უმთავრესად სუდანი შეადგენს. ნახას-ფაშა მოითხოვს, რათა იქ შემოღებულ იქნას ინგლის-ეგვიპტის საერთო მმართველობა (და არა მის განთავისუფლებას ოკუპაციისაგან), მაშინ, როცა მაკდონალდის მთავრობა იცავს მტკიცედ არსებულ მდგომარეობას, ე. ი. ინგლისის უკონტროლო და განუსაზღვრელ ბატონობას.

სუდანი უნოყიერეს რაიონს წარმოადგენს. აქ ინგლისელმა პლანტატორებმა ფართოდ მოკიდეს ხელი მებამბეობას, რაც ეგვიპტელ მიწად-მფლობელთა ეკონომიურ სიძლიერეს საფრთხეს უმზადებს. ამავე დროს სუდანის პატრონს ყოველ დროს შეუძლია მდ. ნილოსიდან ეგვიპტისათვის სარწყავი წყლის დენა შეაჩეროს და ამით ეს ქვეყანა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენოს. ამიტომაცაა, რომ ინგლისის იმპერიალიზმი „მუშათა" მთავრობის სახით მაგრად ებღაუჭება ამ ბრძანებელ ეკონომიურ მწვერვალს, თუმცა სუდანში გერთიანებული მმართველობის დაწესების შემდეგაც ინგლისი არსებითად კვლავ დარჩებოდა მის ნამდვილ მფლობელად. ჰენდერსონმა აგრეთვე გადაჭრით უარყო ნახას-ფაშას სხვა მოთხოვნებიც, როგორიც: ინგლისის საოკუპაციო ჯარების გადაყვანა სუეცის არხის აღმოსავლეთით, ზოგიერთ მაღალ თანამდებობებზე ეგვიპტეში ადგილობრივ მოქალაქეთა დანიშვნა ინგლისელების მაგივრად და სხვა.

ეგვიპტე, გარდა თავისი ეკონომიურ მნიშვნელობისა, უდიდეს სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს ინგლისისათვის (სუეცის არხი). ამიტომ ინგლისის იმპერიალიზმი ყოველგვარად ცდილობს იქ თავის პოზიციების შენარჩუნებას.

მოლაპარაკება ამა თუ იმ სახით, ალბად, კვლავ გაგრძელდება. ეჭვს გარეშეა, რომ ბოლოს და ბოლოს ეგვიპტელი ნაციონალისტები, რომელნიც ინგლისთან „თანამშრომლობის" თვალსაზრისზე დგანან, დასთმობენ. მხოლოდ ისინი ეძებენ ისეთ კომპრომისულ ფორმულას, რომ შეეძლოთ თუნდაც რაიმე მოჩვენებითი მიღწევით დატრაბახება და თავისი შინაური მდგომარეობის განმტკიცება.

როდესაც ინგლის-ეგვიპტის შეთანხმების პროექტი იქნა გამოქვეყნებული, მეორე ინტერნაციონალის მესვეურებმა თვალთმაქცურად ერთი კორიანტელი დააყენეს: ინგლისის „მუშათა" მთავრობა ეგვიპტეს თავისუფლებას ანიჭებს, ნამდვილად, კი, რა თქმა უნდა, ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ პროექტის მიხედვით ეგვიპტის ტერიტორიაზე რჩება ინგლისის ჯარი, მაშასადამე, გრძელდება მისი ოკუპაცია. ახლანდელი მოლაპარაკება კიდევ უფრო მოწმობს, რომ ლეიბორისტების მთავრობა ფხიზელ გუშაგად უდგას ინგლისის იმპერიალიზმს.

⁂

რამოდენიმე თვის განმავლობაში საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა, თეთრგვარდიელებთან ერთად, „საზოგადოებრივობას" კვებავდა კუტეპოვის დაკარგვის შესახებ სენსაციურ ცნობებით, გაიძახოდა ველური განგაში: კუტეპოვი პოლიტსამმართველოს აგენტების მსხვერპლი შეიქმნა, მის გატაცებაში საბჭოთა წარმომადგენლობა მონაწილეობდა. ამნაირად, სურდათ მეშჩანურ მასების ამხედრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. უკანასკნელად კი გაზ. „ტან"-ში გამოქვეყნდა ოფიციალური ხასიათის განცხადება, რომლის მიხედვით, თითქო არ არის მართალი გავრცელებული ხმები, რომ პოლიციას კუტეპოვის საქმის გამო განსაკუთრებით საბჭოთა მოქალაქეებზე ჰქონდა მიტანილი ეჭვი და რომ კვლევა-ძიების ღონისძიებანი ვითომ მიღებული იყო ეროვნების განურჩევლად. ამ გვარად, სასკანდალოთ დამარცხდა კუტეპოვის ისტორიით გამოწვეული ანტი-საბჭოთა კამპანია. ზევით მოყვანილი ოფიციალური განცხადებაც ადასტურებს იმ თავითვე უდაო ჭეშმარიტებას, რომ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ კუტეპოვის გატაცებასთან. გასულელებული დარჩა მთელი ის მეშჩანური მასა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ ჭორით ცხოვრობდა.

მაგრამ ხსენებულ განცხადებაში „ფაქტიური შესწორება" უნდა იქნეს შეტანილი. მოკლებულია საფუძველს მტკიცება,თითქო საფრანგეთის პოლიცია კუტეპოვის გატაცებასთან დაკავშირებით უმთავრესად საბჭოთა მოქალაქეების გარშემო არ ტრიალებდა. მას ნიშანში ქონდა ამოღებული სწორედ „სახ. პოლიტსამმართველოს აგენტები" და პარიზის საბჭოთა წარმომადგენლობა. მაგ., ისეთმა მსხვილმა სახელმწიფო მოხელემ, როგორიცაა პარიზის პრეფექტი კიაპი, პარიზის მუნიციპალიტეტის საბჭოში ამ ცოტა ხნის წინედ სთქვა: „მოწმეთა ჩვენება, რომელიც ყოველ დღე უფრო დასტურდება, მიუთითებს იმ გზაზე, რომლითაც გაიარეს გამტაცებელთა ავტომობილებმა. აგრეთვე ნორმანდიის ნაპირების ადგილზე, საიდანაც გენერალი გემში იქნა მოყვანილი. მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან გამორკვეულნი ის პირები, რომელთაც ეს ბოროტმოქმედება მოამზადეს და ჩაიდინეს.. ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ ჩვენ თვალყურს არ ვადევნებდეთ სახ. პოლიტსამმართველოს აგენტებს პარიზში.. კუტეპოვის საქმესთან დაკავშირებით დგას აგრეთვე საკითხი, თუ რა როლს თამაშობდა გატაცებაში საბჭოთა საელჩო. ამის გამო შეიძლია განვაცხადო, რომ, თუ ვიმსჯელებთ კვლევა-ძიების ახლანდელი მდგომარეობის მიხედვით, გამტაცებელნი არ გამოსულან საბჭოთა საელჩოდან და გატაცების შემდეგ იქ არ დამალულან".. ამნაირად, კიაპი აღიარებდა, რომ პოლიცია ამ საქმესთან დაკავშირებით განსაკუთრებით უთვალთვალებდა „პოლიტსამმართველოს აგენტებს" და საბჭოთა წარმომადგენლობას, შემდეგ იგი უკანასკნელს ბრალდებას ხსნიდა მხოლოდ პირობით, („კვლევა-ძიების ეხლანდელ მდგომარეობის მიხედვით"). როგორც ვხედავთ, პარიზის პოლიციის უფროსის ეს აღიარება სავსებით ეწინააღმდეგება „ტან"-ში მოთავსებულ განცხადებას. საფრანგეთის პოლიცია და, მაშასადამე, ოფიციალური წრეები თავს ვერ დაიძვრენენ პასუხისმგებლობიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ [illegible] სიცრუის გავრცელებისათვის.

ასე თუ ისე, ამ სიცრუეს დღეს ისინი თითონ უარყოფენ. რითია ეს გამოწვეული? შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესაა პოლიციის პრესტიჟის დაცვის ცდა. რაკი არ მოხერხდა საბჭოთა აგენტების მიერ კუტეპოვის გატაცების ვერსიის დადასტურება, სურთ პოლიცია გამიჯნონ იმ ხმებისაგან, რომელთა გავრცელებას ის ხელს უწყობდა. ან „ტან"-ის კომიუნიკეს უფრო ღრმა მიზეზი უდევს საფუძვლად და ის მომასწავებელია საფრანგეთის ანტი-საბჭოთა პოლიტიკაში ერთგვარ მერყეობის დასაწყისისა. ინგლის-საბჭოთა შეთანხმების ზეგავლენით? ამის საბუთი ჩვენ არ გვაქვს. „ტანი" ამ შეთანხმების გამო სწერს, რომ მაკდონალდის მთავრობის „ეს ცდა დიდ საფრთხეს წარმოადგენს". ვისთვის? საფრანგეთისათვის, რომელიც ზარალობს ჩვენთან ურთიერთობის გათიშვით, თუ ანტი-საბჭოთა გეგმების გატარებისათვის? აშკარაა, რომ გაზეთს მხედველობაში აქვს უკანასკნელი გარემოება. ყოველ შემთხვევაში, კუტეპოვის საქმის გარშემო გამოქვეყნებული განცხადება ოდნავადაც არ არის საკმარისი იმ სიბინძურის გასაქარწყლებლად, რომ საფრანგეთის მეთაურობით სწარმოებს ანტი-საბჭოთა გეგმების განხორციელების ცდა.

⁂

დმოვსკის ცნობილ წერილების გამო პოლონეთის პრესაში ატეხილი კამათი დასრულდა. ბოლოს, ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, განმარტებით გამოვიდა პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი. ხომ არ აიხსნება ეს სიჩუმე იმით, რომ საჭირო იყო ვარშავის მთავრობის გამოსვლის შეთანხმება მის „უზენაეს" მფარველობასთან. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. რა სთქვა ზალესკიმ არსებითად? მის ზოგად განცხადებას, რომ პოლონეთი თითქო მშვიდობიანობის ფაქტორის როლს ასრულებს, რა თქმა უნდა, არავითარი ღირებულება არ აქვს, ხომ არ აღიარებდა ის,რომ პოლონეთი ომისათვის ემზადება! „ჩვენ არ გვინდა არც ერთი მტკაველი ახალი ტერიტორია"-ო, — ამბობს ზალესკი. მაშინ რისთვის იარაღდება ასე გამალებით პოლონეთი? აი, რაზე უნდა გაეცა მას პასუხი.

შემდეგ: პოლონეთი „ვითომ ყოველნაირად ცდილობს განავითაროს ეკონომიური ურთიერთობა თავის აღმოსავლეთ მეზობელთან". მაგრამ თუ ეს ასეა, რატომ გაურბის იგი სავაჭრო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან?

„სხვა სახელმწიფოებს, რომელთაც საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება დასდეს, იმედი გაუცრუვდათო" იმედი გაუცრუვდათ მხოლოდ იმათ, ვინც ფიქრობდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობას ჩვენს ეკონომიურ დაშორებაზე, და არა ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე საქმიან დამოკიდებულების გაფართოებას აქედან პირველყოვლისა თვითონ მათ ნახეს ზარალი. ზოგიერთი სახელმწიფო ამას კიდევ იგებს და სინამდვილე აიძულებს მათ შესცვალონ თავისი პოზიცია. ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმება ამ მხრივ ზალესკისებისათვის (არა მარტო მათთვის) გამაფრთხილებელი უნდა იყოს.

ზალესკის ცალიერი „სამშვიდობო" განცხადება არ არის დამაჯერებელი. თუ პოლონეთს სურს ჩვენთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარება, ეს მან საქმით უნდა გვიჩვენოს. ამის მაგივრად ჩვენ სულ წინააღმდეგს ვხედავთ.

გ. ქ—ლი.

ა ლ ა ზ ნ ი ს ა რ ხ ი

გაიხსნება პირველ მაისს

გურჯაანი, 26 აპრილი. 1 მაისს მოხდება წყლის გაშვება მთელ ალაზნის არხში. არხის გახსნის დღეს, 12 საათზე ნაგებობის სათავესთან შესდგება მიტინგი საქართველოს მთავრობის წევრების, ოლქის ყველა რაიონების დელეგატებისა და მახლობელი სოფლების გლეხების მონაწილეობით.

2 მაისს გათენებისას წყალი მიაღწევს ალაზნის ჰიდრო-სადგურამდე, რომელიც შენდება სოფელ ბაკურციხის რაიონში. აქ გურჯაანის პროფკავშირის წევრთა და გლეხების მონაწილეობით მოხდება წყლის საზეიმო შეხვედრა. დღის სამ საათზე წყალი მიაღწევს ალაზნის ველის მოსარწყავ, ბამბით დასათეს ფართობს (წნორის წყლის რაიონი). იქ გაიმართება მიტინგი და მაისობა.

არხი გაყვანილია 80 კილომეტრის მანძილზე. მიმდინარე წელს არხი მორწყავს 7.000 ჰექტარს, აქედან 500 ჰექტარ ბამბის ნათესს. არხის გაყვანა 8 ნახ. მილიონი მანეთი დაჯდა.

რკინის გზა სამტრედიიდან მათხოჯამდე

საქ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო სამტრედიიდან მათხოჯამდე რკინისგზის ხაზის გაყვანა. სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაევალა დაჩქარებით შეუდგეს აღნიშნულ საკითხის შესწავლას და წარმოადგინოს სახკომსაბჭოში თავისი დასკვნა.

წინასწარი ვარაუდით, სამტრედიიდან მათხოჯამდე რკინის გზის ხაზის გაყვანა დაჯდება 1.600.000 მანეთი.

საქ. ეკონომსაბჭოში

ტუნგის ხის კულტურა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი საოპერაციო გეგმა ოზურგეთის მაზრაში 300 ჰექტარზე ტუნგის ხის გაშენების შესახებ.

გარდა ამისა მიწსახკომს დაევალა გამოარკვიოს ტუნგის ხის გაშენებისათვის ვარგისი ადგილები და თავის სამოქმედო გეგმაში შეიტანოს ტუნგის კულტურის გავრცელება ისეთი ტემპით, რომ მრეწველობის მოთხოვნილება ტუნგის ხის ზეთზე მომავალ 10—15 წლის განმავლობაში საკუთარი საშუალებებით იქნას დაკმაყოფილებული.

საბჭოთა მეურნეობა

თბილისის ოლმასკომის გამგებლობაში არსებული ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობა გადაეცა საზ. „სკოტოვოდს".

საძოვრების გამოყენება

ეკონომსაბჭომ დაამტკიცა მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი საძოვარ ადგილების გამოყენების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

გარდა ამისა მიწსახკომს დაევალა მიიღოს ზომები, რათა საქართველოს ფარგლებში მდებარე ყველა საძოვრები მაქსიმალურად იქნას გამოყენებული.

აღმშენებლობა თბილისის ოლქში

სარაიონო ცენტრების კეთილმოწყობა

თბილისის მაზრაზე ბორჩალოს და დუშეთის მაზრების შემოერთების და თბილისის ოლქად გადაკეთების გამო, ზოგიერთი სარაიონო ცენტრები გადატანილ იქნა ისეთ სოფლებში სადაც რაიონულ დაწესებულებებისათვის არ მოიპოვება შესაფერი ბინები.

გარდა ამისა, თბილისის ოლქის მრავალი რაიონი სრულებით მოკლებულია ჯანმრთელობისათვის ხელისშემწყობ დაწესებულებებს. არაა აბანოები, სავადმყოფოები და რაც მთავარია, სასმელი წყალი.

თბილისის ოლმასკომის პრეზიდიუმმა გაითვალისწინა ეს მდგომარეობა და თავის უკანასკნელ სხდომაზე გამოიმუშავა სათანადო გეგმა ოლქში აღმშენებლობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად.

გადაწყდა პირველ რიგში რაიონულ დაწესებულებებისათვის აგებულ იქნეს შესაფერი ბინები. დამტკიცებულ გეგმის მიხედვით ბორჩალოს რაიონის ცენტრში სარვანში წელს დაიწყება 2 სართულიანი დიდი სახლის აგება. ამ სახლში მოთავსებული იქნება რაიონის ყველა დაწესებულებები. ასეთივე სახლი აიგება წალკაში. იქვე აიგება ჩამოსულ პირთათვის დროებით საცხოვრებლად პატარა სახლები 6—6 ბინით.

ორივე რაიონისათვის ხსენებული სახლების აგება დაჯდება 142.000 მანეთი.

გარდა ამისა პრეზიდიუმმა დაადგინა წელს აბანოები მოეწყოს მანგლისში, სარვანში და წალკაში.

მანგლისის აბანოს მოსაწყობად გადადებულია 44.000 მანეთი, ხოლო სარვანის და წალკის აბანოების ასაგებად 53.000 მანეთი.

ამასთანავე მანგლისში ეწყობა გარაჟი, რისთვისაც გადადებულია 7.600 მანეთი. ოლქში საგზაო მშენებლობაზე წელს დაიხარჯება ნახევარ მილიონ მანეთამდე; არსებულ გზების შესაკეთებლად გადადებულია 63.000 მანეთი, ხოლო ახალი გზების გასაყვანად — 52.000 მანეთი. კერძოდ ხევსურეთის გზის გაყვანის საქმეზე თბ. ოლმასკომი წელს დახარჯავს 146.000 მანეთს.

მიღებულია აგრეთვე ზომები წელს ოლქში ტელეფონის ქსელის გასაფართოებლად, რაზედაც დაიხარჯება 24.000 მანეთი.

ოლქში სკოლების შენობების ასაგებათ გადადებულია 85.000 მანეთი. ოლქში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საექიმო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც გატარებულია მთლიანი კოლექტივიზაცია.

ქრონიკა

ხაშ. სასადილო სამთავისის კომუნაში

25 აპრილს სამთავისის კომუნაში გაიხსნა სასადილო-სამზარეულო, რომელიც მოწყობილია 800 კაცისათვის.

მებრეშუმეობის ინსტიტუტი

მებრეშუმეობის დარგში სამეცნიერო-საგამოცდილო მუშაობის გაძლიერების მიზნით, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა თბ. მებრეშუმეობის ცენტრალური სადგური გადაკეთდეს მებრეშუმეობის სამეცნიერო-საგამოცდილო ინსტიტუტად.

მუშათა დაწინაურება

საბჭოთა აპარატის წმენდასთან დაკავშირებით დღემდე მოწყობილი იყო დასაწინაურებელთა მოსამზადებელი 4 კურსი, რომელიც დაამთავრა 29 კაცმა. კურსდამთავრებულნი იგზავნებიან საბჭოთა აპარატიდან განწმენდილთა ადგილებზე სამუშაოდ.

მუშები უმ. სასწავლებლებში

უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნად, მუშფაკში დამატებით მიღებულ იქნა 76 მუშა.

კვალიფიციურ მუშათა მომზადება

კომუნალურ მუშაკთა კავშირმა დამტკიცა კომუნალურ მეურნეობაში კვალიფიციურ მუშათა მომზადების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით წელს მომზადებული იქნება 199 მუშა.

ტრამვაი 7 საათის სამუშაო დღეზე

მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან ტრამვაი გადაყვანილი იქნება 7 საათის სამუშაო დღეზე.

ფაბრიკა-სამზარეულო

თბილისში ფაბრიკა-სამზარეულოს ასაგებად წინასწარი მუშაობა უკვე დაიწყო. სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელი დადგენილებით ფაბრიკა-სამზარეულოს აგება უნდა დამთავრდეს წელიწად-ნახევარში. მისი აგება სულ დაჯდება 1.200.000 მ., აქედან წელს დაიხარჯება 500.000 მანეთი.

კალიაევის ალმართის გაფართოება

კალიაევის ალმართზე მოსალოდნელი უბედური შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად და ნორმალური მოძრაობის დასამყარებლად, კომუნალურმა განყოფილებამ გადაწყვიტა გააფართოოს აღნიშნული ალმართი.

საავადმყოფოს აგება ზუგდიდში

ჯანმრთელობის კომისარიატი ზუგდიდში შეუდგა საავადმყოფოს აგებას. საავადმყოფოს ხაგებით მოწყობა დაჯდება ნახევარი მილიონი მანეთი. საავადმყოფოს ექნება 100 საწოლი.

დახმარება წითელ-პარტიზანთა საზ-ბას

თბილისის აღმასკომმა ყოფ. წითელ-პარტიზანთა და გვარდიელთა დამხმარე საზ-ბას დახმარების სახით გადასცა 500 მანეთი.

წყალში დახრჩობის შემთხვევების წინააღმდეგ

ექ. მურადოვმა გამოიგონა წყალში დახრჩობის შემთხვევების საწინააღმდეგო ბადე, რომელიც დამზადებული იქნება წყალში გამძლე მავთულისაგან. ამგვარი ბადეები მოეწყობა მტკვარში რამდენიმე ადგილას, სადაც მობანავეებს შეეძლებათ უშიშრად იბანაონ. თბ. აღმასკომმა გადაწყვიტა ექ. მურადოვის გამოგონება წელსვე შემოიღოს ხმარებაში.

თბილისის აღმასკომში

◆ მანგლისის კომუნასთან თბილისის აღმასკომი აწყობს საბავშვო ბაღს.

◆ **საგზაო მშენებლობა.** ოლქში ახალი გზების გასაყვანად აღმასკომმა გადასცა 52.000 მანეთი.

◆ მთავარ ქუჩებში კუბიკურ ქვების მოსაგებად კომუნალურ განყოფილებას გადაეცა 65.000 მანეთი.

◆ მუნიციპალიზაციაქმნილ სახლების საფუძვლიანი შეკეთება უკვე დაიწყო. ამ საქმეზე წელს აღმასკომი დახარჯავს 476.000 მ.

◆ მანგლისში საზაფხულო კლუბის მოსაწყობად გადაიდო 500 მან.

◆ ქალაქში სასპორტო მოედნების მოსაწყობად აღმასკომმა ფიზკულტურის საბჭოს გადასცა 9.000 მან.

სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სახელგამის შემდეგი ახალი გამოცემანი: ბ. გურიევი „სად ვიშოვოთ საშუალებანი კოლმეურნეობათა მოსაწყობად“, გვ. 52, ფ. 20 კაპ.; სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, გვ. 24. ფ. 7 კაპ.; ქ. ჯაფარიძე—რასაც დასთეს იმას მოიმკი, გვ. 24. ფ. 15 15 კაპ., დ. სულიაშვილი—ჩაკირი (მოთხრობა) გვ. 76, ფასი 30 კაპ.; ექ. ა. თვარაძე—(წ. გამოცემები), გვ. 56, უფასოდ; ი. ჩხაიძე—(საკონკურსოდ წარმოდგენილი წიგნაკებიდან, პოპულ. ბროშურა), გვ. 64, ფ. 30 კაპ.; სახელგამის გამოცემათა კატალოგი (1921—1926 წ. წ. გამოცემები) გვ. 56, უფასოდ; ი. ჩხაიძე—ჩაის პლანტაციის გაშენება) გვ. 24, ფ. 15 კაპ.; ჟურნ. „ოქტომბრელი“ № 3) გვ. 32 (ცალკე ნომერი 35 კაპ).

როგორ არ უნდა მუშაობდნენ პროფ-ორგანიზაციები

რა გამოარკვია მუშათა ბრიგადამ ლენინაკანის საუბნო კომიტეტში.—სუსტი მუშაობისათვის საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმს გამოეცხადა საყვედური

რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა ამ ორი თვის წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლენინაკანის უბანზე გაგზავნა მუშათა ბრიგადა ადგილობრივ პროფორგანიზაციების მუშაობის გამოსაკვლევად და სათანადო ღონისძიებების შესამუშავებლად.

ბრიგადა ლენინაკანში ჩავიდა იმ დროს, როდესაც კოლექტივიზაციის კამპანია ტარდებოდა. მას საუბნო კომიტეტში არავინ დახვედრია, რადგან პრეზიდიუმის ყველა წევრები მობილიზაციის სახით გაგზავნილი იყვნენ კოლექტივიზაციის რაიონებში.

გამოძახებულ იქნენ რაიონებიდან პრეზიდიუმის წევრები, მაგრამ უკანასკნელები ძალიან გულგრილად შეხვდნენ მუშათა ბრიგადის წევრებს და მათ არავითარ დახმარებას არ უწევდნენ.

ბრიგადამ მაინც ჩაატარა უბანზე თავისი მუშაობა და მრავალი უმსგავსოება გამოაშკარავა. მან გამოარკვია, რომ საუბნო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ძალზე ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ თავის მუშაობას და უმეტეს დროს არაპირდაპირ საქმეებზე ხარჯავდნენ, პროფკავშირულ მასებს უხეშად ეპყრობოდნენ.

საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ულიბეკიანი ბრიგადის გამოკვლევით იმდენად გადატვირთულია სხვადასხვა სამუშაოებით, რომ მას დრო აღარ რჩება საკავშირო მუშაობისათვის; პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ოვანესიანი კი შეუფერებელია თავისი თანამდებობისათვის, რადგან სრულიად არ იცნობს რკინის გზის მეურნეობას. ადგილკომებში კი აღმოჩენილ იქნა შემთხვევები, როდესაც კომიტეტებს ხელმძღვანელობენ სრულიად უვიცი პირები (ჯულფა); ნახიჩევანში ინსტრუქტორს წარმოდგენა არ აქვს თავის მოვალეობაზე.

ამის შედეგად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საუბნო კომიტეტს აქამდე ვერ გარდაუქმნია თავისი მუშაობა ახალ საფუძვლებზე.

საუბნო კომიტეტის ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ძალიან სუსტია. უბანზე შრომის დისციპლინა ძალზე მოიკოჭლებს. მაგალითად, ერევანი გამოცხადებულია დამკვრელ სადგურად და იქ კი ადგილი აქვს აგენტების თავიშვებულობას, დაუდევრობას და შრომის დისციპლინის დარღვევის ხშირ შემთხვევებს. პროფორგანიზაცია კი ამას ყურადღებას არ აქცევს და არავითარ ზომებს არ ღებულობს.

ძალზე მოიკოჭლებს აგრეთვე ლენინაკანის უბანზე ერთმართველობის გატარების საქმე.

ბევრ პროფმუშაკებს წარმოდგენა არ აქვთ კულტმუშაობაზე და გზის მმართველ აპარატების რეორგანიზაციაზე, რომელიც 1 მაისიდან ტარდება. მუშათა დაწინაურება ხდება უგეგმოდ, დასაწინაურებელ კანდიდატურის შეუსწავლელად.

ბრიგადის მუშაობის შედეგები განიხილა რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე 25 აპრილს და აღნიშნა, რომ ლენინაკანის საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმი დაუშვებლად მოეპყრა საგზაო კომიტეტის ბრიგადას რაც იმაში გამოიხატა, რომ იგი ნაცვლად დახმარებისა ხელს უშლიდა მას და აბრკოლებდა მის მუშაობას.

ამის გამო საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოეცხადოს საყვედური ლენინაკანის საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმს მთელ შემადგენლობას. ამასთანავე მან საჭიროდ სცნო კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობის სრულიად გადახალისება მასში დამკვრელ მუშების შეყვანით.

საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო ლენინაკანის საუბნო კონფერენციის ვადამდე მოწვევა საუბნო კომიტეტის მუშაობის განსახილველად და მისი შემადგენლობის გადასარჩევად.

სასამართლო

„ზაკმიასოტორგი“ სპეკულიანტების ხელში

მეხუთე დღეა, საქართველოს უზენაესი სასამართლო ამხ. სუფსიაშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ კაპანაძის მონაწილეობით არჩევს „ზაკმიასოტორგ“-ის ყოფილ თანამშრომლების საქმეს.

საბრალდებლო სკამზე სხედან: „ზაკმიასოტორგ“-ის ყოფილი დირექტორი მელიქი, ჩრდილოეთ-კავკასიის განმანაწილებელ პუნქტის ყოფ. გამგე პოლოხოვი, კონტროლიორი კარაგულიანი და ცნობილი სპეკულიანტი რიმარი, ანუ კონტრაგენტად წოდებული ჩარხი, რომელიც ულაზღვრო ნდობით და შეღავათებით სარგებლობდა დირექტორ მელიქის მფარველობით.

საერთო შთაბეჭდილება პროცესზე ისეთი იქმნება, რომ „ზაკმიასოტორგ“-ი იმ ხანებში, როცა მას სათავეში ედგა მელიქი, მხოლოდ სახელად ითვლებოდა სახელმწიფო ორგანიზაციად, სინამდვილეში კი „სახრავად“ ჰქონდათ მიჩენილი ყოველი ჯურის ჩარჩ-ვაჭრებს და სპეკულიანტებს.

არავითარი სისტემა მუშაობაში, არავითარი სავალდებულო წესების დაცვა, არავითარი კონტროლი, არავითარი ანგარიშგება, სრული არევ-დარევა საქმის წარმოებაში, დირექტორ მელიქის თვითნებობა, ანგარიშის გაუწევლობა სახელმწიფოს ინტერესებისათვის, — აი, „ზაკმიასოტორგ“-ის მდგომარეობა 1928 წელში.

სულ 7 თვე დაჰყო მელიქმა დირექტორად და შვიდასი ათას მანეთამდე აიყვანა სახელმწიფოს ზარალი.

უპაირათობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე... საზარალო ხელშეკრულებების დადება კერძო ვაჭრებთან, ნაცნობ-მეგობრების (აპარატის შიგნით) სისტემატიურად დაჯილდოება თავგამოდებული მუშაობისათვის (?) იმ დროს, როცა დაწესებულება ასეულ ათას მანეთობით ზარალობდა, მელიქის განკარგულებით მისი ახლო მეგობრები ტანტიემებს იღებდნენ მეტად ნაყოფიერი მუშაობისათვის. აუარებელია იმის ფაქტები, თუ როგორ იყენებდნენ სპეკულიანტები „ზაკმიასოტორგს“ თავის ინტერესებისათვის.

სპეკულიანტი რიმარი „ზაკმიასოტორგ“-ის მანდატით ყიდულობდა და ჰყიდდა კერძო ბაზარზე დიდძალ საქონელს. დადასტურებულია, რომ რიმარს ამიერ-კავკასიის ფარგლებში შესყიდული საქონელი რამდენიმეჯერ გაუყიდია ლენინგრადში კერძო ბაზარზე. არ დაივიწყოთ, რომ სპეკულიანტ რიმარს საბრუნავ თანხას აწვდიდა მელიქი.

მელიქმა, რომელიც საერთოდ არავის ირევდა თავის ფუნქციებში, სათანადო ორგანოებთან შეუთანხმებლად ერთი სკანდალური ხელშეკრულება დასდო სპარსელ ვაჭართან, რომელსაც ავანსად მისცა 10.000 მანეთი ყოველგვარ ნივთიერ გარანტიის გარეშე.

ვაჭარმა დაიხურა ქუდი, მოკურცხლა სპარსეთში და შემდეგ „ზაკმიასოტორგ“-ის ახლოც არ გაუვლია.

ასეთი უმსგავსობანი მრავალია „ზაკმიასოტორგ“-ის „მუშაკთა“ საქმიანობაში.

მოწმეების დაკითხვა დღეს დამთავრდება. ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ დაიწყება მხარეთა კამათი.

გერ.

რკინის გზეზე

ამხ. რუძუტაკის დეპეშა

ა.-კ. რკინის გზის გამგეობაში მიღებულია გზათა სახალხო კომისარის ამხ. ი. ე. რუძუტაკის დეპეშა ტვირთზიდვის საქმის დაჩქარებისა და გაძლიერების შესახებ.

დეპეშაში ამხ. რუძუტაკი ეხება რკინის გზებზე ტვირთზიდვის საქმის დაყენებას და აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დღეებში კლიენტების მიერ გადასაზიდ ტვირთების გზებისათვის წარდგენა და დატვირთვა საქონლის ნარჩენების ლიკვიდაცია გზებზე ძალიან ნელის ტემპით მიმდინარეობს.

ტვირთზიდვის პერსპექტივებს ასეთი მდგომარეობა მეტად საშიშარ მდგომარეობაში აყენებს. მიმდინარე წლის მეოთხე და მომავალი სამეურნეო წლის პირველ კვარტალში მოსალოდნელი ტვირთების გადაზიდვის საგრძნობლად გადიდება და ამის გამო აუცილებელი ხდება ზაფხულის პერიოდში ყოველგვარი ტვირთების გადაზიდვის დაჩქარება.

უკანასკნელ დღეებში წარმოებული დატვირთვის ოპერაციები-ნათქვამია დეპეშაში, აშკარად გვიჩვენებენ, რომ შესუსტებულია გზების ადმინისტრაციის ზეგავლენა კლიენტებზე, რომ მათ გააძლიერონ საქონლის გადაზიდვა.

ამის გამო ამხ. რუძუტაკი წინადადებას აძლევს რკინის გზების გამგეობებს დაუყოვნებლივ დასვან საკითხი ადგილობრივ პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წინაშე იმის შესახებ, რომ მოხდეს მაქსიმალური ზეგავლენა სათანადო ორგანიზაციებზე, რომ უკანასკნელებმა გააძლიერონ გზებისათვის გადასაზიდ ტვირთების წარდგენა ისეთი ანგარიშით, რომ მე-4 კვარტალის დამლევისათვის გადაზიდულ იქნას ყოველგვარი ნედლი მასალები მათი დამზადების რაიონებიდან, მწარმოებელ რაიონებში.

რადიო-გადაცემა

კვირა, 27 აპრილი

თბილისის რადიო სადგურიდან დღეს გადაცემული იქნება: დილის 10 საათიდან საბავშვო ლიტერატურულ - მუსიკალური დილა. 10 ს. 50 წ-დან გადაცემა სოფლისათვის: აგრონომის საუბარი — ქართულ ენაზე. ექიმის საუბარი ქართულ ენაზე. 11 ს. 30 წ-დან პოპულიარული გლეხური კონცერტი. 13 საათიდან საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა, ქართულ ენაზე. 13 ს. 25 წ-დან კონცერტი. 17 საათიდან კომკავშირული რადიო-გაზეთი — ქართულ ენაზე. 17 ს. 30 წ-დან ლექცია ციკლიდან „საბჭოთა პედაგოგის დასახმარებლად“ — ქართულ ენაზე. 18 ს. 05 წ-დან მხიარული კითხვის საათი. რეკლამა. 18 ს. 40 წ-დან საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა, რუსულ ენაზე. 19 საათიდან დაუსწრებელი კოოპერატიული კურსები, ლექცია „ფინანსები“, ქართულ ენაზე. 19 ს. 25 წ-დან საუბარი „ომი და რელიგია“, რუსულ ენაზე. დროის შემოწმება და გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები. დასვენების დროს რეკლამა. 20 საათიდან გრამოფონის მუსიკის საათი. 21 საათიდან საბჭოთა აზერბეიჯანის არსებობის 10 წლის თავის გამო მისალმების გამოძახილის ტრანსლიაცია (ლენინგრადი, მოსკოვი, ხარკოვი). 21 ს. 30 წ-დან მისალმება თბილისიდან. 22 ს. 30 წ-დან ტრანსლიაცია სახელმწიფო ოპერის თეატრიდან და უკანასკნელი ამბები.

ფეხბურთი

თბილისში მოემგზავრება მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“

თბილისის „დინამო“-მ პირველ მაისისათვის თბილისში მოიწვია მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“.

აღნიშნული გუნდი მოსკოვში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდათ ითვლება. თბილისში ჩამოსვლამდე გუნდი შეჯიბრებას ჩაატარებს ბაქოს ფეხბურთელთა გუნდებთან.

მოსკოვის „დინამო“ გასულ წლის შეჯიბრებაში თბილისის გუნდებთან გამარჯვებული გამოვიდა.

თბილისში მოსკოვის გუნდი ჩაატარებს ოთხ შეჯიბრებას. შეჯიბრებაში თბილისიდან მონაწილეობას მიიღებენ „მელითონეები“ (პირველი), „ადგილობრივი ტრანსპორტელები“ (პირველი) და პირველი და მეორე „დინამო“.

შეჯიბრება ფეხბურთში

დღეს „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება ამხანაგური შეჯიბრება „დინამო“-ს და „მელითონეების“ პირველ გუნდებს შორის, სამშაბათს, 29 აპრილს, გაიმართება მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში.

იშვიათი შემთხვევა კინო-სურათის გადაღების დროს

19 აპრილს რეჟ. ს. დოლიძე აწარმოებდა ახალი კინო-ფილმის „ზვავთა სამყარო“-ს გადაღებას უკანა ფშავში. ზვავების გადაღებისას, მოულოდნელად ერთი ზვავი მოწყდა ადგილიდან და თან გაიტაცა მსახიობი ბეჟანიშვილი. შემდეგ კი დაქანებულმა ზვავმა მოიტაცა დანარჩენი მსახიობებიც და თოვლის მთელი მასა სისწრაფით უახლოვდებოდა ოპერატორ ავდეევს, რომელსაც მიუხედავად კატასტროფიული შემთხვევისა, სურათის გადაღება არ შეუწყვეტია.

ზვავის მსვლელობისას ზოგიერთი მსახიობები შერჩნენ ხეებს, ხოლო უმრავლესობა კი, მათ შორის ოპერატორი ავდეევი თავისი აპარატით და რეჟ. ს. დოლიძე ზვავმა გაიტაცა კლდისაკენ. შემთხვევის დროს არავინ დაშავებულა, გარდა მსახ. ბეჟანიშვილისა, რომელიც მსუბუქად დაშავდა.

ზვავის მოწყვეტა, მისი მსვლელობა და ხალხის გატაცება გადაღებულია კინო-ლენტზე.

შემთხვევები

მოულოდნელი მარცხი

საბჭოს ქუჩაზე, ღამით სადგურიდან მომავალ ვაგონის ფანჯრიდან ცქერის დროს ილია ბიტაიშვილს დაეჯახა სადგურისაკენ მიმავალი ტრამვაი და მძიმედ დაშავა.

თავის მოწამვლა

ოლღა პორფილეს ასულ სტროგონოვამ (მცხოვ. ბარნოვის ქ., 3), ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე მოიწამლა თავი. სტროგონოვა სიკვდილს გადაარჩინეს.

მკვლელობა

სოფ. მანავის მცხოვრებნი ძმები დათა და ივანე მათიაშვილები ყანების დახნის დროს მოკლეს ბანდიტებმა და მიიმალნენ.

შეპყრობა

ჯიბგირობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი არშაკ სტეფანიანცი.—რკინის გზის დეპოდან სპილენძის სისტემატიურად ქურდობისათვის შეიპყრეს გიორგი კაკაურიძე და მნაცაკან დადონიანი.—ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ალექსი გულისძე ბიბილაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ყველა იმ ამხანაგებს, რომლებიც ტროცკისტული ოპოზიციის წევრობისათვის პარტიის რიგებიდან გამორიცხვის შემდეგ, კვლავ აღდგენილ იქნენ პარტიის წევრებათ, მაგრამ არ გაუვლიათ წმენდა, 28 აპრილს, საღამოს 6 საათზე, გამოცხადდენ ქარხანა „თემქა“-ში (სამხედრო ქ. № 6) პარტიის რიგების მწმენდავ დამატებითი კომისიის უკანასკნელ სხდომაზე და თან მოიმარაგონ ყველა პარტიული დოკუმენტები. ასეთი ამხანაგები უნდა გამოცხადდენ სათანადო კომუჯრედების მდივნებთან ერთად.

—:—

საქ. კმპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ 29 აპრილს, საღამოს 6 საათისათვის საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში მოწვეულია მშენებელ კომუნისტებისა და კომკავშირის საქალაქო კრება, რომელზედაც აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები და აღმშენებლობაში ჩაბმული მუშა-კომუნისტები და კომკავშირელები.

დღის წესრიგში დგას—მოხსენება თბილისში ახალი მშენებლობის მიმდინარეობისა და გაფართოების შესახებ.

—:—

დღეს, 27 აპრილს, შუადღის სრულ 12 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება თათბირი სვერდლოვის უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა შეკრების საკითხზე.

თათბირზე აუცილებელია რაიკომების კულტ-პროპაგანდის განყოფილებათა გამგეების დასწრება.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. დავით მჟონიას დაუყოვნებლივ გამოცხადდეს ცეკაში (ოთახი № 22).

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია იუწყება, რომ 28 აპრილს, საღამოს 6 საათზე ქარხანა „თემქა“-ში (სამხედრო ქ. № 6) შესდგება საქ. კომპარტიის, თბილისის ორგანიზაციის გამწმენდი დამატებითი კომისიის უკანასკნელი სხდომა.

სხდომაზე დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდნენ ქვემოჩამოთვლილი ამხანაგები ყველა საჭირო პარტიული დოკუმენტებითა და სათანადო კომუჯრედთა მდივნების თანხლებით:

ამხ. რუბენ ბაბაიანი, რაჟდენ ავლახაშვილი, დიმიტრი ქიბილური, აქსენტი მიმინოშვილი, სტელლა-ბარტი, ალექსანდრე ეამურელ, მიხეილ ალფოვი, ივანე ბერიკაული, შაქრო ქართველიშვილი, პავლე ვიტმანი და ალექსანდრე ჩეკუროვი.

—:—

დღეს, კვირას, 27 აპრილს, ნაშუადღევის სრულ 2 საათისათვის საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება რედაქტორების თათბირი, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ნ. კიკნაძე („კომუნისტი“), ვ. საყვარელიძე („კოლექტივიზაცია“), ფილია („მუშა“), გრიგორიანი („რაბოჩაია პრავდა“), მახათაძე („ახალგ. კომუნისტი“), ვარდანიანი („პროლეტარი“), სემიხი („ენი კენდი“), სიხარულიძე („მოჯამაგირის ხმა“), ხომერიკი („კოოპერატიული ცხოვრება“), ბოოშიძე („წითელი არმიელი“), კალანდაძე („განათლების მუშაკი“), ბიბილეიშვილი (სახელგამი) და სოკოლოვსკი (ბეჭდვითი სიტყ. კომიტეტი).

—:—

დღეს, 27 აპრილს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის პარტბიურო-კოლექტივის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ ცალკე ფაკულტეტების ბიუროთა წევრებიც.

სხდომა შესდგება ლენინიზმის კაბინეტში.

—:—

დღეს, საღამოს, 8 საათიდან გრძელდება სახ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტის უფროს კურსელ კომკავშირელთა წმენდა.

ხელოვნება

თბილისის სატირის თეატრი

დამთავრდა სეზონი თბილისის მოძრავ სატირის თეატრმა. მიმდინარე სეზონში თეატრმა მიიღო დოტაცია 5.500 მან. თეატრი მუშაობდა 24 კაცის შემადგენლობით; დასი უმთავრესად შესდგებოდა ახალგაზრდობისაგან. სარეჟისორო მუშაობას ეწეოდა შ. მანაგაძე და გ. ბუხნიკაშვილი, ავტორები ძიძიაშვილი, მეგრელიშვილი, ფხალაძე, ბუხნიკაშვილი და მანაგაძე, თეატრს მიმდინარე სეზონში ჰქონდა ოთხი დადგმა. „თბილისი 24 საათში“, „დაწინაურებული“ და მინიატურები, „აჰა ამბავი ცუდ ქარხკომზე“ და „კიდევ თბილისი“. სულ თბილისის მუშათა კლუბებში გამართა 108 წარმოდგენა, ამათში 12 უფასო, გარდა ამისა, თეატრმა ჩაატარა მთელი რიგი საესტრადო გამოსვლები წარმოებებში, აწარმოებდა კულტსაშეფო მუშაობას პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფიაში და № [illegible]. წარმოდგენებს სულ დაესწრო 54.507 მაყურებელი. თეატრი ამჟამად ემზადება გასტროლების მოსაწყობად. გასტროლები ჩატარებული იქნება 5 მაისიდან შემდეგ პუნქტებში: გორში, ხაშურში, შორაპანში, ქიათურაში, ზესტაფონში, ქუთაისში, ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ჩოხატაურში და ბათომში.

—:—

◆ **მ. კავსაძის გუნდის კონცერტი.** დღეს, საღამოს, ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბში შესდგება მ. კავსაძის სახალხო მომღერალთა გუნდის კონცერტი.

მომრიგებელი კამერები

საბინაო ამხანაგობებთან და კომუნალურ სახლებთან

მდგმურებს ხშირად მოსდით უკმაყოფილება საბინაო ამხანაგობებთან და კომუნალურ სახლების მმართველობებთან, რადგან ესა თუ ის საბინაო ამხანაგობა არა კანონიერად ეპყრობა მდგმურების მოთხოვნილებას და ისეთებს უყურადღებოდ სტოვებს. აგრეთვე საბინაო პირობებთან დაკავშირებით ადგილი აქვს ინციდენტებს თვით მდგმურებს შორისაც.

ასეთი წვრილმანი შემთხვევებით გამოწვეულ საჩივრებით სავსეა საბინაო სასამართლოები, სადაც საქმეების სიმრავლის გამო საჩივრების განხილვა რამდენიმე თვეობით გვიანდება. ეს გარემოება კი სამართლიან გულისწყრომას და ზოგჯერ უთავბოლობასაც იწვევს მდგმურებში.

საბინაო სასამართლოზე გადაცემულ საქმეების დიდი რაოდენობა ისეთი ხასიათისაა, რომ შეიძლება მათი ადგილობრივ მოგვარება სულ მოკლე ხნის განმავლობაში.

ამის განსახორციელებლად, თბილისის საბჭოს კომუნალურმა სექციამ ბიუროს შეიმუშავა დებულების პროექტი, რომლის მიხედვით საბინაო ამხანაგობებთან და კომუნალურ სახლების მმართველობებთან მოეწყობა მომრიგებელი კამერები.

მომრიგებელი კამერები განიხილავენ ისეთ საქმეებს, რომლებიც შეეხება მდგმურებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას, საჩივრებს შეურაცხყოფის შესახებ და აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებს.

მომრიგებელი კამერები განიხილავენ აგრეთვე მდგმურების საბინაო ამხანაგობის წევრობიდან გამორიცხვის და წევრად მიღების საქმეებს, გამგეობის წინააღმდეგ აღძრულ საჩივრებს, ოთახების გაცვლა-გამოცვლის თაობაზე ატეხილ დავას, საჩივრებს კოოპერანტების უკანონო და დაუდევარ მოქმედების შესახებ, ოთახების გადატიხვრისა, ან საერთო სარგებლობისათვის დანიშნულ ბინების თაობაზე ჩამოვარდნილ უთანხმოებას და სხვ.

თვითეული მომრიგებელი კამერა შესდგება თავმჯდომარის, ორი წევრის და მდივნისაგან, რომლებსაც ირჩევს მდგმურების რწმუნებულები.

მომრიგებელ კამერამ საქმე უნდა განიხილოს ერთი კვირის განმავლობაში.

მომრიგებელ კამერის დადგენილება, მხარეთა წინააღმდეგობის შემთხვევაში, სისრულეში მოყავს სახალხო სასამართლოების აღმასრულებლებს. მომრიგებელ კამერების დადგენილება გამონაკლის შემთხვევების გარდა, საბოლოოა.

ასეთი მომრიგებელი კამერების დაარსება მით უფრო დროული და მიზანშეწონილია, ვინაიდან გადაწყვეტილია გაერთიანებული იქნას სახალხო, საბინაო და გარეუბნების სასამართლოები. მომრიგებელი კამერების დაარსებით, გაერთიანებული სასამართლო სავსებით განიტვირთება ბინების შესახებ წარმოშობილ წვრილი საქმეებისაგან, ხოლო იმავე დროს დააჩქარებს საჩივრების განხილვას.

ორშაბათს, 28 აპრილს, საღამოს 7 საათზე,
საქართველოს სახკინმრეწვის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 164)
შესდგება სცენარის „ხუთწლედი ოთხ წელში“
საზოგადოებრივი განხილვა
ნაბეჭდ და კედლის გაზეთების მუშკორების და ახკორების დასწრება სავალდებულოა. სცენარის განხილვის შემდეგ ნაჩვენები იქნება ახალი სურათი.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 V. სეზონი

კვირას, 27 აპრილს, აბონემენტის გარეშე უკანასკნელად ამ სეზონში
შოთა რუსთაველი ოპერა 4 მოქმედებად და 5 სურათად. მუს. სახ არტ. დ. ი. არაყიშვილის. დადგმა ა. რ. წუწუნავასი, მხატვრები დ. ი. შევარდნაძე, ნ. ი. იოანოვი, დირიჟორი ვ. პ. ულრიხი. ცეკვა ს. ნ. სერგეევის დადგმით. ბილეთები იყიდება.
ორშაბათს, 28 აპრილს, მე-13 აბონ. მე-4 წარმოდგენა მოსკოვის დიდ თეატრის პრემიერის ი. ს. კოზლოვსკის მონაწილეობით **რიგოლეტო**
ყველა ბილეთები გაყიდულია.

ნ. 715

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
სპარტაკი ყოფ. არფასტო
რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მონიონი)

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი ნაწარმოები
საქართველოს კურორტები
28 აპრილიდან—აპოლოში—შიში სპარტაკში—ხვალამდე

უკანასკნელი დღე
კარავაევის დანაშაული
28 აპრილიდან—ექიმი ჯეკი

პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
დადგმის მეორე კვირა
ი უ დ ა
28 აპრილიდან იგივე სურათი

სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
დადგმის მეორე კვირა
ბიძია თომას ქოხი
28 აპრილიდან იგივე სურათი

დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
დუგლას მაკ-ლინი კომედიაში
ლეიტენანტი რილეი
28 აპრილიდან კომედია სილამაზის საიდუმლო

ხ. ხ. განათ. კომის. ნებართვით
თვითგანვითარებისთვის და საშემოდ. გამოცდებისათვის
ვამზადებ
მოწაფეებს
7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტეხნიკუმში: ინდუსტრ. ქიმიურ. ფარმაც. და **უმაღლეს სასწავლებელში** მუშათა ფაკულ. 1 და 2 კურს. და მუშათა უნივერსიტ. შესასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. ფიზიკაში, რუსულსა დ გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტ მოწაფეებსაც. შესდგება 2 ჯგუფი დილის და საღამოს ჯგუფში 10 კაცი. ნახვა და ჩაწერა 1—7 საათამდის. მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს (ყოფ. ვორონცოვის მოედანი) პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5.

ნედლი ჩაის ფოთლის მიღების პირობები

სააქციო საზოგადოება

„საქართველოს ჩაი“-ს

ფაბრიკებში 1930 წ. სეზონში

I.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ ფაბრიკები ჩაის ნედლ ფოთოლს ღებულობენ კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებისაგან შემდეგ ფასებში:
პირველ ხარისხის—48 კაპ. კილოს
მეორე ხარისხის—37 კაპ კილოს

II.

პირველი ხარისხის ფოთლად ითვლება:

ნორჩი, კვირტგაშლილი სამფოთლიანი ნორმალური ყლორტი (ფლეში). ზრდადამთავრებული და კვირტგაუშლელი ყლორტები შეიძლება დაშვებულ იქნეს 1-ლ ხარისხში არა უმეტეს მისაღებ ჩაის ფოთლის საერთო წონის 10 პროც.-სა; ამასთანავე, კვირტგაუშლელი ყლორტები ისეთივე ნორჩი და სათუთი უნდა იყოს, როგორც ნორმალური ფლეშები (დუყები) და მათ უნდა ჰქონდეს არა უმეტეს ორი ფოთლისა.

მეორე ხარისხის ფოთლად ითვლება:

ა) ფოთოლთა რაოდენობით ნორმალური, მაგრამ ოდნავ დაყოვნებით მოკრეფილი და ცოტათი სისათუთეს მოკლებული ჩაის ყლორტები; აგრეთვე შემოდგომაზე დაკრეფილი ჩაის ფოთოლი, რომელსაც გაზაფხულსა და ზაფხულზე ნაკრეფ ფოთოლთან შედარებით აკლია საჭირო სისათუთე;

ბ) პირველ კრეფის ჩაის ფოთლები, რომლებსაც კვირტგაუშლელი ყლორტები ურევია არა უმეტეს მიღებული პარტიის საერთო წონის 25 პროც.-სა.

გ) გადაზიდვის დროს ოდნავ გალახულ დაზიანებული პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სიახლე;

დ) ფაბრიკაში დაგვიანებით მიტანილი და დამჭკნარი ფოთოლი, რომელსაც შმორის ან სხვა უცხო სუნი არა აქვს.

III.

სრულიად არ მიიღება:

ა) მაგარი, უხეში, გაფუჭებული, არა-სასიამოვნო ან უცხო სუნის მქონე ჩაის ფოთოლი, დაობებულ-აშმორებული (ჩახურებული) და შეწითლებული;

ბ) ჩაის ფოთლები, რომლებსაც კვირტგაუშლელი ყლორტები ურევია საერთო წონის 25 პროც. მეტი;

გ) სხვადასხვა დროს დაკრეფილი და ერთმანეთში არეული ფოთოლი;

დ) უკანასკნელ კრეფათა უხეში ფოთოლი, მოტანილი მაგრად დატენილ ტომრებით და ძალზე დალეწილ-დაზიანებული ან დამტვრეული.

IV.

მოკრეფის დროს ჩაის ნორჩი დუყი (ფლეში) უნდა მოიწყვიტოს მოკლედ, მესამე ფოთოლს ქვეით,—ნორმალურ ყლორტზე, და მეორე ფოთოლს ქვეით—კვირტგაუშლელ ყლორტზე. ზედმეტი ღეროები ჩაის ხარისხს ამდაბლებს.

ფაბრიკის მიერ ფოთოლის დაწუნების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაკრეფის შემდეგ ფოთოლი დაუყოვნებლივ იქნას მიტანილი ფაბრიკაში სუფთა კალათებით (ან გოდრებით) და არა ტომრებით.

შემთხვევით მოხვედრილი ოთხფოთლიანი ან ბალახნარევი, გვიმრანარევი და სხვა ასეთი ყლორტები გადარჩეულ უნდა იქნეს თვით ჩაის პატრონის მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მათი მიღება. ცვარში დაკრეფილი ნამიანი ყლორტები მიღებულ იქნება წონაში იმ რაოდენობის დაკლებით, რაც დაწესდება ქარხანათა მიერ მათი გამოცდილების მიხედვით; ხელოვნურად და განზრახ დასველებული ფოთოლი სრულიად არ მიიღება.

ფაბრიკების მიერ ჩაის ფოთლის სისწორით მიღების ირგვლივ დავისა და კონფლიქტების წარმოშობის შემთხვევაში, პლანტატორებს უფლება ეძლევათ საკუთარის საშუალებით გადარჩიონ ჩაის ფოთოლი და მოითხოვონ მისი ხარისხების და წონის სწორი გამორკვევა.

V.

საზოგადოების ჩაის ფაბრიკებში ფოთლის მიღება იწარმოებს დილიდან საღამომდის.

შესყიდულ ჩაის ფოთლის ფასს ქარხნები დაუყოვნებლივ გადაიხდიან.

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობა.

ქ. თბილისი, 1930 წ.

ნ. 717

ხვალიდან
ორშაბათი, 28 აპრილი
კინო-სპარტაკში (ყოფ. არფასტო)
სეზონის საუკეთესო ფილმი
# ხვალამდე
რეჟისორი—ი. ტარიჩი
მთ. როლებში:
კ. ჩებიშევა
ნ. პროზოროვსკი
რ. სვერდლოვა
და სხვ.

გამოცდილი ბუხჰალტრები
პროვინციისათვის ესაჭიროება ა.-კ „სამთოქიმტრესტ“-ს. წ ნადადებით მიმართეთ მთავარ ბუხჰალტერს. პუშკინის ქ. № 3. 2343

„ახალმშენი“
იწვევს გამოცდილ ინჟინერს
ნატახტარის სამუშაოზე. ხელფასი შეთანხმებით.
ნ. 724 3—1 ტრესტის მმართველი სერედა.

საქართველოს ფინსახკომი
აცხადებს, რომ ამ.-კავკ. სახკომსაბჭოს 1930 წლ. 28 მარტის № 233 დადგენილებ თ პირად რეწვათა დაბეგვრისათვის დაწესებულია სარეწავი გადასახადის ახალი მაგარი განაკვეთები.
გადამხდელები, რომლებსაც შეძენილი აქვთ სარეგისტრაციო მოწმობები მაგარი განაკვეთების მიხედვით, მოვალე არიან გამოცვალონ ასეთები 1 მაისამდე გადასახადის განსხვავების შეტანით. იმ პირთ, რომლებიც აღნიშნულ ვადამდე არ გამოცვლიან მოწმობებს, დაეკისრებათ განსაზღვრული ჯარიმის გადახდა.
ყოველგვარ ცნობებს გადამხდელნი მიიღებენ გადასახადთა ინსპექტორების კანცელარიაში.
საქართ. ფინანსთა სახალხო კომისარი—გ. ვაშაძე.
სახელმწ. შემოსავალთა სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი ვ. წამალაშვილი.
ნ. 722

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- პურის წიგნ. № 7525—ონოფრე ნიკოლოზის-ძე თაბუკაშვილის სახ. 2324
- კავშ. წიგნ. № 33318, პირად. მოწმ. № რ/15—გაცემ. რკ. გზ. ტეხნიკუმის მიერ, და რკ. გზ. ტეხნიკ. დამთ. მოწმ. № 32—ვსევოლოდ გაჩეჩილაძის სახელზე. 2322
- პურის წიგნ. № 34107 - ალექსანდრე ქობულაშვილის სახელზე. 2326
- სამხ. საალრ. ბარ. - ალექსანდრე დიონოსიოს-ძე გამყრელიძის სახ. 2325
- მეტრიკ. ამონაწ.—მინავარ მამედოვის სახელზე. 2331
- მეტრიკ. ამონაწ.—უსეინ მამედოვის სახელზე. 2330
- ეპოს საწ. წიგნ. № 690 - ანტონი კვესელავას სახელზე.
- პურის წიგნ. № 21664 - სანდრო მაისურაძის სახელზე. 2334
- პურის წიგნ. ალექსი ლუკას ძე მამფორიას სახელზე. ნ. 720
- პარტბილ. № 086585—მიხეილ ილარიონის-ძე ხაჟალიას სახ. ნ. 720
- პურის წიგნ.—ისააკ ბუაძის სახელზე. 2339
- კავშ. წიგნ № 4230—ნოე კერკენჯიას სახელზე. 2340
- პირად. მოწმ. № 4971—ისიდორე ზურაბის ძე გულიაშვილის სახ. 2341
- „ზაკტპო“ ს წიგნ. № 947—ანტონ ხარებავას სახელზე. 2337
- პურის წიგნ. № 43722—მარიამი ელიზბარაშვილის სახელზე. 2344
- პირად. მოწმ.—თამარ ჩიკვაშვილის სახელზე. 2346
- პურ. წიგნ. „ბ“ - № 22712 - შალვა ვასილის-ძე ვარდოსანიძის სახ. 2347
- ხონის საოსტ. სემინ. დამთავრ. მოწმ. - ვასილ ნიკოლოზის-ძე ფანცულაიას სახელზე. 2342
- პურის წიგნ. „ბ“ - ლენა და ვლადიმერ საკოვების სახელზე. 2350
- მეტრიკ. ამონაწ. № 5956 ვლადიმერ კობახიძის სახელზე. 2351
- კავშ. წიგნ. № 8856—ამბროსი ედიბერიძის სახელზე. 2552

უდროოდ ცხოვრებას მოწყვეტილ
ოთარი ხოფერიას
გულმოკლული მშობლები ნინო და ვლადიმერი, ბებიები ქსენია ხვიჩია და ელისაბედ ხოფერია შვილებით ულრმეს მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც პირადი დასწრებით ან სხვა სახით გაიზიარა ჩვენი ოჯახის მწუხარება. 2327

თბილისის ოლქის ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს თანამოსამსახურის ამხ. კონსტანტინე კაკაბაძის დის
პატარა თამრიკოს
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4-ნახ. საათზე, გონჩაროვის ქ. № 36. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2336

გულდათუთქულნი დეიდა ოლღა ქმრით გრიგორი და შვილებით შილაკაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფას
სონია ჭითავას
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 4-ნახ. საათზე, სადგურის ქ. № 33, კუკიის სასაფლაოზე. 2329

გულდამწვარი მამიდა ბაბუცა და მეუღლე გრიშა მშობლებით: თედორე, ოლია, ძმა კოლია დანელიები ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის საყვარელი
სონია ბაგრატის ასული
ხაინდრავა - ჭითავასი
დაკრძალვა დღეს, 27 აპრილს, 4-ნახ. საათზე კუკიის სასაფ. 2328

ღრმად დამწუხრებულნი ძამიდა ჩიტი შვილებით: ლოლა, მარგო, ვალიკო და ვლადიმერ კოკაიები, სიძით ვალოდია და შვილიშვილით ნოდარი ხიჭარაშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის დაუვიწყარ
სონია ხაინდრავა - ჭითავას
უდროოდ დაკარგვას. 2329

დამწუხრებული ამხანაგები გრიშა ლატარია, გუგუ გოგია, ვალიკო და კირილე გვალიები, ფეფე კუპრავა, აკი კალაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ამხანაგ შალვას მეუღლე
სონია ჭითავასი
გამოსვენება დღეს, 4-ნახ. საათზე, სადგურის ქ. № 33. 2335

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირეთელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედნის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილიდა სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს—ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ხვერას ტახია), პსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. ა.-ტ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22. 25—1

ვ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ხვალ 28 აპრილს საღამოს სრულ 6 საათზე თბილისის სახ. უნივერსიტეტის კლუბში მოწვეულია
სტუდენტთა კონფერენცია
დღის წესრიგი:
1. ალმასბიუროში მომხდარ უმსგავსოების შესახებ მომხ. ბ. მაჩაიძე.
2. ალმასბიუროს არჩევნები.
3. დელეგატების არჩევა სრულიად საქ. პროლეტ. სტუდ. ყრილობისათვის.

2349 თბ. სახ. უნივ. ალმასბიურო.

დედა ანა, ცოლი ლუბა, შვილები ანიკო და ლევო, დები საშა, ვარინკა და წუწუნა გოცირიძეები, სიძეები: ილიკო, ალექსანდრე, მელიტონი, ციძაშვილი ბეჟან გოცირიძე იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ
თომა დარისპანის-ძე გოცირიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან დღეს, 4 საათზე, შრომის ქუჩა (ყოფ. სამაჩლენის) № 70. 2338

დამწუხრებული ძმა დიმიტრი შვილებით: გუია, ჯოჯოლა და ფოკა, რძლები: სალომე და ვერა, ბიძა ალექსი და ბიცოლა კონა გვასალიები იუწყებიან, რომ ქ. თფილისში 23 აპრილს გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი
პაჭუ ივანეს-ძე გვასალია
დაკრძალვა ს. ხორშში (სენაკის მაზ.) სამშაბათს, 29 აპრილს 5 საათზე. 2347

დამწუხრებული ლუკა მურზაყანის ძე და მეუღლე სონია გვასალიები იუწყებიან ყველასათვის დაუვიწყარ
პაჭუ ივანეს-ძე გვასალიას
გარდაცვალებას 23 აპრილს, ქ. თფილისში, ალექსანდროვის საავადმყოფოში. დაკრძალვა ს. ხორშში სამშაბათს, 29 აპრილს, 5 საათზე. 2347

თავზარდაცემული მშობლები ბიჭიკო (ნიკოლოზი) და თამარა ჟღენტები შვილებით: ალიკო და ალისათი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მათთვის საყვარელ და ნორჩ პატარა
ნაზიკო ჟღენტის
გარდაცვალებას. გამოსვენება სამშაბათს, 29 აპრილს, 4-ნახ. საათზე ბინიდან საბჭოს (ჩერქეზიშვილის) ქ. № 71. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 საათზე. ნ. 726

დამწუხრებულნი მამიდები: გოგუცა და ქრისტინა ქმარშვილით და ვარინკა, ბიძები ვასილ და მამია ჟღენტები, ბებია კასიანე, ბაბუა ლომინა, დეიდა თაფლო ქმარშვილით, ბიძები კოწია და მიშა გუეცაძეები აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს სიცოცხლით სავსე
პატარა ნაზიკო ჟღენტის
უდროოთ დაკარგვას. ნ. 725

ზესტაფონის სარაიონო პროფკავშირების თანამშრომლები: კ. კაპანაძე, ჩ. ჩხიკვაძე, კ. ბარავკოვი, ვ. ჩიქობავა, რ. გოგავა, ლ. ცქიტიშვილი, ლ. აბესაძე, მ. ალანია, ვ. ჟაკი, ა. თალაკვაძე, ნ. ლილუაშვილი. კ. ფერაძე, კ. ბუაძე, გ. გუნიავა, შ. ბრევკაძე, მ. ბარბაქაძე, ვ. კიკნაძე აუწყებენ საზოგადოებას ამავე კავშირის თანამშრომლის ვალიკო სალაძის ერთად-ერთი ვაჟის
პატარა გ ო გ ი ს
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ქალაქ ზესტაფონში დღეს 27 აპრილს. (დეპ.)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე გიორგი გუგუშვილი შვილი თინიკოთი; დედამამა ვარო და პეტრე ჯიჯიემელები და დეიდა ანეტა აფხაზავასი იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარი
თამარა (პეტრეს ასული) გუგუშვილ ს
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა 29 აპრილს, 5 საათზე. გამოსვენება ბინიდან ბაქრაძის შესახვ № 16 718

ლელი (მარიამ) და ონისიფორე სპირიდონის ძე აროშიძეები უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან მათთვის მარად დაუვიწყარ პირველის ერთად ერთი დის და მეორის ცოლის დის
თამარა პეტრეს ასული
გ უ გ უ შ ვ ი ლ ი ს
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 აპრილს, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—1 ნ. 718

ელისაბედ გუგუშვილი შვილებით: თამარა, მეგრელა, ნატალი და ზალიკო მეუღლით ციციშვილით იუწყებიან მათთვის ძვირფას რძლის
თამარ პეტრეს ასულ გუგუშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 აპრილს, საღ. 5 საათზე გამოსვენება ბინიდან ბაქრაძის შესახვ. № 16 719

გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე ჰიჭინაძე მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას თავიანთ ახალგაზრდა მეგობრის
ბასილ მელიქიშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, 27 აპრილს, სოფ. წვერში. 2303

დედა მარიამი, მეუღლე ევგენია, შვილები: ნინო, თამარ და მარიამ კვირიკაძეები, ქალიშვილი ივანე (ვანიჩკა) მიტრიჩვი ოჯახითურთ მწუხარებით იუწყებიან, რომ კვირას, 27 აპრილს, 4-ნახ. საათზე, პეტროპავლეს სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
კონსტანტინე დავითის-ძე კვირიკაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 2288

ტირაჟი—55.761
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904